

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის დეპარტამენტი

გულადი თხილაიშვილი

პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების ძირითადი

მიმართულებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ

სექტორში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ეკონომიკა

სამეცნიერო ხემძღვანელები:

დავით ქათამაძე– ეკონომიკის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

რეზო ჯაბნიძე– სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბათუმი 2017

შესავალი	3
თავი I. აგრარული სექტორის როლი ეროვნული და გლობალური სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტაში	8
1.1. მსოფლიო აგრარული სექტორის განვითარების ტენდენციები, სასურსათო ბაზრის ტევადობა, რეალობა და პროგნოზები	8
1.2. საქართველოს აგრარული სექტორი: თანამედროვე მდგომარეობა და სტრატეგიული მიმართულებები	24
1.3. აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციების ანალიზი და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში	44
თავი II. აჭარის აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და მისი მნიშვნელობა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში	62
2.1. აგრარული სექტორის განვითარების ისტორიული ასპექტები აჭარის მაგალითზე	62
2.2. აჭარის აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოების ძირითადი ტენდენციები და სახელმწიფო პრიორიტეტები მიმდინარე ეტაპზე	71
2.3. საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოების თავისებურებები აჭარის აგრარულ სექტორში	80
თავი III. აჭარის აგრარულ სექტორში ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების პრობლემები და გაფართოების ძირითადი მიმართულებები	98
3.1. საექსპორტო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა და საკანონმდებლო ბაზის ძირითადი მიმართულებები	98
3.2. სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების მატერიალური სტიმულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები	122
3.3. აჭარის ფერმერულ მეურნეობათა განვითარების პერსპექტივები, მისი წარმოების ოპტიმიზაცია და ეფექტიანობის ამაღლების გზები	134
დასკვნები და წინადადებები	154
გამოყენებული ლიტერატურა	162
დანართი	176

შესავალი

თემის აქტუალობა. გლობალიზაციის პირობებში, სადაც საქართველოს აგრარული ბაზარი გლობალური ბაზრის შექმნის პროცესის ნაწილია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესაბამისობა ამ პროცესში აუცილებლობას წარმოადგენს. ქვეყნის აგრარულ საწარმოებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავიანთი სამეწარმეო პოტენციალი გაზარდონ და უცხოეთიდან დამატებითი რესურსები მოიზიდონ, რომლებიც თავიანთ პოზიციებს ადგილობრივ და მსოფლიო სასურსათო ბაზარზე გააძლიერებენ. სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის ცალკეული სექტორის განვითარება არ პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. არსებული შესაძლებლობების პრობლემების რაციონალური გამოყენებით, ამ პრობლემის მოგვარებაც და ექსპორტის განვითარებაცაა შესაძლებელი.

საკითხის აქტუალობა იმითაა განპირობებული, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სასიცოცხლო ფუნქციად, საერთაშორისო სავაჭრო პროცესების ლიბერალიზაცია ითვლება, რადგან ის უზრუნველყოფს ეკონომიკური გლობალიზაციისა და მიმდინარე მოვლენების სწრაფ ცვლილებას, ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას და ქვეყნებს შორის ინტეგრაციის პროცესებს. აქედან გამომდინარე, არსებობს ობიექტური აუცილებლობა, რათა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების საექსპორტო საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესება და მათთან დაკავშირებული პროცესების შესაბამისობა. კვლევის აქტუალობაც ქვეყნის საექსპორტო საქმიანობაში სოფლის მეურნეობის სექტორის ინტერესებთან დაკავშირებულმა მოსაზრებებმა გამოიწვია.

აჭარის სოფლის მეურნეობა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. რეგიონის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის როლის განსაზღვრა მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნული საკითხი ამ სფეროს პოტენციალს და პერსპექტივას ეხება, აქვს თუ არა მას სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები, დადებითი და უარყოფითი მხარეები. აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი აგრარული პროდუქციის მოთხოვნებსა და მისი საექსპორტო ბაზრების განვითარებას უნდა მიექცეს.

ნაშრომში ძირითად პრობლემად აგრარული პროდუქციის წარმოების არაეფექტურობა და სპეციალიზაციის დაბალი დონე მიგვაჩნია. აჭარის მთავრობის ძალისხმევითა და დახმარების მიუხედავად, ადგილობრივი აგრარული ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულ საქონელს ფასობრივ კონკურენციას ვერ უწევს. ხორციელდება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამები, ხდება პროგრამების დაგეგმვა, ორგანიზება, თანამშრომელთა მოტივაცია, მაგრამ სათანადოდ არ ხდება კონტროლი და მონიტორინგი, რაც ამ პროგრამების ეფექტიანობას კითხვის ქვეშ აყენებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ აჭარის ფერმერული თუ კოოპერატიული მეურნეობების ძირითადი ნაწილი ექსპორტზეა ორიენტირებული, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მყიდველუნარიანობის გამო, შიდა აგრარულ ბაზარზე მათ მიერ წარმოებული შედარებით ხარისხიანი, მაგრამ ძვირი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ საქონელს, შედეგად, ჩვენი რეგიონის აგრარული პროდუქციის ექსპორტიორები იძულებულნი არიან საზღვარგარეთ, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით ეძებონ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის გზები.

დღესდღეობით აჭარის მოსახლეობა უფრო იმპორტირებულ პროდუქტებს მოიხმარს, ვიდრე ადგილობრივს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა როლი აქვს ამ სფეროს დარგობრივ სტრუქტურაში, რამდენად ექცევა ყურადღება აგრარულ პოლიტიკას, უნდა გამოცხადდეს თუ არა სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად? აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოებისა და ექსპორტის განვითარებით, პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციული და სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებითაა შესაძლებელი, გარემო პირობების შექმნით, რაც ხელს შეუწყობს მათ სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებას, წარმოებისა და სავაჭრო პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას. მიგვაჩნია, რომ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობას ენიჭება უპირატესობა. კვლევაში დასაბუთებულია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების მნიშვნელობა როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

ნაშრომის კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია აჭარის აგრარული სექტორის ანალიზის საფუძველზე, პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების

ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, მისი შეფასება და პროცესების სრულყოფის წინადადებების ჩამოყალიბება/შეთავაზება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო-ს) შეთანხმებას, იმავდროულად მან მასტიმულირებელი გავლენა უნდა მოახდინოს აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობაზე.

ნაშრომის კვლევის ამოცანა. მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ✓ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის დინამიკისა და მასზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, აგრარული სექტორის საექსპორტო წარმოების პოტენციალის განხილვა და კლასიფიკაცია;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტიმულირების მიზნით, სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების ანალიზი;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო ფირმების საექსპორტო და საიმპორტო საქმიანობის მარეგულირებელი მექანიზმის ტენდენციების ექსტრაპოლაცია¹ და ანალიზი;
- ✓ აგრო სასურსათო პროდუქციის ექსპორტის განვითარების მეშვეობით აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ აგრო-სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სატარიფო მექანიზმების გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ საოჯახო ფერმების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისთვის სტიმულირების მოდელის ფორმირება. ექსპორტზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა და მისი აგროსასურსათო სექტორი, კვლევის ობიექტი კი აჭარის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული რეფორმების შემდგომ შექმნილ საწარმოთა/კოოპერატივთა ფუნქციონირებისა და ინტეგრაციის საექსპორტო პოტენციალია, აგრარული სექტორის როლის განსაზღვრა რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

¹ ექსტრაპოლაცია (ლათ)– მოვლენის ერთ ნაწილზე დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების მეორე ნაწილზე გავრცელება.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მიგვაჩნია, რომ აგრარული სექტორის საექსპორტო პოტენციალის შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავება, აჭარის რეგიონში აგრო სასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტრატეგიული განვითარების საფუძველზე, ხელს შეუწყობს ამ რეგიონში აგრობიზნესის სექტორის განვითარებას. სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის, სურსათზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების ზრდას, სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირებას. ნაშრომი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური სპეციალობის კადრების სასწავლო პროგრამებში მოსამზადებლად, რომლებშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის პრობლემებისა და მათი რეგულირების მექანიზმების სწავლებას უჭირავს.

ჩვენი აზრით, დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაეხმარება მკვლევარებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო სექტორით და სასურსათო უზრუნველყოფის საკითხებით.

დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება გამოიხატება იმაში, რომ მასში გამოყენებული მეთოდები, მიდგომები და რეკომენდაციები შეიძლება დაინერგოს აგრობიზნესის რეგულირების მექანიზმის სწავლებაში, თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების შემუშავებაში, დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავებასა და ქვეყნის აგრო სასურსათო პროდუქციის წარმოების საექსპორტო სტრატეგიის შემუშავებაში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის საექსპორტო პრობლემების მოგვარებას. ჩვენი აზრით, დისერტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციები დაეხმარება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისა და მთლიანად აგრარული სექტორის განვითარებაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგად მიღებულ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, შემდეგი:

- ✓ შექმნილია აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობის ერთიანი მექანიზმი, მათი მოტივაციის მეთოდების დახვეწასთან დაკავშირებული თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები;
- ✓ დასახულია აჭარის რეგიონის აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების მიმართულებების რეალიზაციის ხელშემწყობი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი კომპეტენტური სახელი-

სუფლებო ორგანოების ხელშეწყობით, შესაძლებელია რეგიონის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და მისი საექსპორტო შესაძლებლობის მაქსიმალურად ამოქმედება.

- ✓ შესწავლილია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის სფეროში აგრარული სექტორის როლი, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციების დანერგვის შესაძლებლობები;
- ✓ განსაზღვრულია აჭარის აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და მისი მნიშვნელობა საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში, ასევე გამოვლენილია რეგიონის აგრარული პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და ექსპორტის პოტენციალი.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგი. ნაშრომის კვლევის ძირითადი დებულებები და შედეგები 5 სტატიის სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო კონფერენციების მასალებში, საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის მიზნებმა და ამოცანებმა განსაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობის, ცალკეულ საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, საკვლევი პრობლემის დრმა ანალიზის პრინციპებზე.

ნაშრომი მოიცავს 188 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება: შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნების, წინადადებების, გამოყენებული (მათ შორის უცხოურ ენაზე) ლიტერატურისა და დანართებისაგან.

თავი I. აგრარული სექტორის როლი ეროვნული და გლობალური სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტაში

1.1. მსოფლიო აგრარული სექტორის განვითარების ტენდენციები, სასურსათო ბაზრის ტევადობა, რეალობა და პროგნოზები

მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში აგრარული წარმოება ნატურალური (უმთავრესად ინდივიდუალური) მეურნეობების სახით არსებობდა. ფაქტობრივად დღესაც სწორედ ასეთი ტიპის მეურნეობებს დავუბრუნდით. ცნობილია, რომ ბიზნესის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა, რასაც გლეხის ინტერესები ეწირება - წვრილი, კერძო საოჯახო ფერმერები იძულებით თანხმდებიან კაბალურ პირობებს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ მსხვილ ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ მაღალტექნოლოგიური, მექანიზებული საწარმოები. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში კონკურენციასთან ჭიდილში მათ უნდა მიმართონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რითაც შედარებით კონკურენტუნარიანები გახდებიან. დღეს პროდუქციის მწარმოებელს და ბაზარს შორის წარმოიქმნება დიდი რაოდენობის სპეციალიზებული ფორმები, რომლებიც შეისყიდიან პროდუქციას, გადაამუშავებენ, ახარისხებენ, აფასობენ, ინახავენ, გადაზიდავენ, აწვდიან შიგასაცალო-სავაჭრო ქსელებს ან ამარაგებენ უცხოელ მომხმარებლებს.

მთელი ამ ჯაჭვის და მისი რგოლების მუშაობას **ფირმა-ინტეგრატორები**, (ამის მაგალითები უკვე გვაქვს ჩვენთანაც მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობა-მებოსტნეობაში) აკონტროლებენ. ისინი ასევე თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას პროდუქციის მწარმოებლიდან უშუალოდ მომხმარებლამდე მოძრაობის მთელი პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. ამაში მდგომარეობს სწორედ **ვერტიკალური ინტეგრაციის არსი**. ფირმა-ინტეგრატორი გრძელვადიანი კონტრაქტებით მწარმოებელს უკარგავს საკუთარი პროდუქციის წარმოების, გასაღებისა და წარმოების საშუალებების შეძენის კონტროლის უნარს. ვერტიკალური ინტეგრაციის ერთ-ერთი სახეობაა **საკუთრების ინტეგრაცია**, რომელსაც სხვაგვარად **კორპორაციულ ინტეგრაციასაც** უწოდებენ. (ვადაჭკორია...2010)

კორპორაციული ინტეგრაცია ინტეგრაციის გაღრმავების ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ფირმა-ინტეგრატორი თავის საკუთრებაში ფერმერების აქტივების ნაწილსაც იღებს. ამასთანავე, მათ თავიანთ საკუთრებაში მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოებიც აქვთ. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას იძლევა რისკის ნაწილი ფერმერების მხრებიდან ფირმა-ინტეგრატორების მხრებზე გადავიტანოთ. სამაგიეროდ, ინტეგრაციის პროცესში ფერმერის მიერ ტრადიციულად გამოყენებული მართვის ფუნქციები ინტეგრატორთან გადადის. ასე რომ, აგრარული პროდუქციის მწარმოებელი სოფლად თანდათან კარგავს მცირე მეწარმის ნიშნებს და დაქირავებული მუშის თვისებებს იძენს.

ვერტიკალური ინტეგრაცია ფერმერებს შეიძლება ითქვას, რომ თავს მოახვიეს. მის ნეგატიურ მხარეებთან საბრძოლველად სოფლად წარმოიქმნენ ფერმერული კოოპერატივები. რომელთა მსგავსი წარმონაქმნები დიდი ხანია არსებობენ. ზოგიერთი ოპერაციის შესრულება მოსახერხებელია მსხვილ საწარმოებში, ხოლო ზოგიერთისა-წვრილში. მაგ., პროდუქციის გაყიდვის ოპერაციების შესრულება უფრო მარტივია მსხვილი მასშტაბით, ხოლო, მაგალითად, ქათმის მოვლისა - წვრილში. ნატურალური წარმოების იზოლაციის პირობებში არ იყო მოთხოვნა ისეთ ოპერაციაზე, როგორცაა გასაღება, წარმოების საშუალებათა შექმნა და სხვა. ფულად-სასაქონლო წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გლეხურ მეურნეობებში ასეთ ოპერაციათა წილი სულ უფრო იზრდება. (ვადაჭკორია...2010, გვ. 2) გლეხკაცი, ძალიან ხშირად, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ, თუმცა, მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტიც, გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. სიტყვა „გლეხი“ სინონიმი არაა არც „არანასწავლის“, არც „ტლუსის“, არც „დაბალი ღობისა“. იგი სინონიმი „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფესვისა და რეზერვისა“. (კოლუაშვილი 2016, გვ. 243)

საოჯახო ფერმერები მიზანშეწონილად თვლიან, თავიანთი სტრუქტურიდან გამოყონ რიგი ოპერაციები, რომელთა შესრულებაც ეფექტიანია სხვა მეურნეობებთან გაერთიანებით. ასე წარმოიქმნენ გლეხური კოოპერატივები. ამასთან, თვით ფერმერული მეურნეობა პრაქტიკულად პირვანდელი სახით რჩება - ეკონომიკურად და იურიდიულად დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულად, ამ ფორმისათვის

დამახასიათებელი ნიშნებით. კოოპერატივის მიზანია არა მოგების მიღება კაპიტალზე, არამედ, მასში გაერთიანებული საოჯახო ფერმერების მომსახურება. ფაქტიურად იგი აგრო-ბიზნესის წარმართვის უფრო მასშტაბურ სახეს წარმოადგენს.

ფერმერულმა კოოპერატივებმა შეიძლება ყველა ფერმერი მოიცვან და ამით სრულად დაიპყრონ ბაზარი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს თითქოს დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო ებრძვის მონოპოლისტურ ტენდენციებს, მაგრამ კოოპერატივები წარმოადგენენ წვრილი, ოჯახური ბიზნესის გაგრძელებას, რომლებსაც არ შეუძლიათ დაიკავონ მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე.

ზემოთხსენებული საშუალებას არ იძლევა, მთლიანობაში ვამტკიცოთ წარმოების კოოპერატიული ფორმის უპირატესობა. კოოპერატივი ხშირად ინვესტიციების ნაკლებობას განიცდის, რადგანაც ისინი წარმოების ორგანიზების ნაკლებად მოძრავ ფორმას წარმოადგენენ, მისი ადაპტირება ბაზრის ცვლილებებისადმი ნელა ხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ეს ფორმა აძლევს საშუალებას ბაზრისაგან იზოლირებულ წვრილ ფერმერებს, ჩაერთონ საერთო ეკონომიკურ სისტემაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პირველი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა პროდუქციის გასაღების კოოპერატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფერმერთა პროდუქციის კოლექტიურ გასაღებას. ამით მათ საშუალება ეძლევათ, კონკურენცია გაუწიონ ბაზარზე მსხვილ საწარმოებს და გაყიდონ არა ნედლეული, არამედ, მზა პროდუქცია, რაც მეტ შემოსავალს იძლევა. კოოპერატივი თავისთავზე იღებს პროდუქციის გადამამუშავებლის ფუნქციასაც.

კიდევ ერთ გავრცელებულ ფორმას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მომსახურების კოოპერატივები წარმოადგენს. ფერმერული კოოპერაცია წარმოადგენს ვერტიკალური ინტეგრაციის უფრო გავრცელებულ ფორმას, ვიდრე აგრო-სამრეწველო ინტეგრაცია. კოოპერატივების მაღალ მაჩვენებლიან ქვეყნებში, როგორცაა: შვედეთი, ნიდერლანდები, დანია და სხვა, რიგი პროდუქტების მიხედვით მათ სარეალიზაციო ბაზრის 100%-მდე, აშშ-ში კი - 30% უკავიათ. ჩვენს ქვეყანაში, სადაც პროდუქციის ძირითადი მწარმოებლები გახდნენ წვრილი ოჯახური, ფერმერული მეურნეობები, ასეთი კოოპერატივების ორგანიზაციის ფართო მასშტაბით განვითარება გარდაუვალია. (ვადაჭკორია ... 2010, გვ.3-4)

კლასიკური თეორიის წარმომადგენლები (ადამ სმიტი და სხვები) ეკონომიკური განვითარების ზრდას განიხილავდნენ, როგორც პროცესს, რომელიც მოითხოვდა წარმოების ფაქტორების გადანაწილებას დაბალი შრომის მწარმოებლურობით გამორჩეული ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან, მაღალტექნოლოგიურ სექტორებში. გარდა ამისა, არსებობდა იმის მოლოდინი, რომ სოფლის მეურნეობის, როგორც განვითარების ტრადიციული დარგის მნიშვნელობა, არსებითად შემცირდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართებოდა ქვეყნის ტრანსფორმაცია საწყისი ტრადიციული ეკონომიკიდან თანამედროვე, ღია, ინტერნაციონალურ, გლობალიზებულ ეკონომიკაში.

აშშ-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი დ. ინგალსბი წერს, რომ „თავისი ცხოვრების მანძილზე, ყოველი ამერიკელი პრაქტიკულად ყოველდღიურ შეხებაშია კოოპერატივებთან. მათ წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი რეალიზაციის 26%. ისინი უზრუნველყოფენ სასოფლო სამეურნეო წარმოების საშუალებების მიწოდების 24%-ს. დღესდღეობით აშშ-ში მოქმედებს 50 000 კოოპერატივი, მათში დასაქმებულია 100 მილიონზე მეტი ადამიანი“ (დუდაური 2010, გვ.3). კოოპერატივებს თავიანთი წესდების ჩარჩოებში მოქმედების სრული თავისუფლება გააჩნიათ. სახელმწიფო ორგანოებს უფლება არა აქვთ უშუალოდ ჩაერიონ კოოპერატივების საქმიანობაში, მათი მმართველი ორგანოების ფორმირებასა და თანამდებობის პირების დანიშვნაში, უფლება არა აქვთ ჰყავდეთ წარმომადგენელი როგორც საერთო კრებაში, ასევე არჩევით ორგანოებში.

კოოპერატივების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ძირითადად კონტროლსა და თვალყურის მიდევნებაზე დაიყვანება, თუ რამდენად ზუსტად შეესაბამება მათი საქმიანობა კანონმდებლობასა და თავიანთ წესდებას. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად კოოპერაცია დამკვიდრებაში სახელმწიფოს მხრიდან მისი მხარდაჭერის პოლიტიკას უნდა უმადლოდეს. მთელი რიგი განსხვავებები შეინიშნება კოოპერატიული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის გაზრდისა და მათი მართვის სამომავლო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას აქვს. კოოპერატივების სახელმწიფო რეგულირებაში უკიდურესი განსხვავების მაგალითი საფრანგეთი და ფინეთია.

საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ტრადიციულად ტარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უფრო მასშტაბური მხარდაჭერის პოლიტიკა. თუმცა, სახელმწიფო ერევა მათ საქმიანობაში, რათა უმსხვილესი საგადასახადო და სხვა შეღავათებით არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა არ ისარგებლონ. საფრანგეთის გარდა, არსად არ მოითხოვება ადმინისტრაციული ნებართვა კოოპერატივის შექმნისა და რეგისტრაციისათვის. აგრეთვე, ყველა კოოპერატივის საქმიანობა ხელისუფლების განუწყვეტელი კონტროლის ქვეშ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პრეფექტურების კონტროლის ქვეშ, მათი საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე) იმყოფება. სახელმწიფო სუბსიდიებისა და კრედიტების გაცემამ საფრანგეთში ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივი გამოყენების კოოპერატივების ფართო ქსელის შექმნას. ახალი აგრო ტექნიკის შეძენისას აღნიშნული კოოპერატივები საგრძნობი (20%-მდე) ფასდაკლებით სარგებლობენ. გარდა ამისა, ასეთ კოოპერატივებს შეღავათიანი პირობებით, თავიანთი ტექნიკური საშუალებების პარკის შევსებისა და განახლებისათვის გრძელვადიან კრედიტებს (15 წლამდე ვადით) აძლევენ. (დუდაური 2010)

ფინეთში პირიქით, საფრანგეთისგან განსხვავებით, გაუქმებულია კოოპერატივების სახელმწიფო მხარდაჭერა. თანამედროვე პირობებში, სხვა სკანდინავიურ ქვეყნებში: ნიდერლანდებში, ბელგიასა და აშშ-შიც მინიმალური სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. მათი საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითად და მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ საგადასახადო შეღავათები, სუბსიდირება და შეღავათიანი კრედიტები. ცალკეული ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, საგადასახადო შეღავათები განსხვავდებიან ფორმების დიდი ნაირფეროვნებით. პრაქტიკულად, ევროპის კონტინენტზე არცერთ სახელმწიფო-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ ექვემდებარებიან ორმაგ დაბეგვრას. კოოპერატივის მიერ მოგებაზე გადასახადის გადახდის შემდეგ, მოგების ის ნაწილი, რაც ეძლევათ კოოპერატივის წევრებს, უკვე აღარ იბეგრება.

ფინეთის მსგავსად, შვედეთსა და ნორვეგიაში ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, სოფლის მეურნეობაზე გასაწევი საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობები, მცირე წარმოების ხელშეწყობის დონე, ექსპორტის სუბ-

სიდირება ან სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტა, მთავრობისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკების შედეგად ხდება.

დანიაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საწარმოები შემცირებული განაკვეთით იბეგრებიან: 50%-იანი მთლიანი განაკვეთის პირობებში კოოპერატივებისთვის იგი 20%-ს შეადგენს.

იტალიაში კოოპერატივები, დაარსებიდან 10 წლის განმავლობაში მთლიანად თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან (ბონდ...1996. გვ. 372). იტალიაში არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით საქონელი და მომსახურება, რომლის რეალიზება მოცემული კოოპერატივის შიგნით ხდება. კოოპერატივები მუნიციპალურ გადასახადს მოგების დასაბეგრი ნაწილის 15%-ის ოდენობით იხდიან, ასევე საერთო ნაციონალურ გადასახადს, რაც მუნიციპალური გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხის 25%-ს შეადგენს. გარდა ამისა, დასაბეგრ მოგებაში არ შედის გადარიცხვები სარეზერვო და განუყოფელ ფონდებში, ხოლო ასიგნებები – წარმოების გაფართოებაზე. კოოპერატივის, როგორც იურიდიული პირის, ცნობისთვის საჭიროა მისი რეგისტრაცია კანონის შესაბამისად (ეს შესაძლოა მოხდეს კომერციულ სასამართლოში (tribunal of commerce) ან სანოტარო კანტორაში). ზოგჯერ რეგისტრაციას წინ უსწრებს წესდების წინასწარი შემოწმება - რამდენად შეესაბამება იგი მოქმედ კანონმდებლობას. იტალიაში ეს ვალდებულება შრომის სამინისტროს აქვს აღებული (საქართველოს...2013. გვ.2). (დუდაური 2010)

გერმანიაში ფერმერთა კოოპერატივებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციით არიან დაკავებული, ფერმერული მეურნეობების მომარაგებითა და საწარმოო მომსახურებით, დასაბეგრ თანხაში არ შედის კოოპერატივების ის ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც მათ განახორციელებს თავიანთ წევრებთან. გერმანიასთან შედარებით საფრანგეთში ფერმერულ კოოპერატივებს უფრო დიდი საგადასახადო შეღავათები გააჩნიათ. ამ ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებით გერმანიისაგან, საზოგადოებრივი გადასახადისგან ათავისუფლებს გასაღების, მომარაგებისა და მომსახურების კოოპერატივებს. გამონაკლისს ის ოპერაციები წარმოადგენს, რომელსაც კოოპერატივი სრული განაკვეთით დაბეგრილი მოგების მქონე მის არაწევრ პირებთან ახორციელებს. პრაქტიკულად ყველა კოოპერატიული გაერთიანება გათავისუფლებულია როგორც

ათვისებული, ასევე აუთვისებელი სასოფლო სამეურნეო სავარგულების გადასახადისგან. ამიტომ ისინი მხოლოდ პროფესიული გადასახადის ნახევარს იხდიან. ეს ფაქტორიგერმანიაში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

ესპანეთში, სადაც საზოგადოებრივი გადასახადის 35%-იანი განაკვეთის პირობებში მხოლოდ 10%-ს იხდიან, საკრედიტო კოოპერატივებისთვის იგი 26%-ს შეადგენს, დაბეგვრაში არანაკლებ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. შეღავათების გარდა, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ფინანსურ მხარდაჭერასაც უწევს. რიგ ქვეყნებში მსგავსი კოოპერატივები ფერმერთა ინტერესებს წარმოადგენენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და აგრარული პოლიტიკის განხორციელებისას, ასრულებენ სახელმწიფოს მიერ მათთვის დაკისრებულ განსაზღვრულ ფუნქციას.

ევროკავშირი, ერთიანი აგრარული პოლიტიკის გატარებით, ზემოქმედებს ფერმერული კოოპერაციის განვითარებაზე. იგი შეგვიძლია მივაკუთვნოთ მის წევრ სახელმწიფოთა მიერ კოოპერაციული პოლიტიკის რეგიონულ ინტეგრაციას, რომელსაც იგი ამ მიმართულებისათვის მახასიათებელი ზენაციონალური რეგულირების სპეციფიური ფორმით ახორციელებს. კოოპერატივების მიერ ნებაყოფლობით, თავისუფალ და ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზებული წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის შეგროვებას, გადამუშავებასა და რეალიზაციას სახელმწიფო ორგანოების ფინანსური ჩარევის მნიშვნელოვან შემცირებამდე მივყავართ, რომლებიც სუსტად ორგანიზებული ბაზრების პირობებში იძულებულნი არიან შთანთქან ზედმეტად წარმოებული პროდუქცია, რათა ბაზარზე შენარჩუნდეს ფასები, ანდა დეფიციტის შემთხვევაში, განახორციელოს იმპორტი, და იმავდროულად შეაჩეროს ფასების ზრდა. ამიტომ ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის რეალიზაცია კოოპერატივების ფუნქციონირებას სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სტრუქტურაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც განაპირობებს ფერმერული კოოპერაციული მოძრაობის განვითარების მხარდაჭერისა და სტიმულირების პოლიტიკას. (დუდაური 2010, გვ. 3)

ბალტიის ქვეყნებზე არჩევანი საქართველოსთან მათი ისტორიული მსგავსებისა და ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით გაკეთდა, ვინაიდან ეს სახელმწიფოები

საქართველოსთვის ბევრი მიმართულებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის კუთხით, წარმატებული რეფორმების მაგალითს წარმოადგენენ.

ლიტვის სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 227 000 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც მშპ-ის 6%-ს ქმნიან. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი 3.5 მლნ ჰა-ს შეადგენს, საიდანაც სახნავ-სათესი 2.95 მლნ ჰაა. ექსპორტის შემადგენელი პროდუქტებია: თევზი, რძე, კარაქი, ყველი და სხვ. მისი ექსპორტის 80% რუსეთზე მოდის, ხოლო ლიტვის პროდუქციის მთავარი იმპორტიორები ევროკავშირის ქვეყნები არიან. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნახევარი საუკუნის განმავლობაში მყოფმა ლიტვამ 1990 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და უარი თქვა გეგმურ ეკონომიკაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ლიტვამ კურსი დასავლური, ევროპული სტილის ეკონომიკის მშენებლობისკენ აიღო, რაც თავისუფალი ბაზრის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების და ქონების პრივატიზაციას გულისხმობდა.

მიზნის მისაღწევად ლიტვამ მალევე გამოაცხადა საყოველთაო პრივატიზაციის პროცესი, რომელიც პირველ ეტაპზე შედარებით არაორგანიზებულად მიმდინარეობდა, თუმცა სწორედ ამ პროცესმა უზრუნველყო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე სწრაფი გადასვლის გარდაუვალობა. ლიტვაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ორ ძირითად ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი, რომელიც გრძელდებოდა 1991-1995 წლების განმავლობაში, საყოველთაო პრივატიზაციას შეღავათიანი პირობებით მოიცავდა. მის ფარგლებში შემავალი სტრატეგიული კერძო მესაკუთრეები იხდიდნენ როგორც თანხას, ასევე იღებდნენ ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას. 1996 წლიდან დაწყებული, პრივატიზაციის მეორე ეტაპი შედარებით ლიბერალური იყო და მხოლოდ თანხის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებას კერძო მესაკუთრეს ანიჭებდა (ჰამნეტ...2014,გვ.3).

ბუნებრივია, პრივატიზაციის და გასხვისების პროცესი ლიტვაში სასოფლო - სამეურნეო სექტორსაც შეეხო. სასოფლო-სამეურნეო სექტორის პრივატიზაცია რამდენიმე ისეთი საკანონმდებლო აქტის ფარგლებში იყო რეგულირებული, როგორებიცაა: „კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“, „კანონი სასოფლო სამეურნეო საწარმოების და ქონების პრივატიზაციის შესახებ“. პირველ ეტაპზე, 1995 წლამდე სწორედ ამ კანონების შესაბამისად გასხვისდა 1600 სახელმწიფო

საწარმო თუ კომპანია.² გასხვისების პროცესში თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ადგილობრივი და უცხოელი კერძო სექტორის წარმომადგენლები. 1995 წლის ივლისის თვიდან, მას შემდეგ, რაც ლიტვის პარლამენტმა მიიღო ახალი „კანონი სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოთა და ქონების პრივატიზაციის შესახებ“, ახალი პრივატიზაციის ტალღა დაიწყო. შედეგად, კერძო სექტორის მიერ, 6000-მდე სასოფლო-სამეურნეო ტიპის კომპანია ჩამოყალიბდა. (ბალტიისპირეთის...2014, გვ.5)

პრივატიზაციის მეორე ტალღამ და „სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოთა და ქონების პრივატიზაციის შესახებ“ მიღებულმა კანონმა, ხელი შეუწყო უშუალოდ სოფლის მეურნეობის საწარმოების გამსხვილებას და არა დანაწევრებას. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი საპრივატიზაციო ტალღისა, 2010 წელს ლიტვა სახელმწიფო საკუთრებაში ისევ ფლობდა 13.5 მილიარდი ლიტვური ლიტის (5.3 მილიარდი დოლარის) საბაზრო ღირებულების საწარმოებს. ეს საწარმოები არც თუ მცირე როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკაში და შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი, როგორც გადასახადების ლიტველ გადამხდელთა ხარჯზე არსებული საწარმოების, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მაღალი დონე. ამ მოტივით, ლიტვამ 2010 წელს დაიწყო რეფორმა, რომელიც მიზნად სწორედ ამ საწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ზრდას ისახავდა. რეფორმის ფარგლებში ლიტვის მთავრობამ სახელმწიფო საწარმოთა გამჭვირვალობის ახალი სტანდარტები დაამტკიცა, რომელიც ლიტვის საწარმოების ანგარიშვალდებულების ხარისხს არეგულირებდა.

სტანდარტების მიხედვით, ყველა ასეთმა საწარმომ უნდა მოამზადოს და საკუთარ ვებ-გვერდზე³ განათავსოს კვარტალური და წლიური ანგარიში საქმიანობისა და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ. ამ სტანდარტების განხორციელებასა და დაცვის მონიტორინგზე კონტროლი კი ლიტვის ეკონომიკის სამინისტროს სპეციალურ ქვეგანყოფილებას დაევალა. ამავე განყოფილებას, სტანდარტების დანერგვის და მონიტორინგის პარალელურად, მისი საქმიანობის მიმართულებად განისაზღვრა სახელმწიფო საწარმოების რეფორმირება შედეგების ანალიზით. ლიტვის მთავრობამ 2012 წელს, დამატებითი სახელმწიფო საწარმოების შექმნის შეზღუდვის მიზნით, ახა-

² მანამდე ეს კომპანიები ცნობილი იყო როგორც კოლმეურნეობები

³ ვებ-გვერდი <http://vkc.vtf.lt/valdymo-ir-skaidrumo-politika/informacijos-pateikimo-terminai>

ლი დირექტივები გამოსცა, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა იმ კრიტერიუმებს, რაც ახალი საწარმოს შექმნის შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო: 1. გამჭვირვალე სამეთვალყურეო საბჭო; 2. ძლიერი მენეჯმენტი; 3. მკაფიო მიზნები და ამოცანები. (ბალტიისპირეთის...2014, გვ.4-6)

გატარებული რეფორმების და პრივატიზაციის პროცესების, ასევე მიღებული საკანონმდებლო აქტების შედეგად, დღესდღეობით ლიტვაში სოფლის მეურნეობის პროფილის მხოლოდ 19 სახელმწიფო საწარმო არსებობს. ამ საწარმოებიდან არცერთი არ არის პროდუქციის მწარმოებელი, მათი უმრავლესობა არის სტანდარტებისა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თუ სურსათის უვნებლობის ხარისხის დაცვის მიზნით შექმნილი სააგენტოების ტიპის საწარმოები. მაგალითისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ერთ-ერთი საწარმოა "Pieno Tyrimai", რომელიც ქვეყნის მასშტაბით ავტორიზებული რძის ხარისხის კონტროლის სააგენტოა. მსგავსი საწარმოების რიცხვს „ლიტვის სოფლის მეურნეობის და სასურსათო პროდუქტების ბაზრების რეგულაციების სააგენტო“ განეკუთვნება, რომელიც 1998 წლიდან ლიტვაში წარმოებული სასურსათო პროდუქციის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს (ლიტვის...2016).

ლატვია, ოფიციალური მონაცემებით, 1.86 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მფლობელია, საიდანაც 1.2 მლნ ჰა იხვნება. დარგში დასაქმებულთა რაოდენობა აერთო დასაქმებულების 1.3 %-ს შეადგენს, ხოლო მისი ექსპორტის დიდი ნაწილი რუსეთში გადის ბოსტნეულის, თევზისა და რძის ნაწარმის სახით. ისევე როგორც ლიტვაში, ლატვიაშიც, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აქტიური საპრივატიზაციო პროცესები წარიმართა. ამ პროცესების პარალელურად, ლატვიის პარლამენტმა და მთავრობამ 1990-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი მიიღეს და დააწესეს რეგულაცია, მათ შორის ისეთები, როგორიცაა: „სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ფერმების პრივატიზაციის შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრივატიზაციის შესახებ“, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხობების პრივატიზაციის შესახებ“, „ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის შესახებ“ და „რძის გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის შესახებ“. (ადამოვიჩ...2014, გვ.6)

ამ საკანონმდებლო მექანიზმებზე დაყრდნობით, ლატვიაში მანამდე გაუქმდა სახელმწიფოს ხელში არსებული სამელიორაციო სისტემების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მომსახურების კომპანიები და სხვა აგრარული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები, ხოლო მათი ქონება კერძო სექტორზე გასხვისდა. აღსანიშნავია, რომ ლატვიის მთავრობამ დასაწყისშივე მკაცრად ცალსახა მიდგომა აირჩია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა პროფილის სახელმწიფო საწარმოთა მიმართ და ეს მიდგომა მათ აუცილებელ განკერძოებას გულისხმობდა. უშუალოდ პრივატიზაციის პროცესი მართული იყო ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პრივატიზაციის კომისიის მიერ. ეს კომისია, ბუნებრივია, სახელმწიფოს სახელით მოქმედებდა, უშუალოდ სოფლის მეურნეობის სექტორის საწარმოების აქტივების გასხვისების კუთხით. კომისია აქტიურად მუშაობდა წლების განმავლობაში და კონკრეტული საწარმოების აქტივებისა და ქონების შეფასებას ახდენდა, ხოლო შემდგომში მის პრივატიზაციას. ასევე, კომისია ადგენდა შეზღუდვებს და პირობებს საწარმოს აქტივების გასხვისების დროს. მაგ., ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა, რაც კომისიას მომავალი მესაკუთრის მიმართ ჰქონდა, ეს იყო ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების აქტივების და ქონების გასხვისება რომლის მიხედვითაც პრივატიზაციის კომისიასთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ფორმდებოდა, მყიდველი მის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის განხორციელების ვალდებულებას იღებდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლატვიაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აქტივების გასხვისების პროცესი მიწის რეფორმის პარალელურად მიმდინარეობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პირველ რიგში, სასოფლო სამეურნეო სავარგულების მათი თავდაპირველი მფლობელების ან/და მათი შთამომავლებისთვის გადაცემას ითვალისწინებდა, ხოლო მიწის დანარჩენი რესურსების გასხვისება-გაყიდვას ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, გარდა უცხოელებისა. (ბალტიისპირეთის...2014, გვ.8)

მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის პროცესების თანადროულობამ, ლატვიაში ხელი შეუწყო კოოპერატივების ჩამოყალიბებას და შედეგად, პრივატიზაციის შემდგომ, გასხვისებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, სახელმწიფო საწარმოების და მათი ქონების 60% კოოპერატივების, ხოლო 40% ამ საწარმოების ყოფილი თანამშრომლების საკუთრებაში გადავიდა. (ლატვიის...2014) ლატვიის მიწის რეფორმას და აგრარულ

საწარმოთა გასხვისებას საფუძვლად დაედო ლატვიის „ეკონომიკის ინსტიტუტის“ დოქტორის ანდრის მიგლავსის მიერ „მსოფლიოს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან“ (ეკონომიკური...2003) თანამშრომლობით დაწერილი კვლევა სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და მისი ეფექტიანობის შესახებ, სახელწოდებით: „სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმოხილვა“ (სოფლის...2007, გვ.18)

ესტონეთში სოფლის მეურნეობის დარგი შედარებით მცირე მასშტაბისაა, სადაც 945.000 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან, სახნავ-სათესი მხოლოდ 632.000 ჰა-ა. აქ კარგად არის განვითარებული მეცხოველეობის დარგი, ხოლო სულ ამ სფეროში 3%-ზე მეტი არაა დასაქმებული. შემცირების ტენდენციის მიუხედავად, ესტონეთის აგრო-პროდუქტების ექსპორტის დიდი ნაწილი კვლავაც რუსეთზე მოდის. (ლატვიის...2009)

ესტონეთში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯერ კიდევ 1988 წელს, „გარდაქმნის (ე.წ. პერესტროიკის)“ დროს, პოლიტიკური ლიდერები მოსახლეობას გეგმური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლებისათვის ამზადებდნენ. ამ ქვეყანამ ჯერ კიდევ 1989 წელს გამოსცა „ფერმერული რეფორმის აქტი“, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში რადიკალური გადაწყვეტილება იყო. სწორედ ამან შეუწყო ხელი ფერმერების ქცევის ცვლილებას.

ფერმერების ქცევა დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული იყო. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ესტონეთმა გაბედა და კოლექტიური მეურნეობების სასოფლო სამეურნეო სავარგულები საკუთრებაში გადასცა ფერმერებს და მათ უფლება მისცა, გაერთიანებინათ საკუთარი სავარგული მეზობლებთან ერთად. ეს შემთხვევები იყო დასავლური ტიპის კოოპერატივის პირველი ჩანასახი ყოფილ საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებლობის პირველივე წელს, ესტონეთის მთავრობამ თავისუფალი ბაზრის და ფასების ლიბერალიზაციის პოლიტიკა ღიად გამოაცხადა. სისტემური ცვლილებები კი, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, 1991 წლიდან სოფლის მეურნეობის სავარგულების და საწარმოების სრული განკერძოების ჩათვლით დაიწყო, რომელიც 1997 წელს ბოლომდე დასრულდა.

ამ პროცესის შემადგენელი მნიშვნელოვანი ფაქტორი ევროპულ ოჯახში გაწევრიანების იდეა იყო, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიბადა და თანდათანობით განვითარდა ევროპასთან გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში. ამ შეთანხმებას მოჰყვა ესტონეთის ჩართვა „პოლონეთის და უნგრეთის დახმარება

ეკონომიკის რესტრუქტურისთვის" პროგრამაში (პოლონეთის...1998). სწორედ ეს პროგრამა გახდა ევროპის მხრიდან, პირველადი დახმარების საშუალება, რომელიც მოგვიანებით ესტონეთის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების დაჩქარების რეალურ მექანიზმად იქცა. 1995 წელს ესტონეთმა „სოფლის მეურნეობის ბაზრის რეგულირების აქტი" მიიღო (სოფლის...1995). ამ აქტის მიზნად აუცილებელი სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა განისაზღვრა. იმავე წლის აგვისტოში ესტონეთის პარლამენტმა ევროკავშირთან დამატებითი შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა, რომლის ფარგლებშიც ესტონეთი ვალდებულებას იღებდა, უპირობოდ დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის პოლიტიკის და ყველა არსებული სტანდარტები, მათ შორის სოფლის მეურნეობის ევროპული სტანდარტი.

ეს კონკრეტული შეთანხმება მოგვიანებით 1998-2003 წლების ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში გადაიზარდა. ეს გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, ესტონეთში „ევროპული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სტანდარტების საზომების" სრულ და ზედმიწევნით დაცვას ითვალისწინებდა (სასოფლო...2014). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ესტონეთშიც დაიწყო ისტორიული მესაკუთრეებისთვის ქონების, მათ შორის, მიწის დაბრუნების პროცესი, ხოლო ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო ქონება, სახელმწიფომ საყოველთაო პრივატიზაციის გზით გაასხვისა. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწიდან 60% კერძო მფლობელობაში მათ ისტორიულ მფლობელებს ან მემკვიდრეებს დაუბრუნდა, ხოლო 40%-ს ახალი მფლობელები გამოუჩნდნენ. ამ პროცესის შედეგად, პირველ ეტაპზე, მეორე მსოფლიო ომამდე არსებული 140 ათასი ფერმერული მეურნეობისაგან 60 ათასი მეურნეობა შეიქმნა, ხოლო 15 წლის შემდეგ, ანუ დღევანდელი მდგომარეობით, ესტონეთში გამსხვილების შედეგად, 10 ათასამდე ფერმა დარჩა, თუმცა მათ მიერ გამოყენებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების რაოდენობა არ შემცირებულა (ლისტერ 2011, გვ.6).

კვლევისთვის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ყოფილი „ესტონეთის სარწყავი სისტემების და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების სერვისის კომპანიის" ისტორია. სახელმწიფო 23 რეგიონულ საწარმოს ფლობდა, რომელიც სადრენაჟო, სარწყავი და სამელიორაციო სისტემების სერვისს და ასევე, სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას ეწეოდა. მათი საჯარო აუქციონის

გზით გაყიდვის შედეგად, დღესდღეობით ამ 23 საწარმოს ბაზაზე 125 კერძო საწარმო ფუნქციონირებს, რომელიც ფერმერებს მთელი ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო-სადრენაჟო სისტემებითა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ემსახურება. ამ პროცესში კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მსოფლიო ბანკი შეღავათიანი სესხებით დაეხმარა.

მიმდინარე პერიოდისთვის, ქვეყანაში არსებული ერთი მილიონი სასოფლო-სამეურნეო ჰექტარი, მიწიდან 0,6 მილიონი ჰექტარი ირწყვება. მიუხედავად განკერძოებისა, მათი სტრატეგიული და საკვანძო დანიშნულებიდან გამომდინარე, სახელმწიფო დღემდე ფლობს 5.4 ათასი კმ სიგრძის სარწყავ და სადრენაჟე არხებს. ჯამში, ესტონეთში სარწყავი სადრენაჟო სისტემების სიგრძე 38 ათასი კილომეტრია (სახელმწიფო...2014, გვ.22).

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან 2012 წლამდე სახელმწიფოს მხრიდან, კოოპერაციული განვითარების მხარდაჭერას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. სუსტია და დახვეწას საჭიროებს საკანონმდებლო ბაზა. საჭიროა შემუშავდეს კოოპერაციული მოძრაობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა, რაც საფუძველს ჩაუყრის საქართველოს აგრარულ სექტორში სრულყოფილი კოოპერაციული სისტემის ჩამოყალიბებას, ყოველივე ეს კი, საქართველოს როგორც აგრარული ქვეყნის, ეკონომიკური განვითარების საწინდარი გახდება. დღევანდელ პირობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის რიგ სხვა დარგებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან ტექნიკას, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, საწვავ-საცხებ მასალებს, შხამ-ქიმიკატებს, მინერალურ სასუქებს, სამშენებლო მასალებს, სატრანსპორტო და სხვა სახის მრავალ საშუალებებს.

ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან, საბოლოო პროდუქციის (სურსათის) მიღებაში, დიდ როლს ასრულებენ მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა: სურსათის (გადამამუშავებელი), მსუბუქი, საფეიქრო და სხვა. ჩამოთვლილი დარგების გარკვეულწილად გამოცალკეებით სოფლის მეურნეობასთან კავშირის მიმართებაში ერთიანი აგრო-სასურსათო მრეწველობის ჩამოყალიბება მოხდა, რომელთა მონაწილენიც ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან და ორიენტირებულნი არიან ერთი საბოლოო მიზნის - ქვეყნის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფისაკენ. ასეთ პირობით ერთობლიობას საზღვარგარეთ აგრო-

ბიზნესს უწოდებენ. პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს თვითონ ის ოჯახური, ფერმერული მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ასაღებენ, რომლებიც ძირითადად მსხვილი ქალაქების ირგვლივ არიან განლაგებულნი.

პროდუქციის გასაღების ამ ფორმის ნაკლოვანება ისაა, რომ მყიდველის შოვნა ძალზე პრობლემურია, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ, მსხვილ მწარმოებლებთან შედარებით, კონკურენციას ვერ უძლებენ, ფასის დაწესებაშიც ნაკლებად იღებენ მონაწილეობას და ზარალდებიან. ამიტომ, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დიდი ხანია სპეციალიზებული ფირმები და კომპანიები წარმოიშვნენ, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებული. ესენია: სასაქონლო ბირჟები, საბითუმო ბაზრობები და აუქციონები. მთელი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელია სასურსათო საქონლის ოდენობა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებითაა მიღებული (ევროკომისია...2013, გვ.12).

მიუხედავად მცირედი განსხვავებებისა, ბალტიის სამივე ქვეყნის სოფლის მეურნეობის გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდაქმნის პროცესს ბევრი საერთო მახასიათებელი თვისება ჰქონდა, რომელთა გათვალისწინება საგულისხმოა საქართველოსთვის, როგორც მსგავსი წარსულის ქვეყნისთვის. კერძოდ:

1. მთავრობის მინიმალური როლი საბაზრო ეკონომიკაში - როგორც აუცილებლობა, რომ მთავრობამ, ჩაურევლობის გზით უზრუნველყოს კერძო სექტორის, მათ შორის სოფლის მეურნეობის, დამოუკიდებელი განვითარებისთვის საჭირო გარემო. როგორც ბალტიის ქვეყნების მაგალითიდან იკვეთება, უშუალოდ სოფლის მეურნეობის კუთხით, ამ ჭრილში მნიშვნელოვანია რამდენიმე აუცილებელი წინაპირობის შექმნა: საკუთრების დაცვა, სახელმწიფო აქტივების გასხვისების გამჭვირვალე მექანიზმის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა და სექტორის განვითარების მიზნობრივი პოლიტიკის გატარება.

2. მყისიერი მოქმედება - როგორც სოფლის მეურნეობის წარმატებული გარდაქმნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი - ბალტიის ქვეყნების რეალობამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის პროფილის საწარმოების განკერძოება, შესაძლოა, აღმოჩნდეს მტკივნეული და შოკურიც კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. თუმცა, ამ შემთხვევაში, წარმატების ხაზი სწორედ გარდაქმნის სისწრაფეზე გადის და ეს კარგად ჩანს ესტო-

ნეთის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ სამივე ქვეყანაში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, არა იმდენად მიწის ან სახელმწიფო საწარმოების გასხვისების კუთხით, არამედ გადამმუშავებელი დარგის განვითარების კუთხით, რომელიც დროში ინვესტიციების სიმწირის გამო გაიწელა. მიუხედავად ამისა, კერძო საკუთრებას ალტერნატივა არა აქვს.

3. მიწის პრივატიზაცია - როგორც პროცესი, რომელმაც დროის მოკლე ვადაში უზრუნველყო სამივე ქვეყანაში კოოპერატივების ჩამოყალიბება და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამსხვილება. აღსანიშნავია, რომ ამ წარმატების მიღწევის მთავარი საფუძველი, პრივატიზაციის პროცესის გარდა, მიწის რეფორმის კუთხით გატარებული ღონისძიებების პაკეტი იყო. მათ შორის, გაკოტრების კანონმდებლობის დახვეწა და გამარტივება. გაკოტრების გაადვილებულმა პროცესმა უზრუნველყო გაკოტრებულ საწარმოთა აქტივების გასხვისება.

4. პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობა და სიმარტივე - სამივე ქვეყანაში მიწისა და სხვა სახის სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცესი დაყვანილი იყო მარტივი პროცედურების დონეზე და რაც მთავარია, უაღრესად გამჭვირვალე. გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდათ კოოპერატივებსა და ფერმერულ გაერთიანებებს. (სახელმწიფო...2014, გვ.22)

ასევე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და მათი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერების საკითხის შესწავლაც. კოოპერატივების წევრთა რაოდენობის გაზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მათ საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების გაზრდა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების შექმნა. განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჯერჯერობით არ გააჩნიათ სათანადო რესურსები, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, იყვნენ კონკურენტუნარიანი მიწისა და სხვა უძრავი ქონების შექმნაში, სადაც, როგორც წესი, იმარჯვებენ კერძო პირები და შპს-ები. ამით ისინი მნიშვნელოვნად აფერხებენ და ხშირ შემთხვევაში კლავენ კოოპერატივების განვითარების პერსპექტივას. რა თქმა უნდა, შპს-ებსა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნიათ, მაგრამ, თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები, და შესაბამისად, პროგრამები,

რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების განვითარებაზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება ან მათი განხილვა შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ინტერესების პარიტეტულად, სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, დაჩქარებული წესით შეიმუშავოს ნორმატიული ბაზა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა საპრივატიზაციო ქონების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის უპირატესი უფლებით მიყიდვის ან იჯარის წესით გადაცემის პროცედურისთვის. (კოლუაშვილი 2015, გვ. 13)

5. გარდაქმნის პოლიტიკური ფასი - მიუხედავად იმისა, რომ ბალტიის სამივე ქვეყანამ პოლიტიკურად არაპოპულარული გადაწყვეტილება საკმაოდ ერთსულოვნად მიიღო და წარმატებით განახორციელა, საყოველთაო პრივატიზაციის და სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სექტორში უშუალო ჩაურევლობის მკაფიო პოლიტიკას, ბუნებრივია, თავისი პოლიტიკური ფასი ჰქონდა. ცვლილებებმა შედეგად გაზრდილი სტრუქტურული უმუშევრობა და სოფლებიდან ხალხის გადინება მოიტანა. თუმცა, ურბანიზაციასა და მასების უკმაყოფილებას ხელი არ შეუშლია ბალტიის არც ერთი ქვეყნისათვის, უკან არ დაეხიათ აუცილებელი გარდაქმნისაგან, რამაც, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. (სახელმწიფო...2014, გვ.23)

1.2. საქართველოს აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და სტრატეგიული მიმართულებები

მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა, რომელიც დღეისათვის აგრო-ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაშია გაერთიანებული, მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქციის მაჩვენებლით არ ინტერესდება. ამ ქვეყნებში მთავრობა მოსახლეობას ეკითხება, თუ რამდენად კმაყოფილია საბინაო პირობებით (უკეთესი...2013), შემოსავლების დონით, სამსახურით, საცხოვრებელი ინფრასტრუქტურ-

რით, განათლებისა და ჯანმრთელობის ხარისხით და მმართველობის ეფექტურობით. საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, გონივრული და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის დეფიციტი ქართული სახელმწიფოს მუდმივი თანამგზავრია. შედეგად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი ქვეყნების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომლებმაც 2010 წლისათვის ერთ მოსახლეზე გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქციის რეალური მოცულობით არა თუ ვერ გასცდა 1990 წლის საკუთარ მაჩვენებელს, არამედ ჩამორჩა მას (იგი 25%-ით ნაკლებია 1990 წლის მაჩვენებელზე).

მაშინ, როცა ამავე პერიოდში ესტონეთში ზრდამ შეადგინა 63%, ლატვიაში - 28%, ლიტვაში - 24%, სომხეთში - 66%, აზერბაიჯანში - 87%. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანის გამორჩეული წარმატება შეიძლება „ნავთობის ეფექტად“ იქნეს შეფასებული, მაგრამ ნავთობის მწარმოებლები არ არიან არც ირლანდია, რომელმაც კრიზისის ფონზეც კი შესძლო ერთ მოსახლეზე გადათვლით მშპ-ს გაორმაგება და არც სამხრეთ კორეა, ზრდის 137%-იანი მაჩვენებლით. ორივე ამ ქვეყანამ წარმატებას გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკით მიაღწია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 1997 წლიდან 2003 წლის ჩათვლით გაიზარდა 70%-ით, ხოლო 2004 დან 2010 წლის ჩათვლით, 36%-ით. (მსოფლიო...2015)

ამ ექსპერიმენტის ძირითადი და ფართოდ აფიშირებული იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ე. წ. „გარღვევის“ სტრატეგიით ქვეყანა შეძლებდა განვითარების მაღალი ტემპის მიღწევას, რაც საბოლოოდ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველი გახდებოდა. თუ რევოლუციურ ხელისუფლებას მართლაც ჰქონდა გარკვეული ლიბერტიარიანული შემართება, ფაქტია, რომ იგი ძალიან მალე გაუფერულდა, რადგან უმოკლეს დროში ნათელი გახდა რომ „ლიბერტიარიანული სასწაული“ საქართველოში ვერ შედგებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მსოფლიოში ასეთი პრეცედენტი არ არსებობს. თუმცა მთავარი მიზეზი ისაა, რომ 2003 წლიდან დღემდე სრულფასოვნად და თანმიმდევრულად არანაირი ეკონომიკური პოლიტიკა არ განხორციელებულა. შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის მიღმა, რეალური „გარღვევა“ არ შედგა.

ეკონომიკა სტრუქტურულად კვლავაც პრობლემურ დონეზე დარჩა - დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავების ნედლეულის ექსპორტის ამარა (საქსტატი...2015) დარჩა, ხოლო გლობალური კონკურენტუნარიანობის კუთხით არა თუ დაწინაურდა,

არამედ, საგრძნობლად ჩამორჩა საერთაშორისო თანამეგობრობას, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ბიზნეს-განათლების, ბიზნესის „მოქნილობის“, ტექნოლოგიური მზადყოფნის და ინოვაციების დარგში, რის გამოც საბოლოოდ არა თუ ინოვაციური, ეფექტიანობაზე ორიენტირებული ქვეყნების სიაშიც კი ვერ მოხვდა. (გლობალური...2015)

საზოგადოებრივი ნდობის ამოწურვის ფონზე, ხელისუფლებამ უმატა ძალადობრივი ზომების გამოყენებას და დასავლელ პარტნიორებთან ამ ქმედებების გამართლების მიზნით დაიწყო პროპაგანდა, რომ ქართული საზოგადოება არ არის მომწიფებული დემოკრატიისათვის და სწორედ ამიტომ, ხელისუფლება იძულებულია იმოქმედოს „ლის თეზისის“ თანახმად. აღნიშნული თეზისი, რომლის სახელი სინგაპურის ყოფილი პრემიერის, ლი კვან იუ-სთანაა დაკავშირებული, გულისხმობს, რომ რეფორმების წარმატებას დემოკრატია არ სჭირდება და იგი ხელის შემშლელიც კი არის. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ დეკლარირებული ევროინტეგრაციის მიღმა, ხელისუფლების პერმანენტული სწრაფვა „სინგაპურიზაციისაკენ“ ძირითადად ავტოკრატის ხიბლით არის განპირობებული და არა ეკონომიკური მოდელისა, რადგან სინგაპურს, რომელიც ქალაქ-სახელმწიფოს წარმოადგენს, ეკონომიკის სრულიად განსხვავებული სტრუქტურა აქვს და სამომავლოდ, იგი ვერანაირად ვერ გახდებოდა ქართული ეკონომიკის განვითარების სამაგალითო მოდელი.

ამ ფონზე, მთავრობის მიერ დეკლარირებული წარმატებები ბევრ ეჭვსა და ლოგიკურ კითხვას ბადებს: რამდენად ადექვატურია მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდის ტემპი იმ რესურსთან მიმართებაში, რომელიც ამისთვის დაიხარჯა; რამდენად მდგრადია მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკების ფონზე განვითარების დინამიკა; რატომ არ ასახელებს მთავრობა მისი წარმატებების შეფასებისათვის აუცილებელ სამიზნე ინდიკატორებს და მხოლოდ პროცესების დეკლარირებით შემოიფარგლება.

რიგ შემთხვევებში, მთავრობის წარმატებები ციფრებით მანიპულირების პირდაპირი შედეგია: მაგალითად, ფართოდ იქნა აფიშირებული 2012 წლის აპრილში სურსათის ფასების 8 პროცენტით შემცირება, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, იგივე პროდუქტები 28 პროცენტით გაძვირდა და 2012 წელსაც რეალურად ფასები კვლავაც 18 პროცენტით უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2010 წელს, რაც სამწუხაროდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციად იქცა და

ანალოგიური შედეგია 2012–2014 წლებშიც. რიგი ქვეყნების სწრაფი წარმატება გარკვეული „ბონუსების“ გონივრულ და ეფექტიან გამოყენებასთანაა დაკავშირებული.

ზოგჯერ ასეთ ბონუსს ბუნებრივი რესურსები წარმოადგენდა, ზოგჯერ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ან ისტორიულ-კულტურული ფაქტორები. საქართველოში, გეოპოლიტიკური, აკადემიური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და მრავალი სხვა პოლიტიკის უხეში ხარვეზების გამო, მხოლოდ ამგვარ „ბონუსებზე“ აქცენტი არა თუ შეცდომა, არამედ დამლუპველიც კი აღმოჩნდა გასულ წლებში. ჩვენს შემთხვევაში, რეალური გარღვევა მაღალი დონის განათლებისა და რაციონალური ინოვაციის სინთეზის გარეშე ვერ შედგება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“, ორივე აღნიშნული კომპონენტის მიხედვით, ძალიან საგანგაშო მდგომარეობაზე მიგვითითებს, განსაკუთრებით, სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ჩვენეული ხედვა ცალსახად აღიარებს ლიბერალიზმის საყოველთაო პრინციპებს და საკვანძო პრიორიტეტების ფორმირების ნაწილში, მნიშვნელოვნად იზიარებს „ახალი სტრუქტურული ეკონომიკის“ კონცეფციას (იფუ ლინ 2011, გვ.198). აღნიშნული თეორია ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს დასავლეთის აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში იმ ფონზე, რომ 2008 წელს დაწყებულმა გლობალურმა კრიზისმა ნათლად აჩვენა საბაზრო ფუნდამენტალიზმის „შედეგები“, რაც მკაფიოდ გამოჩნდა მცირე ქვეყნებში (უეიდი 2011, გვ.115).

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში განვითარების გრძელვადიანი და სტაბილური პროცესის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი პრინციპების დაცვა:

✓ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისტემის გარდაქმნის საწყის ეტაპზე. შესაბამისად, საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე, განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ობიექტური ინდიკატორების ან მაჩვენებლების რეფორმების მიღწევას. ყველა შემდგომი საკანონმდებლო ინიციატივა უნდა განიხილებოდეს განვითარების სტრატეგიით. განვითარების სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრება ყველა ფუნქცია, რომელიც აუცილებელია სტაბილური განვითარებისთვის ან საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. ეს ფუნქციები შეიძლება დინამიურად გადაინაწილდეს სახელმწიფო, კერძო ბიზნესი და საზოგადოება გადახალისების სხვადასხვა ეტაპებზე;

✓ ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზაცია, რომლის მიზანი ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაა, პრიორიტეტების სუბიექტური და დირექტიული განსაზღვრის ნაცვლად, ქვეყნის შედარებითი უპირატესობების გონივრულ გამოყენებას ემყარება. ასეთმა მიდგომამ, იმპორტის ჩანაცვლებაც გრძელვადიან პერსპექტივაში, ობიექტურად უნდა განაპირობოს რიგ სტრატეგიულ დარგებში;

✓ სახელმწიფო ახორციელებს გლობალური რისკების მართვას საკუთარი აქტივების ოპტიმალური განკარგვისა და რეზერვების ფორმირების საშუალებით. ანიჭებს რა უპირატესობას პრევენციას რეაგირებასთან მიმართებაში, არ უარყოფს საკუთარ როლს როგორც გარე, ისე შიგა შოკებთან გამკლავების საქმეში. ამ პოლიტიკის ნაწილია ფისკალური სტიმულირება ეკონომიკური ციკლების დაღმავალ ეტაპებზე;

✓ სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს ფორმირებას. ხელს უწყობს თანამედროვე, მოქნილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, რაც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა აგენტისთვის;

✓ ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მდგრადი განვითარების პრაგმატულ მოდელს. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური, ფინანსური და რეალური კაპიტალის აკუმულაციას, ასევე, ამოწურვადი რესურსების ადეკვატურ რეგენერაციას.

ყოველივე ამის ფონზე საიმედოა ის, რომ საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, რაც საქართველოს მთავრობის, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი, რაც დღეს არსებული 7 მილიარდიდან 9 მილიარდს მიაღწევს. ამასთანავე, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობისა და

ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით დამატებით გამოწვევებს ქმნის. ეს პრობლემები ამჟამად მიმდინარე გლობალური საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მწვავედება. ცხადია, საქართველო, როგორც გლობალური ეკონომიკის ნაწილი, არსებული პროცესების მიღმა ვერ დარჩება. ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას სიღარიბის, მათ შორის, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა. აქედან გამომდინარე, უახლოესი წლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების იმგვარი მოდელის შემუშავებაა, რომელიც მოსახლეობას ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სურსათით დააკმაყოფილებს. ასევე, ხელს შეუწყობს კონკურენტული უპირატესობის მქონე პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გამოყენებას.

წინამდებარე მიდგომები და მოსაზრებები ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველია, რომელიც ძირითადი საშუალოვადიანი სტრატეგიული მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას მოიცავს. ამ ღონისძიებათა განხორციელება სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. დღესდღეობით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაკუთრებულად აფასებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა, დონორი ორგანიზაციების, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO), სოფლის მეურნეობის და სოფლად განვითარებისათვის (ENPARD) ძალისხმევას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს. (საქართველოს...2015ბ, გვ.10)

ამჟამად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად ქვეყნის დასაქმებული სამუშაო ძალის 54% ითვლება, საიდანაც 98% თვითდასაქმებულია. აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის, მათ შორის, აგროტურიზმის ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელზე. საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2013 წელს, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი საერთო დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამავე დროს, ქალაქად

და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრებთა ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობა დაბალია.

ბოლო წლების განმავლობაში მთლიან შემოსავალში დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის წილი იზრდება, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის წილი 2013 წლისათვის მხოლოდ 11.6 %-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომერციული მეურნეობები სუსტადაა განვითარებული. არსებულ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი ე. წ. ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში იზრდება ხანდაზმულთა პროცენტული წილი, რაც ართულებს დემოგრაფიულ ვითარებას სოფლად. (სოფლის...2013ა, გვ.15)

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი გრძელვადიანი პოლიტიკის გარეშე (რაშიც ახალგაზრდობის დასაქმების სტიმულირებაც მოიაზრება), წარმოების არსებული დონის შენარჩუნება, შემდგომი ზრდა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება გართულდება. სოფლის მეურნეობა სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთ სენსიტიურ დარგს წარმოადგენს და მისი განვითარება სტიქიური პროცესების შედეგებზეა დამოკიდებული. საქართველოში გავრცელებული ძირითადი სტიქიური მოვლენები (მიწისძვრები, წყალდიდობა-წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავები, სეტყვა, თავსხმა წვიმები, ძლიერი ქარები, გვალვა და სხვ.) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს აზარალებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ეკონომიკას. ამიტომ, არსებული რისკებიდან გამომდინარე, აუცილებელია დროსა და სივრცეში სტიქიური მოვლენების დეტალიზირებული, დაწვრილებითი პროგნოზირებისა და მრავალწლიური მონაცემების მომზადება და მიწოდება.

2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი არ განიხილებოდა პრიორიტეტულად (თუმცა დეკლარირება ხდებოდა) და შესაბამისად, ამ სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ცვალებადი იყო. 2010 წელს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მინიმუმი დაფიქსირდა. მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში მხოლოდ 0,44%-ს შეადგენდა.

2007-2011 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველ ფენებზე ორიენტირებული პროგრამებისთვის გამოიყოფოდა

თანხა, რაც მოსახლეობის ფქვილით, სურსათითა და საწვავით ნაწილობრივ უზრუნველყოფას ხმარდებოდა.

2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროში თანამშრომლების ოდენობა 87%-ით შემცირდა, რითაც ამ უწყების კანონით დადგენილ მოვალეობათა განხორციელების უფლებამოსილება შეიზღუდა. გაუქმდა 19 მარეგულირებელი, საინსპექციო უწყება და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური სამსახურები. (სოფლის...2008, გვ. 13)

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდის, რომლის აღმოფხვრა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. აგროკრიზისის დაძლევა და დარგის ეფექტიანი ფუნქციონირება დღეს არსებული საბაზრო კონიუქტურის პირობებში აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის რთულ პროცესებთანაა დაკავშირებული, რომელთა რეგულირება სოფლის მეურნეობის ინტეგრაციის გარეშე შეუძლებელია. წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრა მოითხოვს ანალიზს, რაც თანამედროვე მეთოდოლოგიაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

საქართველოს მოსახლეობის სურსათის, განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოების სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის პრობლემა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდანვე შეიქმნა და ის სამწუხაროდ, შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს სამხარეო-ტერიტორიულ ერთეულებში, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონების სოფლის მეურნეობა ძირითადად ორიენტირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ამ სექტორის პროდუქციის გასაღების საგარეო ბაზარი პოსტსაბჭოთა სივრცე იყო, რაც დღეისათვის იმდენად შეზღუდულია, რომ შეიძლება ითქვას, სატრანსპორტო-საბაჟო დანახარჯების გათვალისწინებით, პრაქტიკულად თითქმის აღარ არსებობს. 1990-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს, მკვეთრად დაეცა პროდუქციის წარმოების მოცულობა და ხარისხი, რაც ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე დარგის მაღალი დამოკიდებულებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჩანაგებითაა გამოწვეული.

1990–იანი წლების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი გახდა. სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი წარმოების საშუალებების დეფიციტი შეიქმნა, ამკარად შესამჩნევი გახდა სასოფლო–სამეურნეო სავარგულების წვრილკონტურიანობა. სოფლებში მათი დაფანტულობის გამო გაძნელდა პროდუქციის დიდ პარტიებად წარმოება და ტრანსპორტირება, ქალაქის მოსახლეობა კი პროდუქციის უკმარისობას განიცდის. ადგილობრივი ბაზარი იმპორტული უხარისხო პროდუქციით გაჯერდა. ყოველივე ეს კი სოფლის მეურნეობის ფერმერთა პროდუქციის წარმოების გადიდების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავების წინაპირობებს უნდა ქმნიდეს.

2012 წელს ახალმა ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი. საქართველოში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო–სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას, მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციულ ღონისძიებათა ჩატარებას, თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობა აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიკაციას.

2013-2015 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევითა და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად გარკვეული პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ფერმერთა პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: (საქართველოს...2015ბ, გვ.15–16)

1. ყურადღება უნდა მიექცეს და ხელი შეეწყოს სოფლად საწარმოთა ახალი ფორმების ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას; უნდა დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის რეფორმებისათვის საჭირო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა:

2. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს სტიქიურად მიმდინარე პროცესების რეგულირება, მათი ნელა, მდორედ განვითარება და გარკვეულ ჩარჩოებში მისი მოქცევა;

3. ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, ტექნიკური საშუალების მიწოდებისას უნდა დაინერგოს ახალი ფორმები;

4. აუცილებელია მოხდეს ერთიანი პოლიტიკის შემუშავება ყველა იმ უწყების მიერ, რომლებიც სოფლის განვითარების კონკრეტული მიმართულებებით იმუშავებენ. სოფლის განვითარება მრავალ მიმართულებას გულისხმობს და მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სოფლის მეურნეობაა. არაერთი უწყების მიერ სოფლის განვითარების მრავალი პროექტი ხორციელდება. ამ პროექტების ერთიანი ხედვით, სტრატეგიით განხორციელება დასახულ მიზნამდე სწრაფად მიღწევის საშუალებაა.

ამრიგად, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ეს სექტორი ხელისუფლების მხრიდან აქტიურ მხარდაჭერას საჭიროებს, რადგანაც საქართველო დაადგა ღია ეკონომიკის განვითარების გზას, ადგილობრივი ფერმერები ღიად შედიან კონკურენციაში იმპორტულ აგრო-სასურსათო პროდუქციასთან. აგრარულ მეწარმეებს უჭირთ დამოუკიდებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში უცხოელ პარტნიორებთან და მომხმარებლებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა დამყარება (საქართველოს...2015ბ, გვ.17).

საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, მცირე ერების ფერმერული მეურნეობები უფრო მეტად არიან დამოკიდებული უცხოეთიდან შხამქიმიკატების, სასუქების, შრომის იარაღების, სახნავი ტექნიკის, მანქანა-დანადგარების, ტრაქტორების, სამელიორაციო მოწყობილობების მიწოდებაზე, ვიდრე – პიროქით. თანამედროვე მსოფლიო აგრო-სასურსათო პროდუქციის მძაფრ დეფიციტს განიცდის. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის აგრო-სასურსათო სექტორის განვითარებაზე საზღვარგარეთ მიმდინარე მოვლენები სწრაფად ჰპოულობს ასახვას.

საქართველო მკვეთრად არის დამოკიდებული უცხოური აგრო-სასურსათო საქონლის იმპორტზე. სამამულო ბაზარზე რეალიზებული აგრო-სასურსათო პროდუქციის ნახევარზე მეტი საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე მოდის. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია სურსათის სარეალიზაციო ბაზარზე. მაგალითად, ხორბალი

სტრატეგიული მნიშვნელობის კულტურაა, რაც ბევრ ქვეყანაში არამარტო ეკონომიკური არამედ, პოლიტიკური თვითმყოფადობის მიღწევის და შენარჩუნების ატრიბუტად არის ქცეული. 1995 წლიდან 2012 წლამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ხორბლით თვითურუნველყოფის კოეფიციენტი 8%-დან მხოლოდ 21%-მდე გაიზარდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ხორბლით თვითურუნველყოფის დონე თანამედროვე ეტაპზეც დაბალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამამულო ხორბლის წარმოების პოტენციალი 2012 წლამდე მხოლოდ უმნიშვნელოდ იყო ათვისებული, რაც ნაწილობრივ იმით იყო განპირობებული, რომ მოსავლის აღების პროცესში მოძველებული ტექნიკით სარგებლობის გამო, მნიშვნელოვან დანაკარგებს აქვს ადგილი. ასეთივე სურათს იძლევა აგრარული სექტორის საერთო მაკროეკონომიკური ანალიზიც. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქციის მხოლოდ 12 %, მაშინ როცა ამ სფეროში მოსახლეობის 54% დასაქმებული.

სოფლის მეურნეობაში მოხმარებული რესურსების 60-65 პროცენტი სამრეწველო წარმოებისაა. დაანგარიშებულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ერთი პროცენტული მუხლით გაზრდა იწვევს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 2-3 პროცენტით გაზრდას, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, როგორც წესი, უმჯობესდება მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხი, მცირდება იმპორტული სურსათის მოცულობა, რაც, დადებითად აისახება საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის დონის ამაღლებაზე.

სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მისი რეალიზაცია სოფლის მეურნეობის ორივე ძირითადი დარგის – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების დონესა და ტემპებზეა დამოკიდებული. (კოლუაშვილი...2015, გვ.245)

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, აგრარული სექტორის პროდუქტიულობას ვარდნის ტენდენცია ახასიათებს. გარდა ამისა, სოფლად მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ეკონომიკურად გაუმართლებლად მიიჩნევა მიწაზე შრომას. ეს იმით არის განპირობებული, რომ თითოეულ კომლზე განაწილებული მიწის მცირე ფართისა და აგრარული ნაწარმის საბაზრო, დაბალ ფასად, რეალიზაციის პირობებში მიღებული ფი-

ნანსური შემოსავლები არაა საკმარისი ოჯახის გამოსაკვებად. ამიტომ, შრომის, რეალურად ანაზღაურებადი განაკვეთების მქონე სამუშაოს საძიებლად, სოფლად მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი ქალაქად, ან უცხოეთში არის გადახვეწილი. სავსებით მოუგვარებელია გლეხებისაგან აგრარული ნაწარმის შესყიდვის საკითხიც.

საერთაშორისო აგრო-სასურსათო ბაზარზე ფასების ვარდნის გამო, მსოფლიო წარმოების სტაგნაციის პირობებში აგრო-სასურსათო პროდუქციის გლობალური დეფიციტის წარმოქმნას უნდა ველოდოთ. ეს მაშინვე ჰპოვებს ასახვას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აგრო-სასურსათო საქონლის იმპორტით უზრუნველყოფაზე, რადგანაც საქართველოში მაღალია იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების დონე. ეს გამოიწვევს თანხების საზღვარგარეთ გაჟონვას და მოსახლეობის ისედაც დაბალი მსყიდველუნარიანობის კიდევ უფრო ვარდნას, მათი სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის შემდგომ დაქვეითებას. მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლების ერთადერთი რეალური გზაა სამამულო აგრარული პროდუქციის წარმოების გაფართოება, მით უმეტეს ამ სფეროში ჩვენს ქვეყანას წარმოების უდიდესი პოტენციალი აქვს.

დღემდე მის ამოქმედებას სახელმწიფოს მხრიდან ხელს უშლიდა ამ სექტორის განვითარებაზე არაადეკვატური მიდგომა (რომელიც მხოლოდ მიკროსაფინანსო სესხების გაცემით შემოიფარგლა), მისი პრიორიტეტულ დარგად დაგვიანებით გამოცხადება, არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა, იმპორტისაგან სამამულო აგრარული ნაწარმის არასათანადოდ დაცვა და სხვა. საქართველოს მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის დაბალი დონის პირობებში, იმპორტიორი კომპანიების ინტერესთა ზედმეტად ლობირება ქვეყნის ეკონომიკური „კოლაფსის“ ტოლფასია. სასურსათო უსაფრთხოების დონის დაქვეითება სოფლის მეურნეობაში არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებითაა განპირობებული, აგრარულ სექტორზე სახელმწიფო მხარდაჭერის დაბალი დონით, უცხოეთის იაფი, მაგრამ უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქციით სამამულო ბაზრის გაჯერებით და ა. შ. საქართველოში აგრარული რეფორმა სათანადო დონეზე ვერ გატარდა. იგი ხშირად არ იყო კარგად გააზრებული და თავიდანვე განწირული ჩანდა. შედეგი ვერ გამოიღო აგრეთვე, სოფლის მეურნეობის რესტრუქტურის მიზნით, უცხოელი სპეციალისტების ზემოდადანი ანაზღაურებით დაქირავებამაც.

ხელაღებით გაუქმდა სოფლის მეურნეობის მსხვილი საწარმოები. მრავალი წლის მანძილზე ამ საწარმოებში დაბანდებული კაპიტალი განიავდა. სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობაზე გულგრილმა და არაადექვატურმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო გააღრმავა სოფლის მეურნეობის კრიზისი. მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და მეცნიერული პროგრამების შედგენის ნაცვლად, მიწების ხელში ჩაგდების მოტივით, სოფლის მეურნეობაში ნაჩქარევად განხორციელდა რეფორმა. სწრაფად განადგურდა დიდი ფართობის მქონე ვენახები, ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები და აგრო-სამრეწველო კომპლექსები. გლეხობას შრომის არახელსაყრელი პირობები შეექმნა.

გაიჩეხა მრავალწლიანი ნარგავები. აგრარულ სექტორში საერთოდ არ გაითვალისწინება მეცნიერ-ეკონომისტთა რეკომენდაციები. დაუშვებელია მიწების უცხოელებზე გაყიდვა, რადგანაც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ქვეყნის შიგნით ტერიტორიების საკუთრებაში შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად განადგურდა მევენახეობა. გლეხობა ფსიქოლოგიურად დაითრგუნა. სამწუხაროა ის, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის დარგთა კომპლექსური განვითარების გეგმა არ გააჩნია, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს აგრარული სექტორის პრიორიტეტები. სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე, საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების სწორი მიმართულებების შერჩევა სწორედ მთავრობის პრეროგატივაა. ამით მაქსიმალურად იქნება ამოქმედებული სოფლის მეურნეობაში არსებული პოტენციალი, რაც საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, სოფლის მეურნეობას საქართველოს ეკონომიკაში უაღრესად დიდი როლი აკისრია. ერთის მხრივ, იგი მოსახლეობას აძლევს სურსათს, ეკონომიკის სხვა სექტორებს კი - ნედლეულს, ხოლო მეორეს მხრივ, შრომატევადი აგრარული დარგების განვითარებით, ხელს უწყობს ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი ოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, ამ სექტორის ფუნქციონირება მოთხოვნას სხვა სექტორების რესურსებზე ქმნის და ამით ადგილობრივი ბაზრის ტევადობას ზრდის.

აგრო-სასურსათო სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას ქმნის. ნედლეულის

მომპოვებელი დარგების ნაცვლად, სოფლის მეურნეობაში უმჯობესია აგრარული პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოთა განვითარება, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, უცხოური ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების სწორი საინვესტიციო პოლიტიკა იქნება ინვესტიციების არა მომპოვებელ დარგებში, არამედ აგრო–სასურსათო საწარმოებში დაბანდება.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა, მრეწველობასთან შედარებით, უფრო დაბალი ტემპით ხასიათდება. ამ სექტორში შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა განპირობებულია იმით, რომ აგრარული პროდუქციის ექსპორტიორ ქვეყნებს ისე არ ეზრდებათ შემოსავლები, როგორც მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ სამთავრობო პოლიტიკის მუდმივი ზრუნვის საგანს აგრარული სექტორის იმპორტშენაცვლებადი, და არა ექსპორტგამაფართოებელი ზრდა უნდა წარმოადგენდეს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ აგრარული პროდუქციის ექსპორტით სოფლის მეურნეობა ქვეყანას აძლევს მრეწველობისა და მომსახურების პროდუქციის ექსპორტთან შედარებით უმნიშვნელო სავალუტო შემოსავლებს. ამასთან ერთად, აგრარული ნაწარმის ექსპორტი აძვირებს მას შიდა ბაზარზე, აქვეითებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას, ხოლო ამისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობის იმპორტშენაცვლებადი განვითარება, იმპორტის შემცველი აგრარული პროდუქციის წარმოებით, მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსახლეობის იმპორტზე დამოკიდებულების დონეს, სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების დონეს.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული, ზემოთ განხილული პრობლემების აღმოფხვრისა და მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების მიზნით, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებანი გატარდეს:

1. აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საჭიროა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი გრძელვადიანი კონცეფცია, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს ამ სფეროს განვითარების სწორი პრიორიტეტები და ეფუძნებოდეს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპს;

2. უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელშემწყობი საბაზრო ინფრასტრუქტურა, უნდა დაიწყოს აგრარული წარმოების ოპტიმიზაციაზე დამყარებული აგრარული სექტორის ორგანიზაციულ–სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი;

3. საჭიროა მოხდეს აგრო-ტექნიკის იმპორტის სუბსიდირება, შეიქმნას გასაღების ხელსაყრელი პირობები, ჩამოყალიბდეს აგრარული ნაწარმის გადამმუშავებელი საწარმოები, რომელშიც უნდა დაინერგოს ინოვაციური პროგრამული ტექნოლოგია;

4. უპირობოდ უნდა შესრულდეს მეცნიერულ-ტექნიკური რეკომენდაციები, იმავე დროულად, საჭიროა ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერება, გაიზარდოს მოყვანილი აგრარული ნაწარმის გასაღების გარანტიები;

5. აქტიური ბრძოლა უნდა გამოცხადდეს ქართული სავაჭრო ნიშნით, ფალსიფიცირებული აგრო-სამრეწველო საქონლის: სურსათის, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოებას. ფალსიფიკატორთა სასამართლო წესით დაჯარიმების ხარჯზე უნდა მოხდეს იმ ზარალის კომპენსაცია, რაც სამამულო აგრარულმა კომპანიებმა, პროდუქციის გასაღების შემცირებისა და მათი რეპუტაციის დაქვეითების გამო განიცადეს.

საქართველო აქტიურად დაადგა ღია ეკონომიკის განვითარების გზას. ეროვნული მეურნეობის საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესი მეტად მტკივნეულად წარიმართა იგი განსაკუთრებით მწვავედ შეეხო სოფლის მეურნეობას, რაც სასურსათო პროდუქციის საიმპორტო-საექსპორტო პოტენციალის დისბალანსის პრობლემითაა გამოწვეული. ადგილობრივი ფირმების საზღვარგარეთის, მძლავრ კომპანიებთან თანაბარ კონკურენციაში ჩაყენებამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი სარეალიზაციო ბაზრებზე მათი პროდუქციის დამკვიდრებას. მნიშვნელოვნად იკლო ადგილობრივი ნაწარმის დამზადებისა და რეალიზაციის (განსაკუთრებით ექსპორტის) მოცულობამ. ამის შედეგად საქართველო სასურსათო უსაფრთხოების დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ქვეყანა მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება მაშინ, თუ სასურსათო პროდუქციის იმპორტის ხვედრითი წილი აღემატება სასურსათო ბაზრის საერთო მოცულობის 30 %-ს. ამ მხრივ კი საქართველოში მართლაც რომ საგანგაშო მდგომარეობაა, რადგანაც ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზებული აგრარული პროდუქციის 3/4 ნაწილი იმპორტულ ნაწარმზე მოდის.

ქვეყნის აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების განვითარების მხარდაჭერისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ამ სფეროში მიღწეული დადებითი ტენდენციების დამკვიდრების მიუხედავად, ფერმერთა დაფინანსება-

დაკრედიტების სისტემა სრულყოფას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა და სპეციალისტთა მოსაზრებებს, რომელთაც ფერმერთა ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დამოუკიდებელი, ძლიერი და ეფექტიანად მოქმედი შეღავათიანი სისტემის შექმნა მიაჩნიათ, ხოლო სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტიული პოლიტიკა სუბსიდიებით უზრუნველყოფისაკენ იქნება მიმართული (კაკულია...2003, გვ.32–33).

სასურსათო პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილის საზღვარგარეთ „გაჟონვა“ გამოიწვია, რამაც ჩვენი ქვეყნის ფინანსური მდგრადობა შეარყია. ამ პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი რეალური გზაა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების, საკუთარი წარმოების აგრო-სასურსათო პროდუქციით მაქსიმალური დაკმაყოფილება და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის, სურსათზე არსებული ადგილობრივი მოთხოვნის შესაბამისად, რაციონალიზაცია. აღნიშნული პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ ადგილობრივი ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულად აისახა საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგებზე. აგრარული სექტორი ყოველთვის შესაბამისობაში უნდა იყოს სურსათის მრეწველობის ქვედარგებთან, რათა სრულყოფილად განვითარდეს აგრო-სამრეწველო კომპლექსი და დამზადდეს იმპორტთან მიმართებაში კონკურენტუნარიანი ადგილობრივი სასურსათო პროდუქცია. იმავდროულად საჭიროა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები, სურსათის წარმოებისა და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები. საქართველოს აგრო-სასურსათო სექტორი გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი მრავალფეროვანი კლიმატური პირობებით, რთული რელიეფით და მცირე მიწიანობით გამოირჩევა. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების სწორად განსაზღვრა, მისი პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება. პრობლემის აღმოფხვრას ართულებს ისიც, რომ საქართველოს აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის ხშირი ცვლილება, რაც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი კლიმატითაა განპირობებული.

თანამედროვე ეტაპზე აშკარად შესამჩნევია ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი ვერ უზრუნველყოფს ხორბლის, რძის პროდუქტების, შაქრის, ზეთისა და სხვა სასურსათო საქონლის იმ რაოდენობით წარმოებას, რათა მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. სწორედ სასურსათო საქონლის ადგილობრივი წარმოების (მიწოდების) მოთხოვნაზე მკვეთრად ჩამორჩენამ განაპირობა სასურსათო პროდუქციის მზარდი იმპორტი, რაც შესაბამისი სავალუტო რესურსების გამომუშავებას მოითხოვს. აგრარულ სექტორში არსებული პოტენციური შესაძლებლობები იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ ჩვენს ქვეყანას სურსათზე არსებული ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც და ბევრი აგრარული დარგის მიერ წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ ექსპორტიც შეუძლია.

თავის მხრივ, ამან, უნდა აამაღლოს საქართველოს საექსპორტო პოტენციალი, ხელი შეუწყოს ადგილობრივი აგრარული პროდუქციის საგარეო ბაზარზე დამკვიდრებას და შედეგად, საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის მოთხოვნა-მიწოდებასა და კლიმატურ პირობებთან შეთანაწყობა ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ამაღლების საფუძველი უნდა გახდეს.

თანამედროვე ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოების მოცულობამ ჩვენი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 12% შეადგინა, ხოლო ექსპორტის საერთო მოცულობაში აგრარული პროდუქციის ხვედრითმა წილმა მხოლოდ 24% ცხადია, ეს აგრარული პროდუქციის წარმოების ისეთი მაღალი პოტენციალისა და ლანდშაფტის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა - დაბალი მაჩვენებლებია.

სოფლის მეურნეობის დარგთაშორისი ბალანსისა და მოსახლეობის მოთხოვნის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით უზრუნველსაყოფად საჭიროა შეფასდეს ჩვენი ქვეყნის სურსათის მრეწველობის გადამამუშავებელ საწარმოთა პოტენციური სიმძლავრეები, ახალ საწარმოთა გახსნის შესაძლებლობები, ექსპორტ-იმპორტის მოცულობები და ა.შ. თავდაპირველად დადგინდეს სოფლის მეურნეობის დარგთა სასტარტო მდგომარეობა და დაისახოს მათი განვითარების პერსპექტივებიც, რათა სასურსათო ბაზრის გაჯერება ადგილობრივი და იმპორტული აგრარული პროდუქტების ოპტიმალური კოორდინაციით მოხდეს. ამის შემდეგ გამოიკვეთოს ის პრიორიტეტული დარგები, რომელთა განვითარებასაც ჩვენი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ამაღლების კუთხით სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. ჩვენი აზრით, ასეთ

პრიორიტეტულ დარგებში, საჭიროა ამოქმედდეს მინიმუმ 100-მდე კონკურენტუნარიანი საწარმოო.

საჭიროა იმავდროულად ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს აგრარული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მოცულობა, მოხდეს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის რაციონალიზაცია, რათა ადგილობრივი აგრარული პროდუქციის ის რაოდენობა დადგინდეს, რომლის დამზადებაც საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის აუცილებელია. სურსათის მრეწველობის ის დარგები უნდა გამოვლინდეს, რომელთა სიმძლავრეების დაბალი დონეც სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარებას აფერხებს.

საქართველოს მოსახლეობის გამოსაკვებად 1,2 მლნ. ტონა ბოსტნეული, 0,3 მლნ. ტონა კარტოფილი, 0,8 მლნ, ტონა ხეხილი, 0,6 მლნ. ტონა ხორცი და ხორცის პროდუქტები, 2,8 მლნ. ტონა რძე და რძის პროდუქტები, 994 მლნ. ცალი კვერცხი, 3,2 მლნ. ტონა შაქარი, 40 ათასი ტონა ზეთია საჭირო. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში სასურსათო პროდუქციით საგარეო ბაზრის (ციტრუსით, ღვინით, მინერალური წყლით და ჩაით) მნიშვნელოვანი გაფართოება ნაკლებად მოსალოდნელი იყო. ამიტომ აგრარულ სექტორში მიმდინარე ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდება: გაიზრდება მარცვლეულის, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოება, მით უმეტეს, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ამ პროდუქტებზე მსოფლიო ფასები 30-35 %-ით გაიზარდა და უახლოეს მომავალში მათი კიდევ უფრო ზრდაა მოსალოდნელი. ამ პროდუქტებზე სამამულო მოთხოვნა არაელასტიურია, ამიტომ მათ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს გარანტირებული ფულადი შემოსავლები აქვთ.

სასურსათო ბალანსის სწორი ფორმირების მიზნით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს შემდეგ ორ ძირითად მიმართულებას:

1. სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში გაიზარდოს სასურსათო პროდუქციის (მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ზეთის, რძისა და ხორცის პროდუქტების) მწარმოებელი დარგების ხვედრითი წილი;

2. ინტენსიურად განვითარდეს ისეთი მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოება, რომელთა მოვლა-მოყვანას კარგი ნიადაგურ-კლიმატური პირობები უწყობს ხელს. ესენია ჩაი, ციტრუსი, ყურძენი, ხილი და ა. შ.

საქართველოს სურსათით უზრუნველყოფის სფეროში მეცხოველეობას ყოველთვის გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა, რომლის ეფექტიანობის ამაღლება ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. საქართველოს ყოველწლიურად 0,15 მლნ. ტ. საქონლის, 0,15 მლნ. ტ. ღორის, 0,15 მლნ. ტ. ცხვრის, 0,03 მლნ. ტ. თხის, 0,05 მლნ. ტ. ქათმის ხორცისა და 1,3 მლნ. ცალი კვერცხის, 1,3 მლნ. ტ. რძის პროდუქტების, 36 ათასი ტ. მატყლის წარმოება შეუძლია, რაც ქვეყანას ამ პროდუქტების ზოგიერთი სახეობის მიხედვით ადგილობრივი მოთხოვნის ნაწილობრივ, ზოგიერთის მიხედვით კი მთლიანად დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს, ზოგიერთი სახეობის აგრარული და სასურსათო პროდუქციის შიდა წარმოებით კი მისი ექსპორტის განვითარების შესაძლებლობაც შეუძლია (საქსტატი...2016).

საქართველოს 10 თვის განმავლობაში შეუძლია საკუთარი მოსახლეობა ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტის პროდუქციით უზრუნველყოს, რითაც შესაძლებელი გახდება ქვეყნიდან განიდევნოს ეკოლოგიურად არასაიმედო იმპორტული ბოსტნეული და ბოსტნეულით ქვეყნის მომარაგების პრობლემაც გადაიჭრას. იმავდროულად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელია ავამაღლოთ ადგილობრივი სურსათის საწარმოთა წარმადობა, ამაღლდეს ბოსტნეულის ხარჯზე ადგილობრივ საწარმოებში დამზადებული სასურსათო პროდუქციის ხარისხი და ბოსტნეულის მზა ნაწარმი (კონსერვების სახით) საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ იქნეს გატანილი.

ჩვენს ქვეყანაში ბოსტნეულის პოტენციური წარმოების მოცულობა 1 მლნ. ტონას შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღმოფხვრის სურსათის იმპორტზე ჩვენი ქვეყნის მზარდი დამოკიდებულების პრობლემას. შაქრის ჭარხლის წარმოების გაზრდის შემთხვევაში, ყოველწლიურად შესაძლებელია წარმოებული იქნეს 0,17 მლნ. ტონა შაქარი, რაც სამამულო მოთხოვნას შაქარზე მხოლოდ 6 %-ით დააკმაყოფილებს. ამიტომ, ჩვენი ქვეყანა მომავალშიც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული შაქრის იმპორტზე. საქართველოს პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ყოველდღიურად წარმოებული იქნას 30 ათასი ტონა მზესუმზირას ზეთი, რაც ამ პროდუქციაზე არსებული ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ 75 %-ს დააკმაყოფილებს. (საქსტატი...2016).

საქართველოში ჩაის მოყვანა დაკნინდა, რის მიზეზიც მარკეტინგული სამსახურების განუვითარებლობით, სარეალიზაციო ბაზრების დაკარგვაა. ამის შედეგად, მნიშვნელოვნად განადგურდა ჩაის პლანტაციები. დარგის რეაბილიტაციისათვის აუცილებელია დროულად განხორციელდეს მიწის რეფორმა. სწორედ მიწის რეფორმის გაჭიანურების შედეგია ის, რომ მკვეთრად დაეცა ჩაისა და ციტრუსოვანთა პროდუქციის წარმოება, ხოლო ფერმერთა ინიციატივამ ისეთი ინტენსიური დარგების განვითარებაში, როგორცაა: ფეიოჰა, კივი და სხვა, სამთავრობო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადასაჭრელად, არამედ სასურსათო პროდუქციის ექსპორტის განვითარების თვალსაზრისითაც.

ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. მათი მოქმედების მიზანი საერთო უნდა იყოს და იგი საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ექსპორტის გაფართოებას უნდა მოიცავდეს. ჩვენი ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი მძიმე, კრიზისული მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ წამყვან ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა რეკომენდაციების გათვალისწინებითაა შესაძლებელი, ისიც აგრარული რეფორმის თანდათანობითი განხორციელების საფუძველზე, რადგანაც სოფლის მეურნეობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და იგი ვერ იტანს სწრაფ ცვლილებებს. ამ დარგში, შესაბამისად, ნებისმიერი, თითქოსდა უმნიშვნელო ცვლილებაც კი დიდ დარტყმას აყენებს მოსახლეობის უღარიბეს ფენებს. ამიტომ ცვლილებები უნდა გატარდეს ნელა, თანმიმდევრულად, რაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. (აჭარის...2016)

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერულად დასაბუთებული, გააზრებული საშინაო და საგარეო აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე, ადგილობრივი აგრარული პროდუქციის ძირითადი სახეობებით (შაქრის გამოკლებით). მხოლოდ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სურსათით მომარაგებაზე ტენდენციის აღება და სოფლის მეურნეობის დარგთაშორის სწორი ბალანსის შერჩევა, რაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის დონეს აამაღლებს და საქართველოს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას გადაჭრის.

1.3. აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციების ანალიზი და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე კონცეფციების გამოყენების შესაძლებლობათა ანალიზით ირკვევა, რომ საჭიროა საქართველო ნაკლებად დამოკიდებული გახდეს იმპორტზე. ყოველივე ამის შედეგად სხვა სახელმწიფოებს აღარ მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ზეწოლა მოახდინოს ჩვენს ქვეყანაზე, რაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის გარანტს შექმნის.

საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები მიმდინარეობს, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, სექტორის მდგრად განვითარებაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენენ (საქართველოს...2015ბ). საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის“ შესახებ, რომლის თანახმად, სსიპ-სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა განვითარების სააგენტო შეიქმნა, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, მათ ხელთ არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას.

სამინისტროს დაქვემდებარებაში ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტო“ შეიქმნა, მისი საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება საბანკო სექტორის მიერ. ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მცენარეთა ჯიშების გამოცდისა და სასელექციო სადგურების აღდგენა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკების შეფასება, ბიომეთოდების შემუშავება და განვითარება, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვ. (სოფლის...2015ა)

2013-2016 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწის დამუშავებული ფართობები, რაც შესაბამის მიზნობრივ ღონისძიებათა გატარებით იყო განპირობებული, მაგრამ, თუ

ასეთ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს ხანგრძლივ პერიოდში კერძო სექტორის ინიციატივა არ ჩაანაცვლებს, მიღწეული შედეგების შენარჩუნება გართულდება. 2014 წლიდან ვენახების კადასტრის მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც ქვეყანაში მევენახეობა-მელვინეობის სფეროს მოწესრიგებას ისახავს მიზნად. ვენახების კადასტრის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს ვენახების სრული აღრიცხვა და რეგისტრაცია ნაკვეთების მიხედვით. (ძლიერი...2015,გვ.72)

კადასტრის მონაცემები სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში განთავსდება. საკადასტრო-აზომვითი სამუშაოების პირველი ეტაპი რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის რეგიონში უკვე დასრულდა. ანალოგიური სამუშაოები გრძელდება კახეთის და საქართველოს მევენახეობის სხვა რეგიონებში. სამომავლოდ, ვენახების კადასტრის მონაცემების გამოყენებაა ნავარაუდები მევენახეობა-მელვინეობის დარგის მონიტორინგის, მევენახეობის ზონებისა და ქვეზონების საზღვრების დასაზუსტებლად. 2013 წელს დაწყებული სისტემური ღონისძიებების შედეგად, რაც არსებული საგარეო ბაზრების დივერსიფიკაციას და ახალი ბაზრების მოძიების ღონისძიებებს გულისხმობს, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი.

კერძოდ, 2000 წელს ექსპორტის ღირებულებამ 93 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2016 წელს - 2204 მლნ აშშ დოლარი. მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის, სპირტიანი სასმელების, ღვინის, მინერალური წყლების, ციტრუსისა და ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი. შესაბამისი ღონისძიებების თანმიმდევრულად გატარების შემთხვევაში, ქვეყნის აგრო-სასურსათო სექტორის საექსპორტო პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება (საქსტატი...2016). საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყანაა. იგი წევრ ქვეყნებთან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობს. ასევე, სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული (GSP) სისტემით აშშ-სთან, კანადასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და იაპონიასთან.

საქართველოს თურქეთსა და უკრაინასთან თავისუფალი, ხოლო დსთ-ს თითქმის ყველა ქვეყანასთან შეღავათიანი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული რეჟიმი (DEEP AND COMPREHENSIVE FREE TRADE AREAS (DCFTA)) მოქმედებს, რაც გულისხმობს

საქართველოდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თავისუფალ შეღწევას ევროკავშირის ბაზარზე მთელი რიგი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების ნეგატიური ეფექტის შემცირება გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა არა მხოლოდ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის შემაფერხებელი პრობლემების გადაუდებელი დაძლევის მოკლევადიან ღონისძიებათა გეგმა, არამედ, იგი გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასაც ახდენს, რაც ხელს შეუწყობს როგორც პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას, ასევე, სიღარიბის შემცირებასაც (საქართველოს...2015ბ,გვ.17).

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემდგომი დაჩქარების კუთხით, აგრო-ბიზნესმა უფრო მეტი როლი უნდა შეასრულოს. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია **7 ძირითადი მიმართულება** და შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა მიხედვით, მათი განხორციელების ვადებისა და დაფინანსების წყაროების მითითებით, სამოქმედო გეგმა შემუშავდა:

სტრატეგიული მიმართულება I: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. ფერმერთა ცოდნის ამაღლება და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მომსახურების გაწევა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ფერმერების, სოფლად დასაქმებულთა უნარებისა და შესაძლებლობების ამაღლებაა, რათა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის დარგის პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა. ამჟამად, ფერმერების უმეტესობა ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე, მოძველებულ ტექნოლოგიებს იყენებს. მათთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაცია თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიების შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სოფლის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირთა ექსტენცია განისაზღვრა. ცენტრი, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებთან თანამშრომლობით, სამეცნიერო კვლევებსა და საქართველოს რეალობაზე მორგებულ საინფორმაციო/საექსტენციო პაკეტებს ამუშავებს. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური

მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სამეცნიერო წრეებთან (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია), საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია მუშავდება.

2. პროფესიული სწავლების ხარისხისა და უმაღლესი განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა აგრარულ სექტორში. აგრარული სექტორისთვის დამახასიათებელი იყო მრავალსაფეხურიანი განათლების სისტემა - აგრარული სასწავლებლების, უმაღლესი და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახით, სადაც საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სპეციალისტები მზადდებოდა. დღეისათვის აღნიშნული სისტემა მოშლილია, რის გამოც აგრარული პროფილის სპეციალისტების ნაკლებობისა და სოფლის მეურნეობით ახალგაზრდების დაინტერესების პრობლემები მწვავედ დადგა. ცალკეულ დარგებში, განსაკუთრებით, სადაც ტექნიკური უნარ-ჩვევების დეფიციტია, ახალგაზრდებისთვის სპეციალური წამახალისებელი ღონისძიებები შემუშავდება. სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები გამიზნული იქნება მეწარმეთა პროფესიული დონის ამაღლებისა და დარგის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფისათვის. (საქართველოს...2015ბ, გვ.18).

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ყიდვა-გაყიდვის ბაზრის განვითარება და მიწათსარგებლობაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების ყიდვა-გაყიდვის ბაზრის განვითარებისათვის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფონდის რაციონალური მართვა წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კადასტრის არსებობა, მიწათსარგებლობის თანამედროვე გეოინფორმაციული სისტემის დანერგვა და საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება. შემუშავდება მიწის კონსოლიდაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, განხორციელდება კონსოლიდაციის საცდელი პროექტები, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე, გაუმჯობესდება მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა. დანერგვა მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემა (ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი „მიწის ნაკვეთის იდენტიფიკაციის სისტემის“ (LPIS-Land Parcel Identification System) ანალოგი, რომელიც ხარისხობრივად

ამაღლებს ინფორმირებულობის დონეს, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების გამარტივებას და გამჭვირვალობას, დროისა და ადამიანური რესურსების რაციონალურ ხარჯვას, მიწის კონსოლიდაციის პროცესის დაგეგმვას (საქართველოს...2015ბ, გვ.19).

4. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სალიზინგო სისტემის გაძლიერების შესაბამისი პირობების შექმნა/განვითარება. სოფლის მეურნეობასა და აგრობიზნესის სფეროში არსებული რისკების გათვალისწინებით, აგროსესხებზე საპროცენტო განაკვეთები ჯერ კიდევ მაღალია. სათანადოდ განვითარებული არ არის სალიზინგო მომსახურება, რაც სხვა ქვეყნებში კერძო სექტორის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარებას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება დაიწყო, რომელიც ფერმერებისა და აგროსასურსათო სექტორში ჩართულ სხვა მეწარმეთა იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი რესურსით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. სამინისტრო მუშაობას გააგრძელებს სესხის გაცემის პრაქტიკის დახვეწისა და პროცედურების გამარტივებისთვის. ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სფეროს დაკრედიტებაზე მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაცია ამაღლდება.

5. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ბაზრის განვითარება. აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აგრო-დაზღვევის განვითარება მიიჩნევა. გამომდინარე იქიდან, რომ აგრო-რისკების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი რთული სახეობაა და აგრონომიული სფეროს ღრმა ცოდნას მოითხოვს, სადაზღვევო კომპანიები თავს იკავებენ მსგავსი მაღალრისკიანი პროდუქტის ბაზარზე ოპერირებისგან, ამას ემატება ისიც, რომ სტატისტიკური მონაცემები და ანალიტიკური ინფორმაცია ძალიან მწირია, რაც დაზღვევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას ართულებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს აფინანსებს.

6. სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო დარგის კოოპერაციის საწყისებზე დაფუძნებული ინსტიტუციური მოწყობა მიმდინარე პერიოდში ყველაზე ეფექტიან სისტემას წარმოადგენს, რაც კონკურენტუნარიანობის ზრდას უზრუნველყოფს და ფერმერებისთვის წარმოების საშუალებებს, მომსახურებასა და საქონლის რეალიზაციას უფრო ხელმისაწვდომს ხდის.

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის, რაოდენობისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდა. კოოპერაციის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები კოოპერატივების ფარგლებში აგრარული წარმოების მთლიანი სისტემის განვითარებას მოიცავს: პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამამუშავება, შეფუთვა, შენახვა, რეალიზაცია, დაფინანსება და წევრებისათვის მომსახურების გაწევა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ასევე გააჩნიათ სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა. კოოპერაციის განვითარება აუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების, კოოპერატორ ქალთა და ახალგაზრდა ფერმერთა ჩართულობას სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაში. (სოფლის...2014) ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტიმულირების მიზნით, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემებისა და სპეციალური „საინფორმაციო ბანკის“ დანერგვას განახორციელებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ყველა იმ საქმიანობას გაუადვილებს, რაც პროდუქციის წარმოებას, მარკეტინგს, აღრიცხვას, აგრობიზნესის დაგეგმვას და სხვ. უკავშირდება (საქართველოს...2015ბ,გვ.20).

სტრატეგიული მიმართულება II: ინსტიტუციური განვითარება, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, პერსონალის მართვისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაძლიერება. სამინისტრომ უნდა აამაღლოს თავისი ქმედითობა, რაც სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, დაიხვეწება როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა, აგრეთვე სამინისტროში შემავალი უწყებებისა და რეგიონალური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები; განისაზღვრება სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და დაქვემდებარებული

უწყებების უფლება-მოვალეობები. მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებული ღონისძიებების თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად, შესრულებულ სამუშაოთა ყოველწლიური მიმოხილვა ჩატარდება.

2. საბაზრო ინფორმაციული სისტემის შექმნა, მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის ეფექტიანად მიწოდება. ბაზრის საინფორმაციო სისტემის არსებობა ქვეყანაში ხელს შეუწყობს მოქმედი ფერმერების, მეწარმეების და ექსპორტიორების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საინფორმაციო სისტემის და შესაბამისად, ბაზარზე არსებული ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში, წარმოების ჯაჭვის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი არაკონკურენტულ გარემოში ხვდება. ეს, პირველ რიგში, ადგილობრივ ფერმერებს ეხება, რომლებიც არ ფლობენ ინფორმაციას მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების, ხარისხზე მოთხოვნების, ბაზრის ზოგადი ტენდენციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, პროდუქტების, ფასების, მომწოდებლებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და მისი ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ჩატარდება სისტემური კვლევები და მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სწორი მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის კერძო სექტორთან ითანამშრომლებს. ასევე, ფერმერებს მიეწოდებათ ინფორმაცია საექსპორტო ბაზრებზე პროდუქციის გატანასთან დაკავშირებული აუცილებელი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესახებ, რაც საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებს და ამ შეთანხმებებით წარმოქმნილი ვალდებულების შესრულებას ითვალისწინებს.

2. ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემის შექმნა. საქართველოში არ არსებობს ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემა, რომლის შექმნის მიზანი მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობასთან, ფართობსა და აქტივობის ტიპთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვაა. მსგავსი სისტემის შექმნა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს შეუწყობს კონკრეტული განვითარების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებას. გაუმჯობესდება კომუნიკაცია ფერმერებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მიმწოდებლებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობით, არ არის განსაზღვრული ფერმე-

რის სტატუსი, აქედან გამომდინარე, შეიქმნება სპეციალური კომისია და შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავდება ფერმერის სტატუსის მინიჭების წესი.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოორდინაციის განმტკიცება/გამლიერება სამინისტრო აღიარებს და აფასებს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას და ძალისხმევას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად ცხოვრების დონის ამაღლების მიმართულებით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მათი რეკომენდაციების, გამოცდილებისა და წარმატებული მაგალითების გაზიარებას.

სტრატეგიული მიმართულება III: მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება. საქართველოს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მიწების მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, რომელმაც ქვეყანაში ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა უნდა უზრუნველყოს. აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი კლიმატი ირიგაციის ფართო გამოყენებას მოითხოვს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში სადრენაჟო სისტემების მეშვეობით, საჭიროა ჭარბი წყლის მოცილება. სამელიორაციო სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების შედეგად, შემცირდა მელიორებული ფართობი. საქართველოში თვითდინებით მორწყული ფართობების რაოდენობა დაახლოებით 280 ათ. ჰექტარს, ხოლო დამშრალი ფართობი 105 ათ. ჰექტარს შეადგენდა. თუმცა წლების განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ვითარებამ, ასევე დარგის მიმართ არასათანადო დამოკიდებულებამ, საბოლოო ჯამში, დარგის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილის განადგურება გამოიწვია, რამაც იმ შედეგებამდე მიგვიყვანა, რომ 2012 წლისთვის წყალუზრუნველყოფილი იყო 45 ათასი ჰექტარი, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება 14 ათას ჰექტარზე ხორციელდებოდა.

2012-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების (სარეაბილიტაციო და საექსპლუატაციო სამუშაოები) შედეგად, წყალუზრუნველყოფილი ფართობები გაიზარდა 88 ათას, ხოლო

დამშრალი - 25 ათას ჰექტრამდე. 2020 წლამდე იგეგმება გასარწყავებული და დამშრალი სახნავ-სათესი სავარგულების ფართობის გასამმაგება.

2. ნიადაგის რაციონალური გამოყენება. ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ქვეშ არსებული ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია), მიღებული შედეგების საფუძველზე სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, ჩატარდება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ქვეშ არსებული ნიადაგის საველე და ლაბორატორიული კვლევები, რაც ხელს შეუწყობს მის ეფექტიან გამოყენებას. ნიადაგის შეფასება ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიწის კონსოლიდაციის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ნიადაგის ეროვნისისგან დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა ქარსაფარი ზოლების აღდგენის საკითხი. აქედან გამომდინარე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით, ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავდება, რომელშიც გამიჯნული იქნება შესაბამის უწყებებს შორის კომპეტენციები და მართვის პასუხისმგებლობები.

სტრატეგიული მიმართულება IV: რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. რეგიონებისთვის სოფლის განვითარებისა და პრიორიტეტულ დარგებში ინვესტირების გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში უნდა გაითვალისწინონ სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების აუცილებლობა. სოფლის განვითარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობაზე.

აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სხვადასხვა უწყებასთან ერთად, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის შედეგად, სოფლის განვითარების პოლიტიკა უნდა შეიმუშავოს, სადაც უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული

თავისებურებები. უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში განსახორციელებელ ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას. აგრარული წარმოების სპეციალიზაციის ზონების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს შესაბამისი დარგობრივი პროგრამები.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგობრივი პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონულ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს. ამ მიმართულებით გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააანალიზებს და შეაფასებს დარგებს მათი საექსპორტო და იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალის, ასევე სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით და სპეციალურ პროგრამებს შეიმუშავებს მათი განვითარების სტიმულირებისათვის. მომზადდება არსებული მდგომარეობის ანალიზი და განისაზღვრება გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. (ეროვნული...2014)

3. ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სქემების განვითარების მხარდაჭერა. ინტელექტუალური საკუთრების (საქპატენტი) სააგენტოსთან ერთად, სამინისტრო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მიმართულებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულია გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და ურთიერთალიარების შესახებ შეთანხმება, რომელიც 2012 წლის აპრილიდანაა ძალაში. საქართველოს მიერ უკვე რეგისტრირებულია 18 სახეობის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, 3 - მინერალური წყალი, 14 - გეოგრაფიული აღნიშვნის ყველი, ჭაჭა და ჩურჩხელა.

4. თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა. აგრარული სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარებაა. ერთწლოვანი კულტურების სელექცია და მეთესლეობა უფრო ხელმისაწვდომ და შედარებით ნაკლებდანახარჯიან საშუალებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციაში. სასოფლო-სამეურნეო კულტურე-

ბის მოსავლიანობის ზრდა დამოკიდებულია მაღალრეპროდუქციული თესლისა და სარგავი მასალის გამოყენებაზე. ქვეყანა განიცდის ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის დეფიციტს. დღეისათვის გამოიყენება მასობრივი რეპროდუქციის სათესლე მასალა, რაც მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებასა და პროდუქციის დაბალ ხარისხს განაპირობებს. ადგილობრივი თესლის ძირითადი მწარმოებლები (მინდვრის კულტურები - ხორბალი და სიმინდი) სარეალიზაციოდ 500 ტონა თესლს აწარმოებენ, როდესაც, ექსპერტების შეფასებით, მოთხოვნა 7 ათას ტონას შეადგენს (ეროვნული...2014,გვ.11-12).

5. თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების პროცესის მხარდაჭერა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის გარანტიას მათი სერტიფიცირების პროცესი უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, მომზადდება თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების არსებული მიდგომების დეტალური ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებები შემუშავდება ადგილობრივ ორგანიზაციებზე დაფუძნებული სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამ ორგანიზაციებს უფლებამოსილებას მიანიჭებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნული სისტემა ჩართული იქნება საერთაშორისო ან/და ეროვნული აკრედიტაციის სისტემაში. ევროკავშირში მოქმედი მარეგულირებელი პრინციპების საფუძველზე, საკანონმდებლო ბაზა დაიხვეწება თესლისა და სარგავი მასალების წარმოებისა და კონტროლის სფეროში, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სრულყოფილად ამუშავდეს თესლისა და სარგავების კონტროლი (როგორც იმპორტ-ექსპორტის, ასევე ბრუნვის დროს), რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სერტიფიცირების სისტემის ამოქმედებაა.

6. სანაშენე საქმის განვითარება. სანაშენე საქმიანობის უგულვებელყოფამ და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობამ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენოფონდის დაკნინება გამოიწვია. არასახარბიელო ჯიშობრივ მონაცემებს სურსათის არაბალანსირებული, შეზღუდული რაციონი ემატება, რაც ცხოველთა დაბალპროდუქტიულობასა და დაავადებათა მიმართ არამდგრადობაში აისახება. შედეგად, ადგილობრივი, გაურკვეველი ჯიშის ფურის საშუალო წლიური წველადობა 1100-1200 ლიტრს, ხოლო ხორცის გამოსავლიანობა 45-50%-ს არ აღემატება. ხელოვნური განაყოფიერების სერვისი ძალზედ შეზღუდულადაა წარმოდგენილი და

ხელმიუწვდომელია ცხოველთა მეპატრონეთათვის როგორც ფინანსურად, ისე ტერიტორიულად. ის, რომ ფერმერები ნაკლებად იცნობენ ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხებს, აგრეთვე სუსტად განვითარებული კერძო ვეტერინარიული სერვისი, ქვეყანაში ეპიზოოტიურ რისკებს ზრდის და დარგის განვითარებას აფერხებს.

ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზების, სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მოძიებას, შესწავლას, აღდგენასა და გაუმჯობესებას, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკების შექმნას დაეთმობა; ცხოველთა და ფრინველთა ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ხელი შეეწყოს ფერმერული სანაშენე მეურნეობების შექმნას, სანაშენე აღრიცხვის ერთიანი სისტემისა და ყველა რეგიონში ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სერვის-ცენტრების შექმნას.

7. მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (შემნახველი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარების ხელშეწყობა). საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, აგრარული პროდუქცია მოსავლის აღების შემდგომ პირველად დამუშავებას მოითხოვს, რაც მინარევებისაგან გაწმენდას, დახარისხებას, დაფასობას, შეფუთვასა და ეტიკეტირებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ინდივიდუალური მწარმოებლების, კერძოდ, ფერმერების შესაძლებლობები შეზღუდულია, მაშინ, როდესაც თანამედროვე საბითუმო ბაზრებს სრული მარკეტინგული ქსელი აქვთ პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისათვის.

8. სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ამაღლება. განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მაჩვენებელი დაბალია. ვითარების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას აქვს. ამ მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად ხელის შემშლელ ფაქტორს ბაზარზე ფასისა და ხარისხის შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მომსახურების არარსებობა წარმოადგენს, რაც ხშირ შემთხვევაში ფერმერებისთვის მძიმე ფინანსური შედეგებით მთავრდება.

9. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის ამაღლება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოების პროდუქტიულობის ზრდა და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე. ამჟამად, კერძო სექტორში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი გაუმართავი და ამორტიზირებულია, რაც სამუშაოების აგროვადებში შესრულებას აფერხებს, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის, მოსავლის ხარისხს აუარესებს და წარმოების მოცულობას ამცირებს.

სტრატეგიული მიმართულება V: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, შემდეგი კომპონენტისაგან შედგება:

1. სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს, ისეთი პირობების შექმნას, როდესაც ყოველ ადამიანს, აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრებისათვის საჭირო სასურსათო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ნებისმიერ დროს ფიზიკურად და ეკონომიკურად საკმარისი რაოდენობის უვნებელ და სრულფასოვან სურსათზე მიუწვდება ხელი. ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები - რაოდენობრივი უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობაა, ამ შემთხვევაში რაოდენობრივი უზრუნველყოფა სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას გულისხმობს, შეინარჩუნოს საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მინიმალური დონე. რაც შეეხება მმარცვლეულ სასურსათო უსაფრთხოებას - ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, მაგრამ სასურსათო ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს. ასეთ კატეგორიას, მარცვლეულის გარდა, განეკუთვნება მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები: ხორცი, თევზეული, შაქარი, მცენარეული ზეთები, კარტოფილი, კვერცხი, ხილ-ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები, ასევე სხვადასხვა სახის სასმელი. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებას, სასურსათო ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას, საექსპორტო და საიმპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. სახელმწიფომ ასევე საგანგებო ან კრიზისული სიტუაციების დროს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა უნდა მოამზადოს. საჭიროა ჩატარდეს ძირითადი სასურსათო პროდუქტების მარაგების მაჩვენებლების მონიტორინგი და ხელმისაწვდომობის შეფასება. (საქართველოს...2016დ,გვ.23-25).

სტრატეგიული მიმართულება VI: სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ქართული კანონმდებლობის მიახლოება საქართველოში არსებული სასურსათო ჯაჭვის თავისებურებების გათვალისწინებით. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი სრულ კვებით ჯაჭვს მოიცავს, პირველადი წარმოებიდან საბოლოო მომხმარებელამდე, ე. წ. „ფერმიდან-სუფრამდე“ კონტროლს და ვრცელდება წარმოების, მათ შორის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე. იგი ითვალისწინებს სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მყისიერ, ხანმოკლე ან გრძელვადიან გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, არამედ, მის ეფექტს მომდევნო თაობებზე. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და რისკის საფუძველზე შემდეგი მექანიზმებით ხორციელდება: გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი, ნიმუშის აღება, დოკუმენტური შემოწმება.

წინა წლებში არსებულმა არასრულყოფილმა საკანონმდებლო ბაზამ, ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობამ, სახელმწიფო კონტროლის არასაკმარისმა საბიუჯეტო პროგრამულმა დაფინანსებამ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის არაეფექტიანობა განაპირობა. საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან მიახლოების მიზნით, 2015 – 2020 წლებში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, კონტროლის გამარტივებული მექანიზმები ჩამოყალიბდება. დაიხვეწება ცხოველის სასურსათის/სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის ანალიზში მონაწილე ინსტიტუციებს შორის (სურსათის ეროვნული სააგენტო, შემოსავლების სამსახური, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახური) ურთიერთთანამშრომლობისა და მონაცემთა მიმოცვლის მექანიზმები. შეიქმნება თანამედროვე, მდგრადი და მოქნილი სისტემა, რომლის ფარგლებშიც სურსათის ბიზნეს-ოპერატორთა რეგისტრაციის პროცედურები დაიხვეწება. სააგენტოსათვის შესაძლებელი გახდება ბიზნეს-ოპერატორთა რეესტრის ბაზაზე პირდაპირი წვდომა, რითაც დაზუსტდება მათი რაოდენობა და საქმიანობის

სახეები. რისკის საფუძველზე, შესაბამისი მექანიზმებითა და სიხშირით განხორციელდება კონტროლი; სახელმწიფო კონტროლის შედეგების შეფასებით გამოვლინდა, რომ სურსათის ბიზნეს-ოპერატორების ცოდნის დონე ამაღლებას საჭიროებს.

2. ვეტერინარია. უვნებელი და ხარისხიანი სურსათის წარმოებისათვის მნიშვნელოვანია ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის, ზედამხედველობის (მონიტორინგის) სრულყოფილი და ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება, მათ შორის ქვეყნის მასშტაბით დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რათა გაკონტროლდეს და თავიდან იქნას აცილებული ცხოველების ასევე, ადამიანისათვის გადამდები და საშიშ დაავადებათა გავრცელება. ეფექტიანი ვეტერინარული სერვისის უზრუნველსაყოფად ჩართული იქნება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი.

3. მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული საიმედოობა. ფიტოსანიტარიული მოთხოვნების დაცვა ქვეყანაში ფიტოსანიტარიული საიმედოობის მიღწევისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების მინიმუმამდე შემცირებისა და მოსავლის შესანარჩუნებლად, ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუცილებელია საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში, მავნე ორგანიზმების რიცხოვნობის კონტროლისა და დიაგნოსტიკური მიმართულების გაძლიერება, ქვეყნის ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მონიტორინგის განხორციელება, საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების დადგენა და მიღებული მონაცემების საფუძველზე ბრძოლის ღონისძიებების სწორი დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს. 2014 წლის სექტემბერში საქართველო ევროპის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფიტოსანიტარიული საიმედოობის ამაღლებას; (საქართველოს...2016დ,გვ.27).

4. ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება. საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე 2003 წლიდან ამოქმედებული „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის“ ფარგლებში სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ ქსე-

ლის შემადგენელი 11 ლაბორატორია (3 ზონალურ-დიაგნოსტიკური, 8 საველე) 2005-2009 წლებში გარემონტდა/აშენდა და აღიჭურვა განსაკუთრებით საშიში ზოონოზური დაავადებების დიაგნოსტიკისათვის საჭირო უახლესი აპარატურით; პერსონალი ჩაერთო ფართომასშტაბიან, მრავალწლიანი სწავლების პროგრამაში, დაინერგა დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები; ლაბორატორიული საქმიანობა წარიმართა ბიოუსაფრთხოებისა და ბიო-დაცვის საერთაშორისო ნორმების თანახმად. 2012 წლის შემდგომ, სოფლის მეურნეობის დარგისთვის და კონკრეტულად, ცხოველთა/მცენარეთა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის სფეროებისათვის პრიორიტეტის მინიჭებამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის განვითარების ახალი ეტაპის დაწყება განაპირობა. 2014 წლის დასაწყისიდან, ლაბორატორიულ ქსელში ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა, მათ შორის: თბილისის სათავო ლაბორატორიამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია, დაინერგა ISO 9001-ის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სურსათის ექსპერტიზის განყოფილების მიერ წარმოებული სურსათისა და წყლის მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური კვლევების ჩამონათვალი; საბჭოთა სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდები (FOCT) ჩანაცვლდა საერთაშორისო სტანდარტებზე (ISO) დაფუძნებული მეთოდებით (საქართველოს...2016დ,გვ.28).

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტის იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის მიზნით ვეტერინარული სასაზღვრო - საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო - საკარანტინო კონტროლის არსებული პრაქტიკის შეფასება და გაუმჯობესება. 2006 წლამდე ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურები ახორციელებდნენ. 2006 წელს აღნიშნული ფუნქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს გადაეცა, რომელიც კონტროლს საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO, OIE და IPPC-ის მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს. 2014 წელს შემოსავლების სამსახურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შესაბამისი ცვლილებები შევიდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის წესებში. დაიხვეწა კონტროლის განხორციელების მექანიზმები, კონტროლს დაქვემდებარებული

ობიექტებისა და ტვირთების ნუსხა (ტვირთების ჩამონათვალი) შეთანხმდა ინფორმაციის გაცვლის პრინციპები (საქართველოს...2016დ,გვ. 29).

სტრატეგიული მიმართულება VII: კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, (სასუსრათო...2010) შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

1. „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ პრინციპებით ხელმძღვანელობა, ბიომრავალფეროვნებისა და მდგრადი გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება. გარემოს დაცვა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კვლავაც მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა წახალისოს მაღალპროდუქტიული და მდგრადი წარმოების მეთოდების დანერგვა. კერძოდ, „კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“, თესლბრუნვის, ნიადაგის სტრუქტურული და ხარისხობრივი გაუმჯობესების, ქიმიური სასუქებისა და პრეპარატების ოპტიმალური რაოდენობით გამოყენების ხელშეწყობა. პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების დონეზე უნდა განხორციელდეს ბიოორგანული წარმოების ხელშეწყობი ღონისძიებები. აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური სახეობების შენარჩუნების მიზნით, უნდა შეიქმნას ეფექტიანად მართვადი გენეტიკური ბანკი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, კოორდინაციას გაუწევს გლობალური კლიმატური ცვლილებების საწინააღმდეგო პრევენციული და ადაპტირებადი ზომების შემუშავებას. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, უნდა განხორციელდეს აგრარული ეკოსისტემის და ბუნებრივი სათიბ-სამოვრების მართვის სრულყოფისაკენ მიმართული ქმედებები. დაინერგება ბიო-მეურნეობების მართვისა და მათი სერტიფიცირების სისტემები;

2. აგრობიომრავალფეროვნებისა და ენდემური ჯიშების შენარჩუნების მიზნით გენეტიკური ბანკის შექმნა/მართვა. კავკასიის რეგიონი სასოფლო-სამეურნეო მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველების ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის მდგრადობის თვალსაზრისით, არსებული აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო აქტუალური კლიმატის ცვლილების პირობებში გახდა, რადგან კლიმატის ცვლილების გამო, არიდულ და ნახევრადარიდულ ეკოსისტემებში მოსალოდნელია აგრობიომრავალფეროვნების შემცირება;

3. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.
სასოფლო-სამეურნეო წარმოება მჭიდროდ უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, რაც ზრდის რისკებს და ნეგატიურად აისახება ფერმერებისა და სხვა ტიპის მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, რომელიც ერთდროულად უპასუხებს სამ ურთიერთგადამკვეთ გამოწვევას: წარმოების გაზრდის გზით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილების ხელშეწყობა (საქართველოს...2015ბ,გვ.36).

თავი II. აჭარის აგრარული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი და მისი მნიშვნელობა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში

2.1. აჭარის აგრარული სექტორის განვითარების ისტორიული ასპექტები

საუკუნეების განმავლობაში აჭარა კოლხეთის მძლავრი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ბერძნულ წყაროებში კოლხეთი ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან მოიხსენიება. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკის უმთავრეს საფუძველს განვითარებული **სოფლის მეურნეობა**, ხელოსნობა, რკინის და ოქროს წარმოება წარმოადგენდა, საინტერესოა მისი ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან. სახელწოდება აჭარა პირველად ძვ. წ. IV-III საუკუნეებშია მოხსენიებული. მას „აჭარის ხევად“ ან „აჭარის ხეობად“ მოიხსენიებდნენ. აჭარის ტერიტორია დასახლებულია ახალი ქვის ხანიდან. აქ ქრისტიანობა ყველაზე ადრე გავრცელდა და შემდეგ სრულიად საქართველო მოიცვა. ეს მოვლენა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირდება (ბათუმი...2016).

აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებს და ღრმა ხეობებს უჭირავს, ზღვისპირა ფართობი კი ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს მოიცავს. მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედებს შორის განლაგებულია აჭარის ქვაბული. ზღვისპირა ვაკე-დაბლობზე ჭარბი ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. აქ ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. მაღალმთიანეთში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული კი – თბილი. აჭარა ხელსაყრელი, თბილი ჰავით გამოირჩევა. ბუნებრივ გარემოში ცხოველთა სამყარო, არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები გვხვდება.

1877–78 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის შემდეგ, აჭარის ტერიტორია რუსეთის იმპერიის ფარგლებში ბათუმის ოლქის სახელით მოექცა. ის 1918-20 წლებში ოკუპირებული იყო ჯერ თურქების, შემდეგ ინგლისელების მიერ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დაარსდა. 1990 წლის ბოლოდან მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ეწოდება. აჭარის კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ორგანო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოა, რომელიც 4 წლის ვადით ირჩევა. რეგიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა წარმოადგენს, რომელიც თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან შედგება. კერძოდ, ესენია: განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრი; სოფლის მეურნეობის მინისტრი; ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი.

აჭარა ძირითადად აგრარული რეგიონია, სადაც სუბტროპიკული კულტურების, ჩაისა და ციტრუსების მოყვანას მისდევენ. სტრატეგიული დარგებია: ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. (აჭარის...2015გ)

აჭარა მთავორიანი რეგიონია. მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მცირე ნაკვეთებად არის წარმოდგენილი, ამიტომ გამოყენების თვალსაზრისით, არახელსაყრელია, რადგან ასეთ ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მობილური ტექნიკით სარგებლობა თითქმის შეუძლებელი და არაეკონომიურია, რის გამოც, სამუშაოთა დიდი ნაწილი ძირითადად ხელით სრულდება. თავის მხრივ, აჭარის სოფლის მეურნეობა საქართველოს ერთიანი აგრო-სასუსრათო მრეწველობის შემადგენელი ნაწილია და მას განსაკუთრებული როლი ენიჭება ამჟამადაც ჩაის, ციტრუსების და თამბაქოს წარმოების საქმეში. ამ პროდუქციაზე ყოფილ საბჭოთა კავშირში გაზრდილი მოთხოვნილება მის შეუფერხებელ რეალიზაციას უზრუნველყოფდა კონკურენციის გარეშე, რაც რეალურ პირობებს ქმნიდა პროდუქციის წარმოების გადიდების, ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებისა და დამხმარე დარგების განვითარებისათვის. სწორედ ასეთ პირობებში აჭარის აგრარული სექტორი ადგილობრივი მოხმარებისათვის მეცხოველეობის, მებოსტნეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს აწარმოებდა, რითაც ადგილობრივი ბაზრის სურსათით მომარაგებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდა (გოგიტიძე...2000,გვ.72).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8,9%-ს აღემატება, მრეწველობის პროდუქციაში – 7,3%-ს, სოფლის მეურნეობაში – 11,5%-ს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სისტემაში – 10%-ს, მიმოქცევის სფეროში – 6,9%-ს, ხოლო ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქციის წარმოებაში – 10,6%-ს. ეს მაშინ, როცა ამ რეგიონზე ქვეყნის ტერიტორიის 3,9% მოდის, წარმოებაში დასაქმებული

შრომითი რესურსების მხოლოდ 6,7% და გამოყენებული ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 10,6%. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია სულ 290 ათასი ჰექტარია (საქართველოს ტერიტორიის 4.1 %). აქედან 80% მთას უკავია, 15% მთისწინეთს, ხოლო დაბლობს კი 5% (14.5 ათასი ჰა) უკავია. 2005 წლის მიწის ბალანსის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფონდის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს: მრავალწლიანი ნარგავები – 15 899 ჰა, სახნავი მიწები – 10 309 ჰა, სათიბი მიწები – 7 159 ჰა, ნასვენ მიწები – 1 736 ჰა (საქსტატი...2006,გვ.216).

რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში, აჭარის სოფლის მეურნეობა შემოსავლის მაღალი ხვედრითი წილით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ რეგიონის ეკონომიკისათვის მომავლის მქონე ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში და შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, 1988 წლიდან სოფლის მეურნეობის წარმოების მასშტაბების შემცირება დაიწყო, რომელიც უფრო მკვეთრად 1991 წლიდან გამოვლინდა, როცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით 21%-ით შემცირდა, 1992 წელს–45%-ით, 1993 წელს კი 26%-ით. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა რეგიონის ეკონომიკის სხვა დარგებშიც.

1994 წლის მონაცემებით, 1988 წელს მიღწეული დონის მიმართ, წარმოების დონემ მთლიანი შიდა პროდუქტის 22% , ეროვნული შემოსავლის–20%, სამრეწველო პროდუქციის – 21,6%, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის – 53% და ა.შ. შეადგინა. წარმოების დონე მომდევნო წლებში უფრო მკვეთრად დაეცა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი სირთულე და სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ისეთ კომპონენტებს აქვს, როგორცაა: ნიადაგი, მცენარე, ცხოველი და ადამიანი. ოთხივე მათგანს კი ესაჭიროება აუცილებელი, შეუცვლელი, ერთიმეორეზე არანაკლები მნიშვნელობის მქონე, შეუცვლელი და პირდაპირმოქმედი ხუთი სასიცოცხლო ფაქტორი – სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები. ეს

ოთხი მონაწილე ორგანიზმი თავის ხუთ სასიცოცხლო ფაქტორთან ერთად, ერთმანეთთან განუწყვეტლივ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში არიან, რომელთა შედეგებზე გავლენის ხარისხის რაოდენობრივი ასახვა საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული (კიკნაველიძე 1993, გვ.19).

აჭარაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა; ტრადიციული: მევენახეობა, მეთევზეობა, მემარცვლეობა, მეფუტკრეობა; დამხმარე დარგებია: მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოეობა, სამკურნალო მემცენარეობა. აჭარაში ციტრუსოვნებს 5200 ჰექტარი უკავია. 2010-2011 წლების სეზონზე წარმოებული იქნა 46 200 ტონამდე ციტრუსი, ხოლო 2012–2015 წლებში 120 000 ტონამდე ციტრუსი. მათგან რეალიზდა 80 000 ტონა. საქართველოში წარმოებული ციტრუსის 80%-მდე აჭარაზე მოდის. აჭარის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბარის ზონაში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის სპეციალიზებული სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობებისა და მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე წარმოებული საქონლის ძირითადი მომხმარებელი მეზობელი ქვეყნები იყო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადღეისოდ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი საწარმოო მიმართულების შეცვლა, რის გამოც სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები არ იცვლება და დღის წესრიგში კვლავ მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის არსებული მძლავრი ინფრასტრუქტურისა და პოტენციური შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენების აუცილებლობა რჩება, რომლის მიღწევა წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითაა შესაძლებელი, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და, რაც მთავარია, სარეალიზაციო ბაზრების მოპოვებით. ძირითადი დარგების საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდება და მისი რეალიზაცია, რეალურ საფუძველს შექმნის სხვა დარგების განვითარებისა და დაფინანსებისათვის. (გაბაიძე 2008, გვ.76)

აღსანიშნავია ისიც, რომ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში აღნიშნული საკითხების სახელმწიფო მარეგულირებელი როლის შესუსტებამ სწორედ ის უარყოფითი შედეგი გამოიწვია, რის გამოც გამოუყენებელი რჩება მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში არსებული მნიშვნელოვანი რეზერვები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ციტრუსოვანთა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის მნიშვნელოვანი

ღონისძიებები ხორციელდება. უკვე ფუნქციონირებს ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამამუშავებელი ერთობლივი საწარმოები, მაგრამ არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი მაინც გამოუყენებელი რჩება.

უმძიმესი ვითარებაა შექმნილი მეჩაიეობაში. ბაზრის დაკარგვის გამო პროდუქციის რეალიზაციაში შექმნილმა სირთულემ, საწვავ-საცხები მასალების დეფიციტმა და სიმკვრიემ, ელექტროენერჯის მიწოდებაში არსებულმა შეფერხებებმა და ამით განპირობებულმა პროდუქციის მაღალმა თვითღირებულებამ, დარგში ურთულესი ფინანსური მდგომარეობა შექმნა. ყოველივე ამის შედეგად, კვლავწარმოების პროცესები შეფერხდა, მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის კრეფის მოცულობა და დაეცა მისი ხარისხი. (გაბაიძე 2008, გვ.77–79)

ჩაის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამალღების მიზნით, ამორტიზირებული და დაბალმოსავლიანი ფართობები მაღალმოსავლიანი კლონი - “კოლხეთის” გაშენებით უნდა განახლდეს. პრივატიზებული პლანტაციების ამოძირკვის შესაძლო ტენდენციები რომ ავიცილოთ თავიდან, ამ ეტაპზე საზოგადოებრივ და კოოპერაციულ მეურნეობებში არსებული პლანტაციები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს და მხოლოდ გრძელვადიანი იჯარით გაიცეს (ბახია...1997,გვ.356). რეგიონში საკურორტო მეურნეობის განვითარება დღის წესრიგში მოთხოვნილებას აყენებს ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხოვან ხილზე, კონსერვებსა და წვენებზე. აქედან გამომდინარე, მეხილეობის დარგის აღდგენისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამის ღონისძიებათა გატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ საადრეო და ენდემური ჯიშების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხეხილის ჯიშობრივი სტრუქტურის რეორგანიზაცია და მისი მოსავლიანობის ამალღება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. მის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ხეხილოვანი კულტურის კლასიკური განლაგების ზონალური პრინციპი, რისთვისაც ხეხილოვანი კულტურა უნდა განთავსდეს შესაფერის ნიადაგ-კლიმატურ მიკროზონებსა და რაიონში წინასწარი პროექტების საფუძველზე. ყურადღება უნდა დაეთმოს ხეხილის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ, ქიმიურ და ინტეგრირებულ მეთოდებს.

აჭარის რეგიონში ბოსტნეულის, ხეხილისა და ციტრუსების წარმოების რეალური შესაძლებლობა, საკონსერვო მრეწველობის ინტენსიური განვითარების საუკეთესო სანედლეულო ბაზას ქმნის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილების მქონე კონსერვების დამზადების პირობების უქონლობამ, პროდუქციის თანამედროვე მოთხოვნილებებთან შეუსაბამო სასაქონლო სახემ, ბაზრის უცხოეთიდან შემოტანილი დაბალფასიანი და უხარისხო პროდუქციით გაჯერებამ, ის გამოიწვია, რომ დღეისათვის საკონსერვო ქარხნები თითქმის გაჩერებულია. საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს აჭარის საკონსერვო ქარხნებში წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი. ძირითადად უნდა დამზადდეს ისეთი კონსერვები, რომლებზეც ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა დიდია, ნაწილი-საექსპორტოდ უნდა გაიგზავნოს. საამისოდ უნდა გატარდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას. გასაუმჯობესებელია საკონსერვო ქარხნების ხილ-ბოსტნეულით და ციტრუსით უზრუნველყოფის პრაქტიკა (ბურკაძე 2001, გვ.177).

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ისეთი გარემოს შექმნას უნდა ითვალისწინებდეს, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ამ ერთობლიობამ საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჩამოყალიბებაში.

საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % (ანუ 3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება, რომლებიც ასევე საძოვრებს და მდელოებს მოიცავს. დანარჩენი ფართობის 43% ტყის საფარითაა დაფარული. ქვეყანაში ეკოლოგიური და კლიმატური ზონების დიდი ნაირსახეობაა, რაც ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანის შესაძლებლობას იძლევა. ეს კულტურები მოიცავს: მარცვლეულს, საადრეო და საგვიანო ბოსტნეულს, ბაღჩეულს,

კარტოფილს, ტექნიკურ კულტურებს, ყურძენს, სუბტროპიკულ კულტურებს, ხილის სახეობას და სხვ.

საქართველოს გეოგრაფიული რელიეფიდან გამომდინარე, ვერტიკალური ზონალობა ახასიათებს. სახნავ-სათესი მიწების მხოლოდ 39%-ია განლაგებული ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე, 29% – 500-1000 მეტრ სიმაღლეზე, 21% – 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე და 11% – 1500 მეტრზე ზემოთ. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულების განმავლობაში დარგის განვითარების ტემპი ჩამორჩებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარების ტემპებს (საქართველოს...2015ბ,გვ.11).

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ წლებში განვითარებული მოვლენების გამო, რამდენჯერმე შემცირდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ნათესი და ნარგავი ფართობები, პირუტყვის სულადობა (ევროკავშირის...2016,გვ.32).


სოფლის მეურნეობა სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთ სენსიტიურ დარგს წარმოადგენს და მისი განვითარება სტიქიური პროცესების შედეგებზეა დამოკიდებული. საქართველოში გავრცელებული ძირითადი სტიქიური მოვლენები (მიწისძვრები, წყალდიდობა-წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი, ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავები, სეტყვა, თავსხმა წვიმები, ძლიერი ქარები, გვალვა და სხვ.) სასოფლო სამეურნეო-სავარგულებს აზარალებს და შესაბამისად, მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ არსებული რისკებიდან გამომდინარე, აუცილებელია დეტალიზებული სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მრავალწლიური სპეციფიური მონაცემების მომზადება და მიწოდება. 2012 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ცვალებადი იყო (საქართველოს...2015ბ,გვ.15).

ცხრილი 2.1.1 სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნების დინამიკა (მლნ ლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017*
სამინისტროს თანხა	65.5	70.9	75.2	30.6	57.8	228.4	227	263	314	321.4	257.9
%	1.3%	1.0%	1.1%	0.44	0.8%	2.9%	2.8%	3.0%	3.2%	3.2%	2.3%

წყარო: 2017 წლის საქართველოს ბიუჯეტის პროექტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2016

დიაგრამა 2.1.1. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნების დინამიკა



წყარო: 2017 წლის საქართველოს ბიუჯეტის პროექტი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2016

2010 წელს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაწეული ხარჯების აბსოლუტური მინიმუმი დაფიქსირდა. მათი წილი ბიუჯეტის საერთო ხარჯებში მხოლოდ 0,44 %-ს შეადგენდა. 2007-2010 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტიდან, ძირითადად სოციალურად დაუცველ ფენებზე ორიენტირებული პროგრამებისთვის გამოიყოფოდა თანხა, რაც მოსახლეობის ფქვილით, სურსათითა და საწვავით ნაწილობრივ უზრუნველყოფას ხმარდებოდა. 2000-2007 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში თანამშრომლების რაოდენობა 87%-ით შემცირდა, რითაც შეიზღუდა ამ უწყების უფლებამოსილება განხორციელებინა კანონით დადგენილი ძირითადი მოვალეობები (საქართველოს...2016ბ,გვ.43). გაუქმდა 19 მარეგულირებელი და საინსპექციო უწყება და სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მუნიციპალური სამსახურები.

2012 წლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი. საქართველოში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა, რამდენიმეჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, განსაკუთრებული ყურადღება სამელიორაციო სამუშაოებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენასა და მის გამოყენებას მიექცა, აგრეთვე მცირემიწიანი ფერმერების დახმარების პროგრამის განხორციელებას, პირუტყვის დაავადებებთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, თანხების გამოყოფას ისეთი ლაბორატორიების შესაძენად, რომელთა ტექნიკური აღჭურვილობაც საერთაშორისო აკრედიტაციის გავლის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასაქონლო ბაზრების დივერსიფიკაციას. (საქართველოს...2015ბ, გვ.15–16)

2013-2016 წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევითა და კერძო სექტორის, ასევე, დონორი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად, გარკვეული პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები მიმდინარეობს, რომლებიც გრძელვადიან პერიოდში, პოზიტიურ გავლენას მოახდენენ სექტორის მდგრად განვითარებაზე. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“. მის საფუძველზე შეიქმნა სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას, მათ მფლობელობაში არსებული მიწების დამუშავებასა და ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვას. სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტო“, მისი საქმიანობის შედეგად, საბანკო სექტორის მიერ მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაფინანსება

ჩამოყალიბდა სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობისა და სურსათის წარმოების განვითარების, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, მცენარეთა ჯიშების გამოცდისა და სასელექციო სადგურების აღდგენა, ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერებისა და სანაშენე საქმიანობის ხელშეწყობა, თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სისტემის შემუშავება, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა, ბიომეთოდების შემუშავება და ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, სოფლად დასაქმებულ პირთა ექსტენცია და სხვ. (საქართველოს...2015ბ, გვ.16)

2.2. აჭარის აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოების ძირითადი ტენდენციები და სახელმწიფო პრიორიტეტები მიმდინარე ეტაპზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგსა და ზოგადად, რეგიონში მიმდინარე დინამიური რეფორმების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „საქართველოში კარგი მმართველობის პროგრამის“, Management Systems International-ისა და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის დახმარებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა, რომელიც შემდგომი 3 წლის განმავლობაში სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება. სამინისტროს ხელმძღვანელობა, სოფლის მეურნეობის მინისტრის თაოსნობით, აქტიურად უჭერდა მხარს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და უშუალოდ მონაწილეობდა გეგმის შემუშავების თითოეულ ეტაპზე. სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეულის და რგოლის წარმომადგენლებმა მიიღეს. სტრატეგიულ გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სამინისტროს საქმიანობით დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სხვა რეგიონული თუ სახელმწიფო უწყებების, საზოგადოების, მედიის და ზოგადად მოქალაქეთა მიერ სამინისტროს სტრატეგიული გეგმის პროექტის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები (აჭარის...2012,გვ.6).

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა და ფერმერთა და აგრომეწარმეთა შემოსავლების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით. აგროსასურსათო სექტორის ძირითადი ფუნქცია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქტის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაღრმავებაზე. რეგიონში სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცირე მიწიანობის მიუხედავად, ერთეულ ფართობზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით, ამორტიზირებული ნარგავებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი დონით. სამინისტროს 2015–2018 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებაზე, რომლის მისაღწევად საჭიროა აგარარული პოლიტიკის შემუშავება, ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებების გათვალისწინებით რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება (აჭარის...2015,გვ.7). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

✓ აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა რეგიონის აგროსამრეწველო და სასურსათო სფეროში. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში სამინისტროს აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური, კოორდინებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა.

✓ სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რეგიონის ფერმერთა და აგრომეწარმეთა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, პროდუქციის მწარმოებლურობის ზრდა და შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

✓ მრავალფუნქციური მოტობლოკებითა და ურიკებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის მიზანია მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

✓ მობილური შემასხურებელი აპარატით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, მცენარეთა დაცვის მიმართულებით უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

✓ მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის მიზანს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით მემცენარეობის დარგში დახურული გრუნტის მეზოსტნეობისა და კენკროვანი მეხილეობის განვითარება წარმოადგენს. დაბალმოსავლიანი და ამორტიზირებული ბაღების ნაცვლად, ახალი და პერსპექტიული

კულტურების გაშენება. ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

✓ მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დეგრადირებული ბაღების განახლება, ადგილობრივ მოხმარებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, დაბალმოსავლიანი ბაღების უფრო პერსპექტიული კულტურებით ჩანაცვლება, შესაბამისად, ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

✓ სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეპროგრამის მიზანია რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა, იმპორტირებული პროდუქციის ნაწილობრივი ჩანაცვლება ადგილობრივი ბოსტნეულის პროდუქციით.

✓ ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეპროგრამის მიზანია სხვადასხვა სახეობის ხილისა და ბოსტნეულის ნედლეულისაგან ჩირის პროდუქციის მიღება.

✓ ფერმერულ მეურნეობებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა, ქვეპროგრამის მიზანია რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების დანერგვა მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

✓ მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა, რძისა და რძის პროდუქტების ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, მაღალპროდუქტიური მერძეული მიმართულების პირუტყვის ჯიშგანახლება. მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის არსებული რეზერვების რაციონალური გამოყენება, თაფლისა და თაფლის პროდუქტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

✓ თაფლისსაწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფა, წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

✓ რძისა და რძის პროდუქტების გადამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რძისგან წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

✓ მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვაკი დანადგარით, ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეპროგრამის მიზანია რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის არსებული რეზერვების რაციონალური გამოყენება და თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა.

✓ მაღალპროდუქტიული მერძევე მიმართულების პირუტყვით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეპროგრამის მიზანია აჭარის რეგიონში მაღალპროდუქტიული მერძეული მიმართულების პირუტყვით ჯიშგანახლება.

✓ აგროსერვისის განვითარება რეგიონში, შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მართვა, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება, სწავლება-კონსულტირება, ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით. არსებული სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა პერსპექტიული სარგავი და სათესლე მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად არსებული კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და დატრენინგება. ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა. ბოსტნეულისთვის სასათბურე მეურნეობების მოწყობა და ფერმერთა კონსულტირება.

✓ ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს გაფართოება საერთაშორისო სტანდარტების (ISO) შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით, სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში მიღწეული სერვისების ეფექტიანობის გაზრდა. (აჭარის...2012,გვ.23–25.)

აჭარის სოფლის მეურნეობის ქვე-სექტორები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: ძირითადი დარგები: 1.მეციტრუსეობა; 2. მეხილეობა; 3. მებოსტნეობა; 4. მეცხოველეობა. ტრადიციული დარგი: 1.მევენახეობა; 2.მეთევზეობა; 3.მემარცვლეობა; 4.მეფუტკრეობა. დამხმარე: 1.მეჩაიეობა; 2.მეაბრეშუმეობა; 3.მეთამბაქოეობა; 4.სამკურნალო მემცენარეობა

ამასთან, რეგიონში დარგის განვითარების ტენდენციები შესაძლებლობას გვაძლევს აჭარის სოფლის მეურნეობის ქვესექტორებისა და რიგი კულტურების დაჯგუფება სტრატეგიული განვითარების მნიშვნელობის მიხედვითაც მოვახდინოთ:

1. **ექსპორტზე ორიენტირებული:** მეციტრუსეობა, სუბტროპიკული კულტურები (ხურმა, ფეიჭოა, აქტინიდია, დაფნა), ჩაის ფოთოლი, მეხილეობა (ახალი და გადამმუშავებული), თხილი, მეთამბაქოეობა, მეფუტკრეობა.

2. **იმპორტჩანაცვლებაზე და ტურიზმის მოთხოვნაზე ორიენტირებული:** მეხილეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, მეჩაიეობა.

3. **თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული:** მემარცვლეობა, პარკოსანი კულტურები, მეცხოველეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეხილეობა.

ქვესექტორების ამგვარი დაჯგუფება პირობითია, იგი შეიძლება იცვლებოდეს რეალობიდან გამომდინარე. ქვესექტორი შეიძლება ძირითადად ორიენტირებული იყოს თვითუზრუნველყოფაზე, მაგრამ გარკვეულად აკმაყოფილებდეს ტურისტების მოთხოვნასაც; ან მხოლოდ ერთ კულტურაზე ან მისგან წარმოებულ პროდუქციაზე გაჩნდეს საექსპორტო მოთხოვნა. ამასთან, ამგვარი ფუნქციონალური დაჯგუფება (ექსპორტზე, იმპორტჩანაცვლებაზე და თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირება) ხელს შეუწყობს სტრატეგიულ დაგეგმვას და მიღწეულ შედეგთა თვალსაჩინოებას (აჭარის...2012,გვ.27.).

ბოლო წლების განმავლობაში, აჭარის სოფლის მეურნეობის წარმომადგენლობამ თანამშრომლობა გააქტიურა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან იმ პრიორიტეტული ამოცანების გადასაჭრელად, რაც დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით არის გათვალისწინებული. ამჟამად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით შემდეგი დონორული პროგრამები ხორციელდება:

✓ ევროკავშირის SPSP პროგრამა (სექტორის პოლიტიკის მხარდაჭერა), რომელიც 3 მილიონი ევროთი ფინანსდება და მას შედეგად მოჰყვება: 1. აგროსერვის ცენტრის ინს-

ტიტუციური გაძლიერება; 2. სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების ამაღლება; 3. ფერმერთა კოოპერაციის ხელშეწყობა;

✓ UNDP-ს პროექტი, რომელიც 239 300 ევროთი ფინანსდება და მას შედეგად მოჰყვება: 1. აგროსერვის ცენტრის ბაზაზე სანერგე მეურნეობების მოწყობა; 2. მეხილე ფერმერების საკონსოლიდაციო ცენტრის ჩამოყალიბება;

✓ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა, ხელს შეუწყობს საერთაშორისო სერტიფიკატის - GLOBAL GAP-ის დანერგვას;

✓ ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს-კარიტასის დახმარებით ხულოს მუნიციპალიტეტში მეკარტოფილე-ფერმერთა ცენტრის გაძლიერება იგეგმება;

✓ ლიტვის საელჩოს პროგრამა დაფინანსდა 20 000 ევროთი, რაც მიზნად ისახავს ბიოგაზის დანადგარის მონტაჟს ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში;

დასრულდა იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან მოლაპარაკება შემდეგი 4 პროგრამის დაფინანსების თაობაზე:

1. ფერმერებისთვის მექანიზაციის საშუალებების მიწოდება;
2. ტექნოლოგიური გადაიარაღება;
3. მცირე სამაცივრე მეურნეობების მოწყობა;
4. სუბტროპიკული კულტურების ექსპორტის ხელშეწყობა.

ამის გარდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონის აგრარულ სექტორში დონორი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრული აქვს კონკრეტული მიმართულებები და შედგენილი აქვს შესაბამისი საპროექტი განაცხადები. კერძოდ, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სამინისტროს დონორებთან ურთიერთობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა;
2. ალტერნატიული ენერჯის წყაროს (ბიო-გაზის) გამოყენების ხელშეწყობა;
3. ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
4. პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობების მოწყობა;
5. სანერგე მეურნეობების მოწყობა;
6. ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა;
7. თევზის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა;
8. აგრო-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

9. ფერმერთა ბაზრობების პოპულარიზაცია;
10. აგროსერვის ცენტრის განვითარების ხელშეწყობა;
11. პერსპექტიული ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა;
12. ბიზნეს-ინკუბატორის ამოქმედება აგრობიზნესის განვითარებისათვის;
13. მეკარტოფილეთა სერვის-ცენტრის განვითარება მაღალმთიან აჭარაში;
14. მეზოცვრეობის განვითარების ხელშეწყობა;
15. მცირე სამექანიზაციო საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფა;
16. ჩაის მრეწველობაში ტექნოლოგიური გადაიარაღების ხელშეწყობა;
17. ვეტ-უბნების აღჭურვა მუნიციპალიტეტებში;
18. სოციალური ბაზრის მოწყობა;
19. ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები;
20. სასოფლო-სამეურნეო მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა;
21. ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
22. მეციტრუსეთა ასოციაციაში სტანდარტების დანერგვა.(აჭარის...2012,გვ.58)

2017–2025 წლების აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც სტრატეგიული ამოცანების შესრულებას უზრუნველყოფს. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სფეროში. ამ თვალსაზრისით, შემდგომი ნაბიჯი აჭარის რეგიონის აგრო–სექტორის განვითარების მონიტორინგის სისტემის შემუშავება იქნება.

აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდისა და ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც, დადებითად აისახება როგორც ფერმერების, აგრომეწარმეების და ზოგადად, მოსახლეობის შემოსავლებზე, ასევე რეგიონული ბიუჯეტის ზრდაზე. თანამედროვე აგრო–ტექნოლოგიების დანერგვა, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ჯიშგანახლება, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლება, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოება. ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია ფერმერთა უზრუნველყოფა სამექანიზაციო საშუ-

აღებებით მოხდეს. იმავდროულად უნდა გავრცელდეს მცენარეთა უხვმოსავლიანი ჯიშები, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ნარგავების განახლების შესაძლებლობები; ცხოველთა საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით, საჭიროა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიზარდოს ნიადაგის ნაყოფიერება, ამასთანავე ახალი ტექნოლოგიები უნდა დაინერგოს.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში უნდა გაუმჯობესდეს აგროსერვისის ხარისხი, გარდა ამისა, უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით. საექსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობა, ლაბორატორიული და კვლევითი მომსახურების გაფართოება საერთაშორისო სტანდარტების (ISO) შესაბამისად. აჭარის რეგიონის აგრო-სამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა. (აჭარის...2015დ, გვ.2)

ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებათა გატარება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოცულობის ზრდას, რეგიონის ფერმერების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას; ახალი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, მემცენარეობაში ხელი უნდა შეეწყოს მაღალშემოსავლიანი კულტურების უხვმოსავლიანი ჯიშებითა და მეცხოველეობაში მაღალპროდუქტიული მერძეული მიმართულების პირუტყვის ჯიშებით ფერმერთა უზრუნველყოფას.

დარგის სპეციალისტებმა უნდა შეიმუშაონ ნიადაგის განოყიერების ამაღლების ეფექტური ღონისძიებები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები ექვსი დეპარტამენტითა და ერთი სამსახურითაა წარმოდგენილი. აგრო-სამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, მისი განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინაცია, სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა/განხორციელება სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის ფუნქციაა. დეპარტამენტის საქმიანობა სამინისტროს სხვა დეპარტამენტებთანაა კოორდინირებული.

„აგრო–სასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის“ ფარგლებში ხორციელდება: ეროვნულ ტრადიციებსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება–რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების დანერგვა, შესაბამისად, ფერმერთა და აგრო–მეწარმეთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ფინანსური შემოსავლების ზრდა.

ამ პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს ადგილობრივი ბაზრის სურსათით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენება და საგარეო ბაზარზე მყარი პოზიციების მოპოვება; ადგილობრივი და საგარეო ბაზრების მდგომარეობის და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი. აგროსასურსათო სექტორში დასაქმებული მეურნე-სუბიექტების სამეცნიერო–საკონსულტაციო მომსახურების, პროფესიული ცოდნის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, დარგის მიხედვით პროგრამების, პროექტების შემუშავება/განვითარება, სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობი ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია.

ეს პროგრამა მიზნად ისახავს უწყების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფასა და მოსახლეობის ინფორმირებას. უნდა გაძლიერდეს სამინისტროს ინსტიტუციური შესაძლებლობები; ამ პროექტის რეალიზაციის მეშვეობით უნდა მოხდეს შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მართვა, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების ხელშეწყობა. იმავდროულად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უნდა მოეწყოს სადემონსტრაციო ნაკვეთები, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრო–მეწარმეთა კვალიფიკაცია და ცნობიერება უნდა გაიზარდოს. ამავე დროს უნდა მოხდეს მათი კონსულტირება და ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით (აჭარის...2016,გვ.9).

აუცილებლად უნდა განხორციელდეს საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა არსებული სუბტროპიკული და კონ-

ტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკა დაინერგა, შეიქმნა მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზა და გენოფონდი, ხელი უნდა შეეწყოს მის განვითარებას, შესაბამისად, უნდა მოხდეს არსებული კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და დატრენინგება. სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით უნდა ჩატარდეს ნიადაგის აგროქიმიური კვლევა (აჭარის...2016,გვ.10).


გარდა ამისა, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დამკვიდრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტია. სამთავრობო უწყებებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული და რეგიონული პროგრამების შემუშავებაში.

2. 3. საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოების თავისებურებები

აჭარის აგრარულ სექტორში

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აგრარული სექტორის საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოების გაფართოების დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგალითად, 2017 წლის დასაწყისში, საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარი- რებული ვაჭრობის გარეშე) 3944.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 14.9 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1003.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (28.7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2941.4 მლნ. აშშ დოლარს (10.8 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარ-მაისში 1938.1 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49.1 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 799.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს (საქსტატი...2017).

დიაგრამა 2.3.1. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებელი 2012–2017 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: სავაჭრო სექციის „საქართველოს საგარეო ვაჭრობა“ 2017

აჭარის აგრარული სექტორის საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოების კვლევის არეალი რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს, როგორც მაღალმთიანს, ასევე დაბლობს მოიცავს. აჭარის რეგიონის კურორტების საერთაშორისო აღიარებასთან ერთად, რეგიონის მთავრობა აცნობიერებს ტურისტებისთვის უსაფრთხო სასურსათო საქონლის მიწოდების მნიშვნელობას საზოგადოებრივი კვების ობიექტების საშუალებით.

თუმცა, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სურსათის ეროვნული სტანდარტების შესაბამისი ნებისმიერი ზომის ყველისა და ხორცის ადგილობრივი მომწოდებლების რაოდენობა მცირეა და როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა რეგიონების მცირე მესაქონლე ფერმერების მიერ მოწოდებული მეცხოველეობის პროდუქტების დიდი ნაწილი არ შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს.

ამრიგად, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მესვეურები მეტად რთულ მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტისა და უმაღლესი პროფილის დაწესებულებებთან ურთიერთობისას, სადაც მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ გარემო, სერვისი და ფასი უნდა შეესაბამებოდეს სასურსათის ხარისხს. მიუხედავად მათი ძალისხმევისა, ისინი ვერ ყიდულობენ უსაფრთხო პროდუქციას, ვინაიდან ასეთი პროდუქციის წარმოების ღირებულების ჯაჭვი არ არსებობს. როგორც ჩანს, პროგრესი

მიღწეულია ხორცის სექტორში, სადაც მაღალი პროფილის დაწესებულებები ფორმა 2 დოკუმენტს მოითხოვენ. თუმცა, საქონლის „უკანა“ ეზოში დაკვლა ჯერ კიდევ გავრცელებული პრაქტიკაა და მიწოდების არაფორმალური ჯაჭვები კვლავ არსებობს. ნაკლებად სარწმუნოა ის, რომ სასურსათო ბაზარზე მიწოდებული ხორცი, რომლითაც შემდეგ სავაჭრო წერტილები მარაგდება, სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს შეესაბამება; ამასთან ერთად, უცნობია ასევე ისიც, თუ რა დონეზე ხდება ფორმა 2-ის გამოწერა/გამოყენება და რამდენად წარმატებით ხდება მიწოდებული ხორცის ხარისხის კონტროლი.

სასურსათო ბაზრის ყველის სეგმენტს ძირითადად იმერული ყველი მიეწოდება, რაც აუცილებელია ხაჭაპურის მოსამზადებლად. იმერული ყველი ძირითადად შინამეურნეობებში იწარმოება და სასურსათო ბაზარზე შუამავლების, არაფორმალური სავაჭრო ურთიერთობების და აგრარული ბაზრების მეშვეობით ხვდება (ბაზრის...2015,გვ.29.)

საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი 86 მლნ. აშშ დოლარი, აზერბაიჯანი 73 მლნ. აშშ დოლარი და რუსეთი 72 მლნ. აშშ დოლარი, ჩინეთი 17 883 აშშ (საქსტატი...2017).

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებში განსაკუთრებული ადგილი ციტრუსების ექსპორტს უკავია. ამ თვალსაზრისით, უდაოდ უმნიშვნელოვანესია ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ციტრუსების პლანტაციების გაშენებას, განახლებას და პერსპექტივაში მაღალკონკურენტული საექსპორტო პროდუქციის წარმოებას. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოების განვითარებაც, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის აჭარის პროდუქციის წარმოების საექსპორტო პოტენციალს (აჭარის...2012,გვ.46).

აგროსასურსათო სექტორში მოქმედ საწარმოებს შორის ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები. ბოლო წლების განმავლობაში რეგიონში ინტენსიურად ვითარდება სასათბურე მეურნეობები. შპს „აიკონ ჯგუფს“ 4,5 ჰექტარზე ულტრათანამედროვე სასათბურე მეურნეობა აქვს გაშენებული. 2012 წლიდან საწარმომ გააფართოვა და დამატებით 4 ჰექტარზე გააშენა სასათბურე მეურნეობა. 2011

წელს ექსპლოატაციაში შევიდა შპს „V&T აგროს“ სასათბურე მეურნეობა ერთ ჰექტარზე. 2011 წელს გახსნილ საწარმოთა შორის არის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი კომპანია შპს „აგროინვესტსერვისი“, რომლის პროდუქციაც 2012 წლიდან ხელს უწყობს ადგილობრივ ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაზრდას მექანიზაციის საშუალებებზე (იხ.დანართი–დიაგრამა 4).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციების ინტენსიურად შემოდინება 2005 წლიდან დაიწყო, როდესაც არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზება მოხდა. 2006-2011 წლებში დარგში განხორციელდა 102,117,919 ლარის ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცია. ამ მხრივ, რეკორდული 2010 წელი აღმოჩნდა, როდესაც დარგში 32 მილიონ ლარზე მეტი ჩაიდო. 2011 წლის ყველა საინვესტიციო პროექტი ახალი საწარმოების შექმნას ითვალისწინებს. სულ წლის განმავლობაში 24 საინვესტიციო წინადადება იქნა სამინისტროში წარდგენილი. 2011 წელს დასრულდა ექვსი პროექტი (ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“. (თბილისი 2017. გვ.34).

ინსტიტუციური სტრატეგიული გეგმის შედგენამდე, აგროსერვის ცენტრი უმეტესად დაკავებული იყო ორგანიზაციული და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტით და სრული ინტენსივობით არ ჰქონდა საქმიანობა დაწყებული. კერძოდ, 2011 წლის განმავლობაში ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ცენტრს გადაეცა მიწის ნაკვეთები, რასაც აგროსერვის–ცენტრი ახმარს როგორც ციტრუსის, ასევე, ხეხილისა და ბოსტნეულის სანერგე მეურნეობების შექმნასა და ჯიშთგანახლების საქმიანობებს. დაბა ჩაქვში გაშენებულ სანერგე მეურნეობაში ცენტრი მუშაობს ციტრუსის ნერგების გამოცდაზე, განახლებასა და წარმოებაზე, ხოლო, ქობულეთის სანერგე მეურნეობაში - როგორც ციტრუსის, ასევე, ბოსტნეულისა და ხეხილის ნერგების გამოცდასა და წარმოებაზე. ასევე იგეგმება სანერგე მეურნეობის (სასუფრე ვაზის, საწარმოო ჯიშების) მოწყობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ – ახალსოფელის 2.7 ჰექტარზე.

„აგროსერვის–ცენტრმა“ ქობულეთში ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრი ჩამოაყალიბა. გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ამ ქალაქში აშენდა ხილისა და ციტრუსის შესანახი მაცივარი, ასევე, ხილის საშრობი და შესაფუთი ხაზი. ზოგადად, აჭარის რეგიონში სანერგე მეურნეობების გამართვისა და აგრომეწარმისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევის მხრივ, აგროსერვის ცენტრის პრიორიტეტებია:

1. ციტრუსის, ხეხილისა და ბოსტნეულის ახალი ჯიშების (განსაკუთრებით, საადრეო ჯიშების) შემოტანა, გამოცდა და გავრცელება;
2. ხეხილისა და ციტრუსის ჯიშების ნარგავების განახლება;
3. ვაზის ჯიშების განახლება და ახალი ჯიშების დანერგვა (როგორც სასუფრე, სასუფრე-საღვინე და საღვინე);
4. დეკორატიული მცენარეების წარმოების განვითარება;
5. აბორიგენული და ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება.

აგროსერვის ცენტრის საქმიანობის მეორე კომპონენტი - ფერმერთათვის კონსულტაციების გაწევა - საკითხთა ფართო სპექტრს მოიცავს და მიზნად ისახავს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში როგორც მემცენარეობის, ასევე, მეცხოველეობის განვითარებას. კერძოდ, საწყის ეტაპზე უფასო კონსულტაციები მიზნად ისახავს:

1. მემცენარეობა-მეცხოველეობის ცალკეულ ასპექტებთან და მეურნეობის მოწყობასთან დაკავშირებით ფერმერთა ცნობიერების გაზრდას;
2. თეორიულ-პრაქტიკული და საველე სწავლების მეშვეობით, ფერმერთა ცოდნის გაღრმავებას/ტრენინგს;
3. ფერმერთა კოოპერაციის ხელშეწყობას.

მომდევნო წლების განმავლობაში თითოეულ მუნიციპალიტეტში ასევე იგეგმება საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების გახსნა, სადაც ის წარმატებული ფერმერები დასაქმდებიან, რომლებიც ეფექტურად ისარგებლებენ აგროსერვის ცენტრის მომსახურებით. აგროსერვის ცენტრის მესამე კომპონენტის - ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების განხორციელებაც 2012 წლიდან დაიწყო. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კავკასიური ჯიშის განახლებასა და წველადობის გაზრდას მისი სხვა ჯიშებთან შეჯვარების მეშვეობით. მცენარეთა ადგილობრივი, აბორიგენული ჯიშების შენარჩუნებისა და მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში გენოფონდის შესაქმნელად, ცენტრი ასევე უზრუნველყოფს სათანადო დახმარების აღმოჩენას შესაბამისი მეურნეობების გამართვასა და მეცნიერებისათვის (აჭარის...2012, გვ.56).

2013 წლისათვის რეგიონულმა სტრატეგიამ სოფლის მეურნეობის დარგში შემდეგი ექვსი პრიორიტეტული მიმართულება განსაზღვრა:

1. სასოფლო სამეურნეო სავარგულების ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა;
2. აგრარული საქონლის წარმოების ინტენსიფიკაციის ამალგების ხელშეწყობა;

3. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
4. სოფლის მეურნეობის სფეროში განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა;
5. აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
6. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ხელშეწყობა.

თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებასთან დაკავშირებით ასევე განსაზღვრულია საქმიანობის ზოგადი მიმართულებები. ამასთან, სტრატეგიული გეგმა არ აკონკრეტებს ამ ინიციატივებისა თუ საქმიანობების განხორციელების ვადებს, ასევე, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეგიონული განვითარების სტრატეგიას თან არ ერთვის სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რაც სხვა რეგიონულ უწყებებსა და მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობას მისცემს, შეაფასონ, თუ რამდენად ეფექტიანად სრულდება სტრატეგიული გეგმით დასახული ამოცანები.

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „საქართველოში კარგი მმართველობის (G3) პროგრამის“ ფარგლებში რეგიონის დარგობრივი სამინისტროების მიერ ინსტიტუციური სტრატეგიული გეგმებისა და მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება იმ ვაკუუმს შეავსებს, რომელიც რეგიონული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების კუთხით არსებობს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ რეგიონული განვითარების სტრატეგია თავისი არსით ბევრად უფრო ფუნდამენტური და ფართო დოკუმენტია. მის განხორციელებაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დარგობრივი სამინისტროების გარდა, არცთუ მეორეხარისხოვანი როლი რეგიონულ უწყებებს, მუნიციპალიტეტებსა და კერძო სექტორს ეკისრება.

ინფორმირებულობის საფუძვლიანი გაზრდის კამპანიით, პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ექსპერტიზისა და კონტროლის (მონიტორინგის) მეშვეობით ფუნქციური ეფექტურობის გაზრდას (ინფორმაციის...2015).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის SWOT ანალიზს თუ მოვახდენთ, თვალნათლივ დავინახავთ თუ რა მდგომარეობაა კონკრეტულ დარგში:

აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგის ძლიერი მხარეები:

- რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
- ორგანული პროდუქციის წარმოებისთვის კარგი კლიმატური პირობები;

- დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების არსებობა;
- ადგილობრივ აგრარულ პროდუქციაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილება;
- შრომითი რესურსების არსებობა;
- აგრარული პროდუქციის ექსპორტისათვის ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები;
- რეგიონის აგრარული სექტორის მრავალდარგობრიობა.
- ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღებასა და განხორციელებას;
 - აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის დაწესებულებებში სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა და პასუხისმგებლობათა ეფექტური გადანაწილება;
 - მოტივირებული, მაღალი კვალიფიკაციისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე თანამშრომლები;
 - გუნდური მუშაობის პრინციპების პატივისცემა;
 - სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში საშუალო რგოლის მენეჯერებისა და თანამშრომლების აზრის გათვალისწინების ტრადიცია;
 - თანამშრომელთა ენთუზიაზმი და მზადყოფნა, იმუშაონ საერთო ორგანიზაციული ამოცანების გადასაჭრელად;
 - კადრების დინამიური შევსებისა და ახალი თანამშრომლების ადაპტაციის ორგანიზაციული ტრადიცია; (აჭარის...2012,გვ.65–66)
 - ორგანიზაციული მეხსიერების შენარჩუნების კულტურა და ტრადიციები
- **აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგის სუსტი მხარეები:**
 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების დაბალი დონე;
 - მსხვილ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სიმცირე;
 - ახალი ტექნოლოგიების დეფიციტი და აგროტექნიკის დაბალი დონე;
 - მექანიზაციის დაბალი დონე, სოფლად ხელით შრომის მაღალი წილი;
 - სანაშენე, სანერგე, მეთესლეობის, ჯიშთა გამოცდისა და მცენარეთა დაცვის, სამელიორაციო, ვეტერინარული, აგროსაინჟინრო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე;
 - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი, სასაწყობო და სარეალიზაციო მომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალი დონე;

- რეგიონში ეროზიული ზონების არსებობა, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე;
- სოფლად ინფრასტრუქტურის დაბალი დონე;
- ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადაპტირებული ჯიშების ინტროდუციისა და ჯიშთგანახლების დაბალი დონე;
- პერიოდულად საქმიანობის ინტენსივობის გაზრდის გამო თანამშრომლებს სტრესულ გარემოში უწევთ მუშაობა;
- სამინისტროში დონორებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის არარსებობა;
- ცალკეულ სფეროებში კვლიეფიციური კადრების მოზიდვისა და დამაგრების შეზღუდული შესაძლებლობები (სსიპ „სოფლის მეურნეობის ლაბორატორია“);
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების შეზღუდული პირობები.

აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები:

- აჭარის სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- აგრო-სასურსათო პროდუქციის წარმოების სტაბილურად ზრდის დინამიკა;
- აგრო-სასურსათო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის სტაბილური დინამიკა;
- ექსპორტის მოცულობის სტაბილური ზრდა და ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისების შესაძლებლობები;
- მსოფლიო და ადგილობრივ ბაზრებზე ბიოლოგიურად და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა;
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ორიენტირება რეგიონის აგროსასურსათო სექტორზე;
- ტურისტთა რაოდენობის ზრდა და აგრო, ეკო, სამთო, სამონადირეო ტურიზმის განვითარება;
- რეგიონის სრული გაზიფიცირება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.

აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საფრთხეები:

- გლობალური ეკონომიკური კრიზისი;
- ინფლაციის მაღალი დონე;
- გლობალური დათბობა, კატაკლიზმები, ეკოლოგიური ვითარების გაუარესება;

- აგრარული პროდუქციის გასაღების ბაზრების მრავალფეროვნების ნაკლებობა;
- ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების მასიური გავრცელება;
- მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა სურსათის უვნებლობის

სისტემის არაეფექტურობის გამო; (აჭარის...2012,გვ.67)

იმპორტული პროდუქციის დემპინგური ფასი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რეგიონის სოფლის მეურნეობის ყველა დარგში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა შეინიშნება. მომდევნო სამი წლის განმავლობაში სამინისტრო გეგმავს აგრო-მეწარმეთა სამექანიზაციო საშუალებების უზრუნველყოფით, მცენარეთა მაღალმოსავლიანი ჯიშების გავრცელებით, ნარგავების განახლებით, ხელოვნური განაყოფიერების სერვისის უზრუნველყოფითა და სხვა აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოს აგრო-სასურსათო სექტორში წარმოების მოცულობის ზრდა, რაც დადებითად აისახება როგორც ფერმერებისა და მოსახლეობის შემოსავლებზე, ასევე – რეგიონული ბიუჯეტის ზრდაზე (აჭარის...2015ბ).

2008 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრო მცირე მექანიზაციის მიზნობრივ პროგრამას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც აგრომეწარმეებს შეღავათიან ფასებში, თანადაფინანსებით მიეწოდებოდა სასოფლო სამეურნეო ტექნიკა. ამას გარდა, აგრომეწარმეებისათვის სამექანიზაციო საშუალებების მიწოდების კუთხით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემუშავებული აქვს სხვა ინიციატივებიც. 2012 წელს სამინისტრომ იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დასაფინანსებლად წარუდგინა პროექტი, რომლის ფარგლებშიც აგრომეწარმეებისათვის ხელმისაწვდომი იქნება სამექანიზაციო საშუალებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2011 წელს დარგში განხორციელებულ ინვესტიციებს შორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელი საწარმოს შექმნა და ამოქმედებაა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს აგრომეწარმეების თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფასა და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაზრდაში.

ბიოგაზის დანადგარების დანერგვა მთიან აჭარაში აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. 2011 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლიტვის საელჩოსთან თანამშრომლობით საპილოტე პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც ბიოგაზის თითო

დანადგარი დამონტაჟდა ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. საგულისხმოა, რომ ეს კომპლექსური ინიციატივა, ბიოგაზის დანადგარების დანერგვის გარდა, ასევე ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობის მოწყობასაც. მიმდინარე წლის განმავლობაში სამინისტრო შეაფასებს პროექტის ზეგავლენას. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ამ ინიციატივის პოზიტიური შედეგები, ლიტვის საელჩოსთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ სააგენტოებთან თანამშრომლობით მთიან აჭარაში უზრუნველყოფს ბიოგაზის დანადგარების დამონტაჟების პროცესის გაგრძელებას (თუ საპილოტე პროექტის შეფასება დაადასტურებს ინიციატივის ეფექტიანობას, ლიტვის საელჩო მზად არის განაგრძოს პროგრამის მხარდაჭერა). ამ შედეგის მიღწევის მხრივ, 2012 წელს სამინისტრო ძირითადად დონორულ დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული, თუმცა, 2013 წლიდან, პროგრამების თანადაფინანსებისათვის სამინისტრომ გარკვეული სახსრები თავისი ბიუჯეტიდანაც გამოყო. (აჭარის...2012,გვ.71)

აგროსერვის ცენტრის ფარგლებში მრავალპროფილიანი სანერგე მეურნეობის მოწყობა მიმდინარეობს, რომელშიც გამოიცდება და წარმოებული იქნება სხვადასხვა სახეობის უვირუსო, ელიტური წმინდა ჯიშური ნიშან-თვისებების მქონე მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურების სარგავი მასალა. ციტრუსის, ვაზის, ხეხილისა და ბოსტნეულის სხვადასხვა ჯიშები (მათ შორის, საადრეო ჯიშები) შეღავათიან, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასებში მიეწოდება ფერმერებს. ჯიშთგანახლებამ და ამორტიზებული ნარგავების ჩანაცვლებამ ახალი, მაღალმოსავლიანი ნარგავებით რამდენიმე წლიან პერსპექტივაში წარმოების ზრდა უნდა უზრუნველყოს მეციტრუსეობაში, მეხილეობაში, მევენახეობასა და მებოსტნეობაში, რაც ასევე პოზიტიურად აისახება შემოსავლებსა და სასურსათო უსაფრთხოებაზე (შეერთებული...2016).

აგროსერვის ცენტრი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე და პროდუქტიული ნიშან-თვისებების გაუმჯობესების მიზნით, ხელოვნური განაყოფიერების ცენტრის მოწყობას უზრუნველყოფს, ასევე, მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ყოველწლიურად მაღალი კლასის სანაშენე მოზარდის მიღებას, დაბალპროდუქტიული პირუტყვის ნახირიდან გამოყვანას, სულადობის ოპტიმალური რაოდენობის დადგენა-

შენარჩუნებას, გაუმჯობესებული მაღალპროდუქტიული პირუტყვის ერთეული პროდუქტიულობისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობების მაქსიმალურ ზრდას.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას იღებს სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის პრივატიზების ან იჯარით გაცემის პროცესში, რომელსაც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წარმართავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილეობა პრივატიზაციის ან იჯარის პირობებისა და კონკრეტულ ფართობებზე პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრით შემოიფარგლება. აჭარის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის მაქსიმალური ეფექტიანობისა და შედეგზე ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად, სამინისტრო მომდევნო წლების განმავლობაში განსაზღვრავს მკაფიო კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების საპრივატიზაციოდ გატანა უნდა მოხდეს და პრივატიზების, ან იჯარის პირობების შედგენა. გარდა ამისა, სამინისტრო უფრო აქტიურად ჩაერთვება სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცესში. (აჭარის...2012,გვ.72)

ვიზიარებთ იმ აზრს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის განვითარების, ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებისა და წევრთა რაოდენობის გაზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს მათ საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების გაზრდა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების შექმნა წარმოადგენს. განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ჯერჯერობით სათანადო რესურსები არ გააჩნიათ, რომ იყვნენ კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა უძრავი ქონების შექმნაში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, სადაც, როგორც წესი, კერძო პირები და შპს-ები იმარჯვებენ. ამით მნიშვნელოვნად აფერხებენ და ხშირ შემთხვევაში კლავენ კოოპერატივების განვითარების პერსპექტივას.

რა თქმა უნდა, შპს-ებსა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თავისი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნიათ, მაგრამ, თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები, და შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების

განვითარებაზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება ან მათი განხილვა შპს-ებისა და მოგებაზე ორიენტირებულ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმების ინტერესების პარიტეტულად, სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, დაჩქარებული წესით შეიმუშავოს ნორმატიული ბაზა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწისა და სხვა საპრივატიზაციო ქონების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის უპირატესი უფლებით მიყიდვის ან იჯარის წესით გადაცემის პროცედურისთვის (კოლუაშვილი 2015, გვ.13).

სტრატეგიული მიზანი: აგროსასურსათო სექტორში წარმოების განვითარების და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. რეგიონის აგრო-სასურსათო დარგით ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორთა დაინტერესების ზრდისა და სოფლის მეურნეობის სექტორში გადამმუშავებელი საწარმოების შექმნის მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს ხელი შეუწყოს აგრო-სასურსათო სექტორში ინვესტიციების შემოდინებისათვის ხელსაყრელი გარემო-პირობების ჩამოყალიბებას. აჭარის რეგიონში წარმოებული აგრო-სასურსათო პროდუქციის რეალიზაციისა და უცხოურ ბაზრებზე უფრო მაღალი ნიშების დაკავების ხელშესაწყობად, სამინისტრო თავის ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ხელს შეუწყობს წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. აგრარულ სექტორში წარმოების სტიმულირების კუთხით სადაზღვევო და სალიზინგო სისტემების დანერგვაა დაგეგმილი.

მომდევნო რამდენიმე წლისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდასთან ერთად, უცხოური ბაზრების შედარებით მაღალი ნიშების დაკავებაცაა, რაც დღის წესრიგში აყენებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას. ამჟამად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (german international cooperation) GIZ პარტნიორობით მიმდინარეობს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო სერტიფიკატის - GLOBAL GAP-ის დანერგვის ხელშეწყობას. (german international cooperation) GIZ პროგრამის ფარგლებში კიდევ ერთი საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა

ხორციელდება. სამინისტრო მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებითა და არხებით აგრომეწარმეებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ (გურიელიძე...2012,გვ.4).

ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, ელექტრონულმა საინფორმაციო სისტემამ, ამომწურავი ინფორმაცია უნდა მისცეს როგორც რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესახებ, ასევე, თითოეული მუნიციპალიტეტისა თუ დასახლების დონეზე არსებული სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, ძირითადი დარგების, საწარმოების მოცულობის, ნიადაგის სტრუქტურის, კლიმატის და სხვა ძირითადი მახასიათებლების შესახებ. ელექტრონული ბაზის შემუშავება ევროკავშირის SPSP პროექტის ფარგლებში დაიგეგმა. სამინისტრო შეისწავლის ანალოგიური საინფორმაციო სისტემების შემუშავებისა და მართვის მხრივ, დაგროვილ საერთაშორისო გამოცდილებას და უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური ამოცანის დასმას, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც ევროკავშირის SPSP პროგრამის მიერ დაქირავებული კომპანია აიღებს. აჭარის რეგიონის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების კოორდინაციას და განსაზღვრავს პროგრამის ძირითად ფუნქციონალებსა და ტექნიკურ პარამეტრებს. ელექტრონული სისტემის სრულად ამოქმედების შემდეგ, სამინისტრო თავად უზრუნველყოფს პროგრამის რეგულარულად განახლებას. (აჭარის...2012,გვ.73)

რეგიონის აგროსასურსათო სექტორით ინვესტორების დაინტერესების დონის ზრდასთან ერთად, სამინისტროს წინაშე დგას ამოცანა, შეიმუშავოს მეწარმეებსა და ინვესტორებთან ინფორმაციის მიმოცვლის მდგრადი მექანიზმები და ინტერაქტიული მეთოდებით უზრუნველყოს ინვესტორთა მოლოდინებისა და საჭიროებების რეგულარული ანალიზი. ანალიზზე დაყრდნობით, სამინისტრო ყოველწლიურად შეიმუშავებს და აჭარის მთავრობასა და საქართველოს ხელისუფლებას წინადადებათა პაკეტს წარუდგენს სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციების მოზიდვის შემდგომი სტიმულირებისათვის. ამ მხრივ, სამინისტროს კიდევ ერთი ამოცანაა - after-care მომსახურების ამოქმედება-სამინისტრო უზრუნველყოფს მონიტორინგს იმ ინვესტორთა კმაყოფილებაზე, რომლებმაც სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რეგიონის მთავ-

რობის ხელშეწყობით ინვესტიცია განახორციელეს სოფლის მეურნეობის დარგში (აჭარის...2015).

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, 2012 წლიდან დიდი მოცულობის სამუშაო გასწია რეგიონის აგროსამრეწველო სექტორში დაზღვევის სისტემის დასანერგად. კერძოდ, საქართველოში მოქმედ უმსხვილეს სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობით აგრო-სასურსათო სექტორში რისკების დაზღვევის პაკეტი შემუშავდა, რომლის ფარგლებშიც სამინისტროს ძალისხმევით დაზღვეული რისკების წრე გაფართოვდა. თუმცა, ჯერჯერობით რეგიონის აგრო-სასურსათო სექტორში რისკების დაზღვევა უმეტესწილად არ ხდება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ აგრო-მეწარმეთა და ფერმერთა უდიდესი ნაწილისათვის არსებული სადაზღვევო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. ამდენად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ფერმერთა/მეწარმეთა ცნობიერების ზრდას სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოების დაკრედიტებისა და დაზღვევის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, აქტიურად ითანამშრომლებს ყველა სადაზღვევო და საფინანსო-საკრედიტო კომპანიებთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს აგრომეწარმეთა/ფერმერთა ინტერესების გათვალისწინება სადაზღვევო და საკრედიტო ურთიერთობებში (აჭარის...2015).

საექსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება რიგი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს, მათ შორის, ექსპორტზე გასატანი პროდუქციის სათანადოდ დაფასოებასა და შეფუთვას, უცხოეთის ბაზრების მოთხოვნათა შესწავლას, პროდუქციის ტრანპორტირებისათვის ყველაზე ოპტიმალური და ხარჯთეფექტიანი ხაზების შედგენას, ექსპორტირებული პროდუქციის გაყიდვებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის სისტემის გამართვას და ა.შ. რეგიონში საექსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება იმდენად ექცევა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში, რამდენადაც ის ვალდებულია ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას. ამასთან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით უმთავრესად აგრო-მეწარმეები არიან დაინტერესებულნი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო საშუალოვადიანი (5-7 წელი) პროგრამების შედგენას უზრუნველყოფს, რომლის

შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულნი იქნებიან როგორც აგრო-მეწარმეები, ასევე, ექსპორტიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები (მაგალითად, დონორები, საქართველოსა და აჭარის რეგიონის შესაბამისი უწყებები). მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ბათუმის ბიზნეს-ინკუბატორის გაფართოვება იგეგმება, რამაც რეგიონის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში (ტურიზმი, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა) მოქმედი და ახლადშექმნილი საწარმოების გაძლიერება, მათი წარმოებისა თუ მომსახურების გაფართოვება უნდა უზრუნველყოს. სსიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემის ნაწილია, ამდენად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინტენსიურად ითანამშრომლებს როგორც ბათუმის ბიზნეს ინკუბატორთან, ასევე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთანაც, რათა განისაზღვროს ინკუბატორის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები და შემუშავდეს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით საწარმოების განვითარების მხარდაჭერა მოხდება. ინკუბატორის საქმიანობას გაეროს განვითარების პროგრამა აფინანსებს (აჭარის...2012,გვ.74).

სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერება. სტრატეგიული მიზანი: სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მოსახურების დივერსიფიკაცია, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ეფექტიანობის ამაღლება. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სამინისტრო გეგმავს კიდევ უფრო დახვეწოს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში თუ სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების მიერ მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებაზე მონიტორინგის სისტემა. ამ მხრივ, სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების მიერ გაწეულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. სამინისტრო სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდვითი საშუალებებით უზრუნველყოფს მისი სისტემის დაწესებულებების მიერ გაწეული სერვისების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლებასა და, ამდენად, სოფლის მეურნეობაში მომსახურებაზე არსებული მზარდი მოთხოვნის მდგრადად შენარჩუნებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციები მომხმარებლებს უფასოდ უწევენ ცალკეულ მომსახურებას (მაგ., ფერმერთა კონსულტირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სხვადასხვა ასპექტების თაობაზე, აგრო-მეწარმეთა გაერთიანებების ინსტიტუციური განვითარება). სერვისების ნაწილი მხოლოდ მინიმალ-

ლურ, საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ბევრად დაბალ ფასებში იქნება ხელმისაწვდომი. სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისა“ და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ფასიანი მომსახურება მიზნად ისახავს არა მოგების გენერირებას, არამედ უპირატესად, შესაბამისი სერვისის თვითღირებულების დაფარვას, რაც ამ დაწესებულებებს შესაძლებლობას მისცემს რაც შეიძლება მეტი მომხმარებლებისათვის გახადონ ხელმისაწვდომი მომსახურება. ამდენად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციების წინაშე დგას გამოწვევა, მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გათვალისწინებით განახორციელონ ფასწარმოქმნის მოქნილი პოლიტიკა.

2011 წელს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის“ ლიკვიდაცია განხორციელდა, რაც განპირობებული იყო სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ შექმნით. ამის შედეგად, სამინისტროს შეუზღუდა როგორც ვაქცინაციის, ასევე, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობა და მთელი რიგი მიზნობრივი პროგრამები (მათ შორის, ამერიკული თეთრი პეპელას საწინააღმდეგო ღონისძიებები და ცხოველებისა და ადამიანების საერთო სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები) შეჩერდა. 2011 წლისთვის სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრები აშკარად არ იყო საკმარისი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეფექტური ზომების გასატარებლად, რამაც თავისი გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორზეც იქონია. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება აგროსერვის ცენტრს გადაეცა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია, შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში მას შეუძლია გარკვეული ღონისძიებები გაატაროს მავნებელი მწერებისაგან მცენარეთა დასაცავად, თუმცა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებით ამ ღონისძიებების დაფინანსებას. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის“ გამოყოფილი სახსრები კვლავ არ იქნება საკმარისი რეგიონში სათანადო ღონისძიებების გასატარებლად, სამინისტროს წინაშე დგას გამოწვევა, უზრუნველყოს აგროსერვის ცენტრში დონორთა მოზიდვა, რაც ცენტრს შესაძლებლობას მისცემს დროული რეაგირება მოახდინოს.

აგრო-მეწარმეთა და ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით სამინისტრო აგროსერვის ცენტრის მეშვეობით უფასო კონსულტაციების ახდენს მეციტრუსეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ჯიშთგანახლების კუთხით დაგეგმილი მასშტაბური ინიციატივების ფონზე. სავარაუდოდ, შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრები ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში გაიხსნება, სადაც ის ფერმერები დასაქმდებიან, რომლებმაც წარმატებით ისარგებლეს სამინისტროსა და აგროსერვის ცენტრის შესაბამისი სერვისებით (აჭარის...2015გ). (აჭარის...2012,გვ.77).

აგროგანათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა აჭარის რეგიონული განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. სტრატეგია ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დეფიციტის დაძლევის მიზნით, უცხოეთში სწავლების მხარდაჭერას, დეფიციტურ აგრარულ სპეციალობებზე სტუდენტთა სწავლების სტიმულირებას. ცხადია, რომ ამ ინიციატივების განხორციელება ხელშესახებ შედეგს მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოგვცემს, მაშინ, როდესაც დღეისათვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციების წინაშე გამოწვევა დგას, უზრუნველყონ კვალიფიციური კადრებით არსებული ვაკანსიების შევსება. ამდენად, სამინისტრო გეგმავს მოიძიოს და დაასაქმოს მოტივირებული ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ექვემდებარებიან გადამზადებასა და შემდგომ პროფესიულ განვითარებას. სტაჟირებისა და სტუდენტური პრაქტიკის სისტემის ინსტიტუციონალიზება, (რაც ასევე გულისხმობს წარმატებული სტაჟირების საკადრო რეზერვში გადაყვანას), ხელს შეუწყობს სამინისტროს კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტის მხრივ არსებული სირთულეების დაძლევაში.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს #1462 განკარგულებით, 1 სექტემბრიდან სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევას ითვალისწინებს შემდეგი რისკებისაგან: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. პროგრამის მიზანია: ა) აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ბ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; გ) სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დ) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის შემოსავლის

შენარჩუნება და რისკების შემცირება. პროგრამის განმახორციელებელია - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ხელშეკრულებებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ შესაბამის სადაზღვევო კომპანიებთან აფორმებს. სადაზღვევო რისკის - საშემოდგომო ყინვა - დაზღვევა მხოლოდ ციტრუსოვან კულტურებს ეხება და გულისხმობს 1 სექტემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის შედეგად ციტრუსოვანი კულტურების თბურ დაზიანებას.

2014 წლის პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამო 5 მილიონი ლარი იყო. სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამაში თავდაპირველად ხუთი სადაზღვევო კომპანია მონაწილეობდა: „აი-სი ჯგუფი“, „ალდაგი“, „ირაო“, „ქართუ დაზღვევა“, „ჯი-პი-აი ჰოლდინგი“, თუმცა „ქართუ დაზღვევამ“ ოქტომბერში პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეწყვიტა (სოფლის...2015ა). (იხ.დანართი- ცხრილი 6,7,8)

2014 წლის თებერვალში მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის განხორციელება დაიწყო აჭარაში (ALCPAJ). გარდა აჭარისა, პროგრამა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს მოიცავს. პროგრამა 2014 წლის თებერვალში დაიწყო, 5 წლის განმავლობაში გაგრძელდება ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში და მონიტორინგისათვის განკუთვნილ ერთ წელს მოიცავს. ანგარიში პროგრამის არეალის ბაზრის ანალიზს წარმოადგენს.

თავი III. აჭარის აგრარული სექტორის ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების პრობლემები და გაფართოების ძირითადი მიმართულებები

3.1. საექსპორტო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა და საკანონმდებლო ბაზის ძირითადი მიმართულებები

საექსპორტო პროდუქციის წარმოებას სახელმწიფოს მხრიდან წახალისება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და პერიოდულად განახლება ესაჭიროება შექმნილი ბიზნეს-გარემოს შესაბამისად. 2012 წლის შემდეგ, მთავარ მიზნად კვლავ უპირობოდ რჩება ერთიანი, ძლიერი, კანონის უზენაესობაზე დამყარებული, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. მთავრობამ მთელი რიგი ცვლილებები და ფუნდამენტური რეფორმები განახორციელა, რითაც ქვეყანა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ქვეყნის მთავარ ორიენტირად ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია რჩება, რაც ჩვენი საზოგადოების ურყევი არჩევანია. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებს ეფუძნება.

მთავრობა მუშაობას უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის და მოქალაქეებისათვის ღირსეული პირობების შექმნის მიმართულებით აგრძელებს, რომელიც აგრო-ეკონომიკური ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია, ხელი ეწყობა წვრილი და საშუალო ბიზნესის და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას; კიდევ უფრო გაძლიერდა კერძო საკუთრებისა და შრომითი უფლებების დაცვა; სახელმწიფო უზრუნველყოფს გლობალურ ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრირებას. ასევე მთავრობა აგრძელებს ჯანდაცვისა და სოციალურ პროექტებს; მომავალშიც დაგეგმილია იზრუნოს შრომისუუნარო მოქალაქეებისათვის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნისათვის; დიდი ყურადღება ეთმობა ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და ეკონომიკურ მოდერნიზებას. (სამთავრობო...2015, გვ.73).

აგრარულ ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის უზრუნველსა-ყოფად, მთავრობა ავითარებს აღსრულების ეფექტიან მექანიზმებს, მათ შორის, დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერების გზით. ამასთან, იგი ხელს უწყობს კომპანიების ზრდისა და განვითარებისათვის ხელშემშლელი ხელოვნური ბარიერების აღმოფხვრას. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და ინვესტორთა ნდობის ასამაღლებლად, განახლდა საინვესტიციო კანონმდებლობა. ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მთავრობა ხელს უწყობს კომერციული დავების გადაწყვეტაში მედიაციის განვითარებას მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას. ბიზნესის განვითარებისათვის სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შესაქმნელად, ბიზნესთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია მაქსიმალური გამჭვირვალობა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. ამასთან, ბიზნესისათვის დამატებითი ტვირთის მოხსნის მიზნით რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სისტემა ვითარდება, რომლის მიზანი როგორც ახალი საკანონმდებლო ინიციატივების, ისე არსებული საკანონმდებლო აქტების გავლენის შეფასებაა ბიზნეს-გარემოზე (სამთავრობო...2015,გვ.7).

აგრარული პროდუქციის მეწარმეობის, მათ შორის, მცირე, საშუალო და დამწყები მეწარმეების დასახმარებლად, სახელმწიფო ხელს უწყობს მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლებას, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას, დამწყები ბიზნესის, ასევე მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას, აგრარული სექტორის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების წვდომას. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობას და საქართველოში ამ კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და პოლიტიკის დანერგვის მიზნით, შემუშავებულია მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ყოველივე ეს დადებითად აისახება როგორც დასაქმების შესაძლებლობების, ისე თვითდასაქმების ზრდაზე. ყურადღება უნდა მიექცეს მთიან რეგიონებში მცირე მეწარმეობის განვითარებას. ეკონომიკური აქტიურობის წასახალისებლად „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გრძელდება მიკრო – და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტი, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს აჭარის რეგიონისთვის (სამთავრობო...2015,გვ.9).

მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება, რისი უპირველესი გარანტია მკაფიოდ არის განსაზღვრული აგრარული პო-

ლიტიკა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვნად გაზრდა სოფლის მეურნეობის სექტორში. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ისეთი გარემოს შექმნას ითვალისწინებს, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სოფლად სიღარიბის დაძლევას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში რეფორმები კომპლექსურად ყველა მიმართულებით ტარდება, განსაკუთრებით აგრო-სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით. ქართველ მეწარმეებს საშუალება მიეცათ ეტაპობრივად დანერგონ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. შედეგად ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების მასშტაბები იზრდება, რაც ევროპულ ბაზარზე, ხელს უწყობს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

აგრარული პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შეიქმნა ფერმერთა რეესტრი; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით; ხელი ეწყობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბაზრის განვითარებას; გაძლიერდება და განვითარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო, სალიზინგო და სადაზღვევო სისტემა; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი არიან და ხელმისაწვდომი იქნებიან ფულადი სახსრებით; გრძელდება ფერმერული კოოპერატივების/ასოციაციების აქტიური განვითარება. დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოების, შემნახველი, დამახარისხებელი, შემფუთავი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებაც. გაძლიერდება აგრარულ სექტორში დასაქმებულთა საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი და სამეცნიერო-კვლევითი უზრუნველყოფა. (სამთავრობო...2015,გვ.12).

მიმდინარეობს ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება. უნდა მოხდეს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და საქართველოში წარმოებული აგრო-სასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია. უზრუნველსაყოფია სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა და აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. კარგია, რომ გრძელდება რეგიონული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება,

რაც თავისთავად სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციას მოიცავს. განსაკუთრებული ყურადღება ხარისხიანი კონდიციური თესლისა და ნერგის წარმოების განვითარებას ეთმობა. შემუშავდა სოფლის განვითარების პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებები. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ზონების გათვალისწინებით, უნდა შეიქმნას და განხორციელდეს შესაბამისი დარგობრივი განვითარების პროგრამები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხელი უნდა შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განვითარებას

ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად აგრარულ სექტორში გაიზრდება წარმოების მასშტაბები, რენტაბელობა, კონკურენტუნარიანობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები და რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება. უახლოეს წლებში აგრო-სასურსათო სექტორში უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. საჭიროა გაიზარდოს თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, სოფლად უნდა შემცირდეს უმუშევრობა. შედეგად, საქართველოში წარმოებული აგრო-სასურსათო პროდუქცია ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტიც იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოში 2012 წლიდან დიდი ყურადღება სოფლის მეურნეობის განვითარებასა და საექსპორტოდ სურსათის წარმოების უზრუნველყოფას ექცევა. (სამთავრობო...2015,გვ.12-13).

კერძოდ, „(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერ შეღავათიან აგრო-კრედიტების პროექტს 2017 წელსაც აგრძელებს. სიახლე ისიც არის, რომ სასურსათო უსაფრთხოების მოთხოვნები სრულად იქნება გათვალისწინებული. მომდევნო წელს ეს პროექტი მეწარმეებზე უფრო ეფექტურად მორგებული გახდება და იგი სახეცვლილი ფორმით განხორციელდება: პროექტი გრძელდება ორი ახალი კომპონენტით, ესენია:

1. ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი საშუალებების კომპონენტი. (მაგ: ფერმის შენობა, პირუტყვი, რაც ერთ წელზე მეტი ვადით მოიხმარება საწარმოში, არის ძირითადი საშუალება), ხოლო საბრუნავ საშუალებად ის ითვლება, რისი გახარჯვაც ერთ სეზონზე ან მაქსიმუმ ერთ წელიწადში მოხდება. სათესლე მასალა, სასუქები, შხამ-

ქიმიკატები, მუშახელის დაქირავება სეზონურად, ეს ყველა საბრუნავ საშუალებებს წარმოადგენს. კიდევ ერთხელ რომ დავაზუსტოთ, ძირითადი საშუალებები ფერმის ან საწყობის აშენება, მრავალწლიანი ბაღის გაშენება, სათბურის მოწყობა, ტბორის გაკეთება, მეწველი საქონლის შექმნა, რაც გენერაციას იძლევა, ხოლო გოჭის შექმნა საბრუნავი საშუალებაა, ვინაიდან მაქსიმუმ ექვს თვეში ფერმერი გაზრდის და გაყიდის.

2. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, სასაოფლო-სამეურნეო საქმიანობის იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 2013 წლიდან შექმნა. პროექტის ძირითად ამოცანებს სასაოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება, სასაოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, სასაოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება და სოფლად დასაქმების ზრდა წარმოადგენს. შეღავათიანი აგრო-კრედიტის მისაღებად მსურველები პროექტის პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებს განცხადებით მიმართავენ, სადაც თავიანთ ბიზნეს-გეგმას წარადგენენ. შემდეგ კი საფინანსო ორგანიზაციები, საკუთარი საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას იღებენ. თუ ბანკი ფერმერს სესხს დაუმტკიცებს, მაშინ ელექტრონულად ეს მონაცემები სოფლის მეურნეობის სააგენტოს ეგზავნება, რომელიც მეწარმის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ბანკების მიერ განსაზღვრული გეგმით მოახდენს.

შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტი ე. წ. „სტარტაპების“ დაფინანსებასაც ითვალისწინებს. ბანკი, თავისი საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე, პირობებს აყენებს. ეს მოთხოვნები მეწარმის ფინანსური მდგომარეობიდან, კრედიტის უზრუნველყოფიდან და ბიზნეს-გეგმის აკვარგიანობიდან გამომდინარე დგინდება. მნიშვნელოვანია ისიც, თუ რამდენად კარგად იცნობს მეწარმე ბაზარს. ამ რისკების გაანალიზების შემდეგ ბანკი იღებს გადაწყვეტილებას. სახელმწიფოს მხრიდან არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, პირიქით, ხელი „სტარტაპის“ დაფინანსებას ეწყობა და სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველი მეშვიდე სესხი ახალი საწარმოს შექმნაზე გაცემული.

სოფლის მეურნეობის და აგრო-ბიზნესის განვითარებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადგილობრივი ფერმერე-

ბისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა პირდაპირაა დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის დანერგვასთან. ორივე მათგანისთვის კი ფინანსებია საჭირო (საქართველოს...2015დ,გვ.61). შეღავათიან აგრო-კრედიტის პროექტი თავდაპირველად შემდეგი შვიდი კომპონენტისგან შედგებოდა:

პირველი კომპონენტი - მცირე ფერმერებისათვის უპროცენტო სასაქონლე განვადება. ეს კომპონენტი ფერმერებისათვის 5 000 ლარამდე ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციაზე უპროცენტო სასაქონლო განვადების შეთავაზებას ითვალისწინებდა. ფერმერი პროდუქციას სასურველ დროს იღებს და იმავე ღირებულებას იხდის მოსავლის აღების შემდგომ, განსაზღვრულ პერიოდში.

მეორე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის. აღნიშნული კომპონენტით საბრუნავი საშუალებები და ნაწილობრივ ძირითადი საშუალებები ფინანსდება. ამ შეთავაზებით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა. კრედიტის მინიმალური მოცულობა 5 ათას, ხოლო მაქსიმალური მოცულობა კი 100 ათას ლარს შეადგენდა. ამ კომპონენტისთვის საფინანსო ინსტიტუტების მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი უნდა ყოფილიყო 17%, სადაც საპროცენტო განაკვეთიდან (17%-დან) 9 %-ის თანადაფინანსებას პროექტების მართვის სააგენტო უზრუნველყოფდა. კრედიტის ვადა საბრუნავ საშუალებებზე არაუმეტეს 18 თვით და ძირითად საშუალებებზე 60 თვით განისაზღვრება.

მესამე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის. ეს კომპონენტი ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნასა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას ითვალისწინებს. ამ კომპონენტის ფარგლებში გაცემული კრედიტის თანხა განისაზღვრება 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე, ან მისი ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში (ლარში), კრედიტის მაქსიმალური ვადა იყო არაუმეტეს 84 თვე, მაქსიმალური განაკვეთი 15%, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსება სარგებლის განაკვეთის 12%-ს შეადგენდა.

მეოთხე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-ლიზინგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. ამ კომპონენტით ახალი დაარსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება ხდებოდა. ამ

კომპონენტით სარგებლობის პირობას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ ადგილობრივი ნედლეულისა და ადგილობრივი შრომით რესურსების გამოყენება წარმოადგენდა. ამ კომპონენტით, ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა არანაკლებ 30 000 და არაუმეტეს 600 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ლიზინგის ვადა - 84 თვეს. მომსახურების წლიური სარგებელი ინვესტიციის 15%-ს, ხოლო პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება წლიური სარგებლის 12%-ს შეადგენდა.

მეხუთე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-კრედიტი ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოებისთვის. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში კრედიტები მხოლოდ ყურძნის გადამმუშავებელ საწარმოებზე გაიცა. კრედიტის მოცულობა 100 ათასიდან 10 მილიონ ლარამდე მერყეობდა. სარგებლის მაქსიმალურ განაკვეთს 15% წარმოადგენდა, სადაც სააგენტოს მონაწილეობა 9% იყო. კრედიტი 15 თვით გაიცემოდა.

მეექვსე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-კრედიტი ვაშლის, ატამის და მანდარინის შემსყიდველი საწარმოებისთვის. ატამის და მანდარინის შემსყიდველ საწარმოებს პროექტების მართვის სააგენტო სარგებლის განაკვეთის 9%-ს უფინანსებდა. მეწარმეებს 100 ათასიდან - 10 მილიონ ლარამდე კრედიტის აღება შეეძლოთ. ვაშლის შემსყიდველი კომპანიები, რომლებიც 1 კილოგრამ არასტანდარტულ ვაშლს მინიმუმ 10 თეთრად შეიძენდნენ, სააგენტოსგან კილოგრამზე 8 თეთრის სუბსიდიას იღებდნენ.

მეშვიდე კომპონენტი - შეღავათიანი აგრო-კრედიტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოებისათვის. მეშვიდე კომპონენტის მიზნობრივ ბენეფიციარებს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები წარმოადგენდნენ, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებსაც პროექტის „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ ფარგლებში საგრანტო თანადაფინანსება მოიპოვეს (საქართველოს...2014,გვ.2).

პროექტის გეოგრაფიული დივერსიფიცირებისა და დაფინანსების თანაბარი გადანაწილების მიზნით, ერთ მიზნობრივ რაიონში არაუმეტეს 3 საწარმოს დაფინანსება ხდებოდა, იმავდროულად, ერთ მიზნობრივ რაიონში დაფინანსებული პროექტების ჯამური ღირებულება არაუმეტეს 1 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრებოდა. სარგებლის მაქსიმალური განაკვეთი 14 %-ს შეადგენს, ხოლო პროექტების მართვის თანამონა-

წილობა, სარგებლის განაკვეთის 12 %-ს შეადგენდა. შეღავათიან აგრო-კრედიტის პროექტს მოაგვიანებით მე-8 კომპონენტი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაემატა. „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტია. ამ პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოა, რადგან ამ პროგრამის ბიუჯეტის (46 მლნ ლარი) 65,2%-ით აგრარული საწარმოები დაფინანსდნენ. პროექტის ბიუჯეტის 34,8% (16 მლნ ლარი) კი სხვა მიმართულების ინდუსტრიის დასაფინანსებლად დაიხარჯა (სამთავრობო...2015,გვ.9). (Europe...2015)

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, ჯამში 2015 წლიდან 2017 წლის მონაცემებით, გაცემულია 27208 სესხი, 716557418 ლარის ოდენობით. პირველ კომპონენტში გაიცა 5448 სესხი 2199819 ლარის ოდენობით. მეორე კომპონენტში – 20835 სესხი 371008522 ლარის ოდენობით. მესამე კომპონენტში – 806 სესხი 102124673 აშშ დოლარის ოდენობით. მეოთხე კომპონენტში გაიცა 2 სესხი 89 878 აშშ დოლარის ოდენობით. მეხუთე კომპონენტში გაიცა 87 სესხი 110 643 047 ლარის ოდენობით და 10 სესხი 8 663 171 აშშ დოლარის ოდენობით. მეექვსე კომპონენტში გაიცა 9 სესხი 2 680 000 ლარის ოდენობით. მეშვიდე კომპონენტში – 2 სესხი 448 680 აშშ დოლარის ოდენობით. მერვე კომპონენტში 9 სესხი = 11 018 240 აშშ დოლარის ოდენობით. შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტის ფარგლებში ჯამში, პროცენტის სუბსიდირების სახით, სააგენტოს მხრიდან გადახდილია 31 202 000 ლარი. (Europe...2015)

შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტს 2013 წელს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი აფინანსებდა. 2014 წელს კი ეს პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. შეღავათიანი აგრო-კრედიტის მენეჯერის თქმით, მიმდინარე წელს შესაძლოა, პროექტის ბიუჯეტი გაიზარდოს. შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტის ფარგლებში სულ გაცემულია 27 695 სესხი. პროექტის ფარგლებში 21 006 ბენეფიციარს სესხი აქვს აღებული. მეორადი უზრუნველყოფის პირობების თანახმად, ბენეფიციარის დავალიანება სააგენტომ მხოლოდ 2-ჯერ დაფარა. ამ ეტაპზე აქტიური სესხების რაოდენობა 21 441 სესხს შეადგენს. 6 254 კრედიტი დახურულია. (Europe...2015)

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ საწარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმის განვითარება, რომელზეც სახელმწიფო პროგრამების - „იაფი სესხი“ და „აწარმოე საქართველოში“ - ფინანსური რესურსებია მიმართული, ძირითადად გლეხობიდან პროდუქ-

ციის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების გაძლიერებას ხმარდება, უმეტეს შემთხვევაში სოფლის მოსახლეობისთვის უკუშედეგის მომტანი გახდება.

სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სწრაფი და დაბალანსებული განვითარების ყველაზე ეფექტურ მექანიზმს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. ასეთი სისტემის ფორმირებით გლეხებს პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამმუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა მიეცემათ, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება. ასეთ პირობებში პირველადი პროდუქციის მწარმოებლები დაინტერესებულნი იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგებით. ამის შედეგად ჩნდება ყოველი სოფლის მწარმოებელ ბრენდად გადაქცევის შესაძლებლობა მიეცემათ (კოლუაშვილი 2015, გვ. 7–8).

აგრო-სექტორის შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის გამოყენება საექსპორტო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთი გამოხატულებაა. გარდა ამისა, არსებობს საექსპორტო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის მრავალი მექანიზმი და ღონისძიება, რომელთაც სათანადო შესწავლა, შეფასება და არსებულ ვარიანტებს შორის სტიმულირების ყველაზე ხელსაყრელი, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ესაჭიროება. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე საკუთარი ეკონომიკის სწორად მმართველი ქვეყნების ხელისუფალნი ექსპორტს არა თუ ზღუდავენ, არამედ მის სტიმულირებას ახდენენ. ექსპორტის სტიმულირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას საექსპორტო სუბსიდია წარმოადგენს (საქართველოს...2016ა), რომლის დანერგვა და ეფექტურად გამოყენება აჭარის რეგიონს საკმაოდ წარმატებულ ექსპორტიორ რეგიონად გახდის.

საექსპორტო დარგთა პირდაპირი ფინანსური სუბსიდირება, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, აკრძალულია და იგი „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის” ნაირსახეობადაა მიჩნეული. საექსპორტო სუბსიდიები საექსპორტო საწარმოთა დანაკარგების კომპენსაციას, ან სხვა დანაკარგებს გულისხმობს, რაც შეიძლება გამოიხატოს ექსპორტიორთათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევაში (გასაღების ბაზრების შესახებ ინფორმაციების მოპოვებაში, სავაჭრო გამოფენების ორგანიზების დახმარებაში, პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების მხარდაჭერაში და ა. შ.).

მოგეხსენებათ, საექსპორტო სუბსიდიების მთავარი მიზანი საზღვარგარეთ გასაყიდი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა. ექსპორტის სუბსიდირების შედეგად, ექსპორტიორს ხშირად ეძლევა საქონლის დაბალ, ზოგჯერ თვითღირებულებაზე უფრო ნაკლებ ფასადაც გაყიდვის შესაძლებლობა.

საერთაშორისო ორგანიზაციები იმპორტიორ ქვეყნებს უფლებას აძლევენ უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციის სუბსიდირების შემჩნევისას საპასუხო ზომები „საკომპენსაციო ზაფხების“ შემოღების სახით მიიღონ. საერთაშორისო სამართლის გამოცდილების გათვალისწინებით, აჭარის რეგიონში ექსპორტის სუბსიდირების ნებადართული მეთოდები: მაგ., სახელმწიფოს მიერ ექსპორტიორთათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, ან მათი პროდუქციის მყიდველ უცხოელ კლიენტებზე, მინიმალური განაკვეთების მქონე სესხების გაცემა. და ა. შ. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი ქვეყნის „ექსიმ-ბანკის“ კრედიტები მთავარ საექსპორტო დარგთა, ან მათი პროდუქციის უცხოელ მყიდველთა დაფინანსებისაკენაა მიმართული.

აჭარის ხელისუფლება მზარდ ხარჯებს უნდა სწევდეს საექსპორტო პროდუქციის უცხოეთში გასაღების სტიმულირების მიზნით. ეს თანხები საექსპორტო საქონლის მაღალ ხარისხის ან იაფობის შესახებ სწორი ინფორმაციის (რეკლამის) უცხოელი კლიენტებისათვის მიწოდებაზე, საექსპორტო დარგებზე გაწეული საგადასახადო შეღავათების დასაფარავად და ა. შ. უნდა იხარჯებოდეს. საზოგადოდ, საექსპორტო სუბსიდიები ძალზე დაბალია. იგი მთლიანი ექსპორტის ღირებულების მხოლოდ 1%-ს შეადგენს.

ადგილობრივი ფერმერების შემოსავლების მხარდამჭერ პოლიტიკაზე გაწეულ სახელმწიფო დანახარჯთა შემცირების მიზნით, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები ჭარბ აგრარულ პროდუქციას საზღვარგარეთ გაცილებით უფრო იაფად ყიდიან, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე, რადგანაც ისინი თავს არიდებენ აგრარული სექტორის დამატებით სუბსიდირებას. ასეთ აგრარულ საქონელს ისინი აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე იაფად ყიდიან, რომლებისთვისაც მსოფლიო ბაზრის ფასები მეტისმეტად მაღალია. დაუბრკოლებლად უნდა შემოვუშვათ თუ არა სუბსიდირებული პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ადგილობრივ მეწარმეთა ლობირების დონე (რომელთაც უცხოეთიდან ემუქრებათ

არასამართლიანი კონკურენციული გარემო) და მომხმარებელთა ანტიინფლაციური განწყობა.

აჭარის რეგიონის სასურსათო პროდუქციის გასაღების ბაზრის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ექსპორტის სუბსიდირება, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკა ახდენს, თურქული პროდუქციის საზღვარგარეთ გასაღების დონეს ზრდის, რითაც იგებს მოცემული ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოს დაზარალების ხარჯზე, მაგრამ თუ აჭარის რეგიონში სუბსიდირებული პროდუქციის შემოტანაზე დაუწყებთ საკომპენსაციო ბაჟებს, მაშინ ვაჭრობის მოცულობა (გასაღების დონე) და ფასები კვლავ ადრინდელ, სუბსიდირებამდე არსებულ დონეს გაუტოლდება, მაგრამ განსხვავება იქნება ის რომ, მოგების ის ნაწილი, რომელიც ადრე რჩებოდა სუბსიდირების გამწევ ექსპორტიორ ქვეყანას (ჩვენს შემთხვევაში თურქეთს), იგი უკვე მას აღარ დარჩება და მოგების ეს ნაწილი გადაინაცვლებს იმპორტიორ ქვეყანაში (ჩვენს შემთხვევაში – საქართველოში), რადგანაც ექსპორტიორი ქვეყნის მწარმოებლები – იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო ორგანოებს, გადასახადების სახით, ყოველწლიურად უგზავნიან „უხილავ ჩეკებს“, რომელიც ექსპორტის სუბსიდირების მოცულობას შეესაბამება.

ამრიგად, აჭარის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მრავალი მეთოდი შეიძლება გამოიყენოს, რომლის ყველაზე უფრო პროგრესული ფორმა საექსპორტო სუბსიდირებია. საექსპორტო სუბსიდირები წარმოადგენს საზღვარგარეთ საქონლის ექსპორტიორი კერძო ფირმებისათვის ფანანსური სახსრების გადახდას. საბაჟო გადასახადების მსგავსად, საექსპორტო სუბსიდირები შეიძლება იყოს სპეციფიკური (საქონლის ერთეულზე დაწესებული ფიქსირებული თანხა) ან ღირებულებითი (საექსპორტო პროდუქციის ღირებულების პროცენტი). როცა აჭარის ხელისუფლება საექსპორტო სუბსიდიას ცისტრუსთან ან სხვა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების პროდუქტზე იხდის, მაშინ გადამზიდავები საქონლის გატანას მანამდე მოახდენენ (თუნდაც ტრადიციულ ბაზრებზე – ისეთებზე, როგორცაა რუსეთი, უკრაინა), სანამ მისი ადგილობრივი ფასი არ გადააჭარბებს საგარეო ბაზარზე სუბსიდირებული ფასის სიდიდეს. საექსპორტო სუბსიდიის ფასზე ზეგავლენა საბაჟო ტარიფის ზემოქმედების საპირისპირო ეფექტისაა, რომელიც წარმატებით შეგვიძლია მოვარგოთ აჭარის ფერმერულ მეურნეობებს.

შედეგად, ფასთა შორის საექსპორტო სუბსიდიის ოდენობის სხვაობა წარმოიქმნება. ექსპორტიორ რეგიონში მწარმოებლები მოგებულნი დარჩებიან. სახელმწიფომ დამატებით თანხები უნდა დახარჯოს სუბსიდიების დაფინანსებაზე. საბაჟო ტარიფისაგან განსხვავებით, ჩვენს რეგიონში საექსპორტო სუბსიდიის შემოღებამ შეიძლება გააუარესოს საგარეო ვაჭრობის პირობები, რადგანაც ის წარმოებული სუბსიდირებული პროდუქციის ფასთა ვარდნას გამოიწვევს საგარეო ბაზარზე. საექსპორტო სუბსიდიების შემოღებით გამოწვეული ზარალი მისგან მიღებულ მოგებას აშკარად გადააჭარბებს.

საექსპორტო სუბსიდიის მიერ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მოხდენილი გავლენის ილუსტრირების საუკეთესო მაგალითი ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაა. ევროკავშირში სუბსიდიის შემოღება თავდაპირველად აგრარული პროდუქციის ევროპელი მწარმოებლებისათვის მაღალი ფასების შესანარჩუნებლად იყო გამოწვეული. იმპორტული სურსათის მხრიდან გამოწვეული კონკურენციისაგან სამამულო საწარმოთა დასაცავად საიმპორტო ტარიფები იქნა შემოღებული, რომელიც აკომპენსირებდა ევროპულ და მსოფლიო ფასთა შორის სხვაობას.

სუბსიდირებულმა ევროპულმა აგრარულმა ექსპორტმა მსოფლიო ფასთა ვარდნა აგრარულ პროდუქციაზე თავად გამოიწვია, რამაც სხვა ქვეყნებზე აიძულა გადასულიყო აგრარული პროდუქციის ექსპორტის აგრესიულ სუბსიდირებაზე. აგრარული პროდუქციის წარმოების ევროპულმა სუბსიდირებამ ისეთი მოქნილი სახე მიიღო რომ, მას ბევრი წინააღმდეგობა არ შეხვედრია მოსახლეობის მხრიდან.

აჭარის რეგიონის როლი ექსპორტის წახალისებაში– ექსპორტი რეგიონში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია. ამიტომ მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს მის ზრდაში და ხელს უნდა უწყობდეს მას, რადგანაც წარმოებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, ეკონომიკა ვითარდება. ექსპორტის სტიმულირების მექანიზმი მრავალგვარია და იგი სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. თანამედროვე ეტაპზე ექსპორტის სტიმულირების საკმაოდ გავრცელებული და აგრესიული ფორმა პირდაპირი სუბსიდიებია. სახელმწიფო სუბსიდიებში იგულისხმება საქონელმწარმოებელთა დანაკარგების კომპენსაცია ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემით. მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი სხვა სახის დახმარებებით ხორციელდება. ეს შეიძლება გამოიხატოს

ექსპორტიორებისათვის მომსახურების გაწევაში, მაგალითად: ინფორმაციის მიწოდება, სავაჭრო გამოფენების ორგანიზებაში დახმარება და ა. შ.

ექსპორტის სახელმწიფო ან რეგიონულ სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტებსა და უცხოურ დახმარებებს. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტს იძლევა კომერციულ ბანკებთან შედარებით უკეთესი პირობებით. ექსპორტის დაკრედიტების მიზნით იქმნება ექს-იმ-ბანკი და სხვადასხვა სახის ფონდები. ექსპორტის ხელშესაწყობად აგრეთვე მისი შერეული დაკრედიტება გამოიყენება, სახელმწიფო და კერძო ფინანსური სახსრების შერწყმის გზით, როცა კრედიტების შეღავათიან და საბაზრო განაკვეთებს შორის სხვაობას ფარავს სახელმწიფო. მაღალგანვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებს ექსპორტის წასახალისებლად შეღავათიან, ან უპროცენტო, გრძელვადიან სესხებს აძლევენ, რაც უმეტესწილად პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. ისინი სესხებს ღარიბ ქვეყნებს თავიანთი პროდუქციის შესაძენად აძლევენ, ანუ ირიბად აფინანსებენ მათივე ქვეყნიდან წამოსულ ექსპორტს. ამნაირად ფინანსდება მათი პროდუქციის ექსპორტის დაახლოებით 1/10 ნაწილი. ასეთი სესხების აღებით, განვითარებადი ქვეყნები კიდევ უფრო იმძიმებენ თავიანთ საგარეო დავალიანებას.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მიზნით გარკვეულწილად უნდა მოხდეს კომერციული რისკების დაზღვევა. ასეთ რისკებს განეკუთვნება: სავალუტო რისკების დაზღვევა, ნედლეულზე ფასების მკვეთრი რყევისაგან დაზღვევა და ა. შ. ამ დროს კომერციული რისკებისაგან დაზღვევა რეგიონის ხელისუფლების გარანტიებით განხორციელდება. ექსპორტის სტიმულირებისათვის ფართოდ გამოიყენება საგადასახადო შეღავათები. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს საექსპორტო პოლიტიკის შემუშავებაში. რადგანაც მხოლოდ აჭარის ხელისუფლების პრეროგატივა არ არის ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი, ირიბი გავლენის მქონე საშუალებების, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სტანდარტებისა და ხარისხის რეგლამენტირების, სამამულო საქონლის პროპაგანდის უზრუნველყოფა. (სამთავრობო...2015)

საექსპორტო წარმოების მოტივაციის რისკის მინიმიზაციის მიზნით ორიენტირებული საგარეო ბაზრების, აქტივებისა და ბიზნესის დივერსიფიკაცია უნდა მოხდეს. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში რისკის მინიმიზაციისაკენ მისწრაფების მქონე სათავო კომპანიები საზღვარგარეთულ საწარმოებში აქტიური ინ-

ვესტირების პოლიტიკას ეწვეიან, რათა ისინი მათ მიმართ სრულ კონტროლს დაქვემდებარებულ ფილიალებად გადააქციონ. კონკურირებად ფირმებზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორების ერთობლიობა სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. რისკის მინიმუმდე დაყვანის მსურველი ინვესტორი ცდილობს მოახდინოს თავისი აქტივების დივერსიფიცირება, რათა ის სინქრონულად მოქმედი საფრთხის გავლენას არ დაუქვემდებაროს.

აჭარის სოფლის მეურნეობაში ინვესტორი მთელ თავის კაპიტალს მხოლოდ ერთ საინვესტიციო კალათაში არ დააბანდებს, რომელმაც ან ერთიანი მოგება უნდა მოუტანოს ან მთლიანად დააზარალოს იგი, არამედ უნდა წარმოადგინოს კაპიტალის დაბანდების სხვა გზების მოძიებისა და ნაკლები რისკით იგივე მოგების მიღების შესაძლებლობა. ამრიგად, დივერსიფიკაციისაკენ სწრაფვა, რომელიც რისკის მინიმუმამდე დამყვანი ინვესტორისათვისაა დამახასიათებელი, აღარ იწვევს მზადყოფნას ცალკეულ საწარმოთა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩასაგდებად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასობრიობას ხსნის „ფირმის უპირატესობანი“, რომელიც კონკურენციის მარტივ მოდელს ეწინააღმდეგება. ისმის ასეთი კითხვა: რა აიძულებს უცხოელ ინვესტორს ჩაებას ადგილობრივ მეწარმეებთან კონკურენციაში მათივე სამამულო ბაზარზე?

აჭარის სოფლის მეურნეობის ექსპორტზე ორიენტირებულმა ფირმებმა ექსპორტის განვითარების კონკურენციული სტრატეგია უნდა შეიმუშაოვნ. ადგილობრივ ფირმებს, უცხოელ ინვესტორებთან შედარებით, როგორც წესი, ერთგვარი „გენეტიკური“ უპირატესობა გააჩნიათ. ოპერაციების „დისტანციური მანძილიდან“ მართვა გარკვეულ (კავშირგაბმულობისა და მიმოსვლის) ხარჯებთანაა დაკავშირებული. დიდია გაუგებრობის საშიშროება. იმისათვის, რომ უცხოელმა ინვესტორმა აჯობოს ადგილობრივი „გენეტიკური“ უპირატესობის მქონე ფირმას, საჭიროა მას ადგილობრივი ინვესტორისათვის მიუწვდომელი უპირატესობა გააჩნდეს. ასეთი უპირატესობები დაკავშირებულია ტექნოლოგიებისა და პატენტების ფლობასთან, ძალზე მსხვილი კაპიტალის წყაროთა ხელმისაწვდომობასთან. თავიანთი საერთაშორისო სტატუსის უქონლობიდან გამომდინარე, ასეთ უპირატესობებს ადგილობრივი ფირმები მოკლებულნი არიან.

ფირმას შეუძლია გააჩნდეს უცხოური ქვეყნის ბაზრებზე გასვლის საშუალება ან კიდევ, ფირმას შეუძლია ოპერაციებისა და კაპიტალის ინვესტირების კოორდინირება მოახდინოს წარმოების ყოველ სტადიაზე და, ოპერაციების სინქრონიზაციის საფუძველზე, წარმოების ხარჯებში მნიშვნელოვან ეკონომიას მიაღწიოს. უცხოელმა ინვესტორმა შეიძლება მოიგოს აგრეთვე პროდუქციის დიფერენციაციით, აქტიური რეკლამით, მართვის სრულყოფილი სისტემის გამოყენებით. ფირმას, რომელიც ცდილობს ოპერაციების ორგანიზებას ბაზირების ქვეყნისაგან მოშორებით, ასეთ უპირატესობათაგან ერთ-ერთი მაინც უნდა გააჩნდეს.

ტრანსნაციონალური კომპანიები თავიანთ საქმიანობებს იქამდე გაშლიან და გაიზრდებიან, სანამ ეს ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებში იქნება. სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება არ შეიძლება ერთმანეთისგან ცალსახად გაიმიჯნონ. ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ “ეროვნული” თვალსაზრისით. სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა და ის დამაბულობა, რომელიც სახელმწიფო კურსის გატარებას ახლავს, დაკავშირებულია ასევე კლასობრივ და კლასების სტრუქტურული ელემენტების ინტერესებთან (საქართველოს...2016დ).

საერთაშორისო კონკურენციაში გამარჯვებისათვის მხოლოდ კარგი იდეა საკმარისი არაა. ამ იდეის საჭიროა მიხედვით შესაბამისი პროდუქციის შექმნა. რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელმა ფერმერებმა ან მეწარმეებმა უნდა დაადგინონ მისთვის შესაფერისი ბაზრის არსებობა და მიიღებს თუ არა საკუთარი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას. მან უნდა შეიმუშაოს ასევე წარმოების ორგანიზაციის სტრატეგია, მოამზადოს საქონელი ბაზრისათვის, განსაზღვროს მათი მიწოდებისა და გაყიდვის ოპტიმალური სტრატეგია. ყოველივე აღნიშნული საქმიანობის გულდასმით დაგეგმვასა და მომზადებას მოითხოვს. საერთაშორისო კონკურენციის სტრატეგიის შემუშავებისას სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე ქვეყნის შიგნით სამეურნეო ოპერაციებისას.

საერთაშორისო კონკურენციაში თავის გადასარჩენად, აჭარის აგრო ექსპორტიორებს სხვადასხვა ქვეყნის შეფასება მოუწევთ, გასათვალისწინებელია სამუშაო ძალის ღირებულება, ასევე საწარმოთა განლაგების შესაძლო პუნქტების რაოდენობა და ადგილმდებარეობა. ევროპული ფირმები უპირატესობას ანიჭებენ მოემსახურონ უცხოურ ბაზრებს და თავიანთი სახსრები შესაბამის ქვეყნებში დააბანდონ. იაპონური

ფირმებიც ასევე მხოლოდ თავიანთი პროდუქციის ექსპორტის გზით მოქმედებენ. ასევე აჭარაში დისლოცირებულ ფირმასაც შეუძლია აირჩიოს წარმოების განლაგების ადგილი და მომარაგების წყაროები მსოფლიოში პროდუქციის შემდგომი გასაღებისათვის, ანუ საჭიროა კოოპერაციების შექმნა. კორპორაციებს გააჩნიათ არჩევის შემდეგი საშუალებები:

1. მათ შეუძლიათ იყიდონ და არ აწარმოონ;
2. აწარმოონ ბაზირების ქვეყნის საწარმოებში;
3. გაყიდონ მზა პროდუქცია ადგილობრივ და საგარეო ბაზარზე.

მრავალეროვნულ კომპანიათა მიერ კონკრეტული ბაზრების მომსახურებისათვის წარმოებისა და მომარაგების წყაროების გლობალური განლაგების იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ფირმებს მაკომპლექტებელი ნაკეთობის დამზადების და მზა პროდუქციის შექმნის ადგილის განსაზღვრა უხდებათ. საქმიანობის გლობალური ორიენტაციისას ფირმები განსაზღვრულ კონკურენციულ უპირატესობებს იძენენ. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში კომპანიებს ბაზრების მომსახურებისათვის წარმოების ფაქტორების განლაგებისა და მზა პროდუქციის შექმნის მრავალი ვარიანტი გააჩნიათ. ამის მაგალითია მომარაგების წყაროთა გლობალური განლაგების სტრატეგია. გაფართოებულ მოდელში გასათვალისწინებელია ისეთი შანსები, როგორცაა ფირმის მიერ მაკომპლექტებელ ნაკეთობათა დამზადება ან გარე მწარმოებლებისაგან მათი შექმნა.

აჭარაში არსებულმა ფირმებმა, პროდუქციის საბოლოო დასრულება შეიძლება ადგილზე მოახდინონ ან ეს ოპერაცია სხვა ფირმას გადასცენ კოოპერაციის წესით. მაკომპლექტებელი მასალების წარმოებას და საბოლოო აწყობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფირმის ბაზირების ქვეყანაში განვითარებულ ან განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფირმას პროდუქციის თავისი გასაღება სურს. პირველი ვარიანტი ითვალისწინებს მაკომპლექტებელი ნაწარმის დამზადებას იმ ქვეყანაში, სადაც აგრარული პროდუქციის საბოლოო წარმოება ხდება. მეორე ვარიანტი ეხება წარმოებას უცხოეთში. იგი განსხვავდება იმით, რომ ფირმები მოცემულ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ მაკომპლექტებელი ნედლეულის ან ტექნოლოგიებით წარმოებას თავიანთ ქვეყანაში. მესამე ვარიანტი ნედლეულის სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებაზე დაიყვანება. წარმოების განლაგების ასეთი დივერსიფიკაცია ქვეყნის კომპანიების საქმიანობის კოორდინაციის მაღალ დონეს მოითხოვს.

მაკომპლექტებელი მასალების წარმოების დაწყებამდე აუცილებელია ნედლეულის მიწოდების უზრუნველყოფა. იმისთვის, რომ აჭარის აგრარული პროდუქციის ექსპორტიორებმა შეძლონ სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე კომპანიის მყარი პოზიციების უზრუნველყოფა, აუცილებელია სტრატეგიის სხვადასხვა ვარიანტის შემუშავება. მათგან პირველია დივერსიფიკაციის სტრატეგია, მეორე კი კონცენტრაციის სტრატეგია. საქმიანობის დივერსიფიკაციის სტრატეგიით კომპანიას შეუძლია სწრაფად შეაღწიოს უცხოურ ბაზარზე და თანდათანობით გაამყაროს თავისი პოზიციები ყოველ მათგანზე. საქმიანობის კონცენტრაციის სტრატეგიის მეშვეობით კომპანია ერთ ან რამდენიმე ბაზარზე მონაწილეობს და ბაზრების შემდეგ ჯგუფში შეღწევამდე სწრაფად განამტკიცებს იქ პოზიციებს. არსებობს აგრეთვე ამ სტრატეგიების ჰიბრიდული ვარიანტიც, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ორივე სტრატეგიის ასპექტებს მოიცავს. გაყიდვის მოცულობის დინამიკის ფუნქცია მიეკუთვნება სხვადასხვა დონეზე მარკეტინგის ხარჯებზე წარმოშობილ გაყიდვის მოცულობას.

გაყიდვის მოცულობის სწრაფი ზრდა მეტყველებს საქმიანობის კონცენტრაციის სტრატეგიის სასარგებლოდ, ხოლო მისი დაცემა კი – საქმიანობის დივერსიფიკაციის სასარგებლოდ. პირველ შემთხვევაში ბაზრის წილის შენარჩუნებისათვის დამატებითი საშუალებების გამოყენებაა საჭირო. მოგების დონის სტაბილურობაზე, პროდუქციის დივერსიფიკაციასთან შედარებით, დიდ გავლენას ახდენს ქვეყანათა დივერსიფიკაცია. რაც უფრო სტაბილურია გაყიდვის მოცულობა და მოგების დონე რომელიმე ერთეულ ბაზარზე, მით უფრო დაბალია დივერსიფიკაციის სტრატეგიის მოთხოვნა. ანალოგიურად – რაც უფრო ძლიერი იქნებიან აჭარის აგრო-სასურსათო ექსპორტიორთა ურთიერთდაკავშირებული ბაზრები, მით უფრო სუსტია გასაღების ოპერაციებიდან შესწორების ეფექტი. რაც უფრო მნიშვნელოვანია კონკურენტების წინსწრების დრო, მით უფრო წარმატებით შეუძლიათ აჭარის ფერმერულ მეურნეობებს გამოიყენონ საქმიანობის კონცენტრაციის სტრატეგია. გადასვლის ეფექტი მიეკუთვნება ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც მარკეტინგის პროგრამა ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში უზრუნველყოფს პროდუქციის გაცნობას. ეს შეიძლება პროდუქციის სარეკლამო ინფორმაციის გადაცემით მოხდეს, რაც რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. მსგავს შემთხვევაში დივერსიფიკაციის სტრატეგია უფრო ხელსაყრელია, რამდენადაც ახალი მომხმარებლის მოზიდვა დამატებითი მინიმალური ხარჯით შეიძლება.

აჭარის აგრარული პროდუქცია და მისი მარკეტინგი შეიძლება ცვლილებებს საჭიროებდეს, რაც უცხოურ ბაზრებზე გასაღების სპეციფიკითაა გამოწვეული. მათ გარკვეული ადაპტაცია მოუწევთ, რაც ფირმისათვის დამატებით ხარჯებს წარმოადგენს, რადგანაც რთულია საქმიანობის გავრცელება მრავალ ბაზარზე. ასევე სირთულეს წარმოადგენს მასშტაბის ეფექტის გამოვლენა ძალისხმევის დივერსიფიკაციის გზით. დივერსიფიკაციის სტრატეგია, ნაწილობრივ საგარეო შეთანხმებათა დადებას ნიშნავს, რომლებიც განაპირობებენ ექსპანსიის პროგრამაზე კონტროლის დაკარგვას. შეზღუდვები საქმიანობაში ხელს შეუშლის რესურსების მობილიზებას, რაც აუცილებელია რამდენიმე ბაზარზე ერთდროული შეღწევისათვის.

სხვა ქვეყნებში ინვესტიციების შეფასებისათვის კომპანიები სხვადასხვა ფინანსურ კრიტერიუმს იყენებს, მაგრამ ყველაზე ხშირად შემოსავლების ადგილობრივი და საბალანსო განაკვეთები გამოიყენება. კაპიტალზე შემოსავლის ადგილობრივი და საბალანსო განაკვეთები უფრო გავრცელებული კრიტერიუმებია, რომლებიც პროგნოზების ბევრად უფრო ზუსტად გაკეთების საშუალებას იძლევიან. საზღვარგარეთულ ოპერაციებთან მიმართებაში საშემოსავლო განაკვეთებზე მნიშვნელოვანი მონაცემების მიღება იოლი არაა. ცალკეული ოპერაციიდან მიღებულმა მოგებამ შესაძლოა თვალნათლივ არ გვიჩვენოს საერთაშორისო საქმიანობის ეფექტიანობაზე რეალური ზემოქმედება. კომპანიის შემოსავლის განსაზღვრა რთულია, მაგრამ წვრილ და ახლად შექმნილ საწარმოებზე ამის განხორციელება ადვილია.

თუ საინვესტიციო წინადადება მისი მიზანშეწონილობის მინიმალურ კრიტერიუმს აკმაყოფილებს, მაშინ როგორც წესი, გადაწყვეტილება ყოველგვარი შედარებითი ანალიზის გარეშე მიიღება, მაგრამ ამ გამონაკლისის გარდა, მრავალი მიზეზი არსებობს, რომელიც ფირმებს საშუალებას არ აძლევს ერთმანეთს შეუდარონ საინვესტიციო შესაძლებლობები. ცხადია, ასეთ შემთხვევაში აჭარის ფერმერული მეურნეობა დიდი დანახარჯების პირობებში ვერ შეძლებს ერთდროულად მრავალი გამოკვლევის ჩატარებას. ამ პრობლემის წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ისაა, რომ სამუშაო დროის ყოველ მოცემულ მომენტში პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება დამთავრების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. კარგად ორგანიზებულმა ფირმამ არ უნდა დაუშვას, რომ გააჩნდეს უმოქმედო რესურსები ან

ლოდინის პერიოდში ჰქონდეს დაბალი შემოსავლები, რადგანაც ნებისმიერი კომპანიის ხელმძღვანელი პასუხს აგებს აქციონერებისა და მომუშავეების წინაშე.

საქმე ეხება არა მარტო ფინანსურ რესურსებს, არამედ ტექნიკურ კომპეტენტურობას, რადგანაც თუ ფერმერი არ იჩქარებს ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღებას, კონკურენციული წინსწრება თანდათან მცირდება. კომპანია შეიძლება იძულებული გახდეს ახალი კაპიტალი თავისი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად დააბანდოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გარკვეულ მომენტში შეიძლება გაჩნდეს კაპიტალდაბანდებათა ამოღების აუცილებლობა რომელიმე რეგიონიდან ან ქვეყნიდან, რათა გამოთავისუფლდეს რესურსები დასახული მიზნების მისაღწევად და უფრო ეფექტიანი მოძრაობისათვის. თუ ოპერაციათა პროექტები სხვა რეგიონში საერთო სტრატეგიას არ შეესაბამება და არსებობს რესურსების გამოყენების სხვა, ბევრდა უფრო პერსპექტიული სტრატეგია, მაშინ ფირმამ დივესტიციის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

აჭარაში ფერმერული მეურნეობის მფლობელებს უფრო მეტი მიდრეკილება უნდა ჰქონდეთ, რათა საინვესტიციო გადაწყვეტილებები მიიღონ, ვიდრე გადაწყვეტილებები დივესტიციებზე⁴, დივესტიციურ წინადადებებს იერარქიის მაღალი დონიდან მას შემდეგ აწვდიან, რაც ფირმის გადარჩენისათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყველა საშუალებას გამოიყენებს. დივესტიცია საწარმოს გაყიდვის ან უბრალოდ დახურვის გზით ხორციელდება. რა თქმა უნდა უფრო ხელსაყრელია გაყიდვა, რადგან ასეთ შემთხვევაში აჭარის აგრარული ფირმა, რომელმაც დივესტიციური გადაწყვეტილება მიიღო, ნაწილობრივ მაინც იღებს კომპენსაციას. მაგრამ თუ ფირმა გადაწყვეტს ამოიღოს თავისი კაპიტალდაბანდებანი არახელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატის გამო, რთული იქნება მყიდველის მოძებნა და საწარმო ნებისმიერი შეთავაზებული ფასით უნდა გაიყიდოს. ფილიალების საქმიანობა ხელს უწყობს გლობალური სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციას, უზრუნველყოფს ინფორმაციისა და რესურსების შემოდინებას. ხშირად, მაღალი რისკის გამო, აჭარის რეგიონის ფერმერული მეურნეობები შეიძლება აღმოჩნდნენ საინვესტიციო კორპორაციის გლობალური სტრატეგიის გარეთ.

⁴ გადაწყვეტილება კაპიტალდაბანდებათა ამოღების შესახებ

მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც აჭარის ადგილობრივი ფერმერები აწყდებიან, ესაა ანტიდემპინგურ ღონისძიებათა არაეფექტურად გამოყენება ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტის საკითხში. სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. იგი გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების ხარჯზე. ამასთან განსაზღვრულია ის მინიმუმიც, რომელიც რეკომენდებულია ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების დონედ. ეს დონე სხვადასხვა შეფასებით 80-85%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულად მაშინ ითვლება, თუ ქვეყანაში მოხმარებული სურსათის 15-20%-ზე მეტი იმპორტულია. საქართველოში კი ამჟამად მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილება 80%-ზე მეტი იმპორტული სურსათით ხდება. მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე ახდენს, სურსათის სამამულო წარმოების პოტენციალი, მისი გამოყენების დონე, მოსახლეობის შემოსავალი, მსყიდველუნარიანობა და სხვა. (კოლუაშვილი...2017).

სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია. მასში ზოგადად სურსათის ეროვნული წარმოების ისეთი დონე მოიაზრება, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასურსათო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო მარაგების შევსება მოქმედი ნორმების შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია საქართველოში შემუშავებული იქნეს ანტიდემპინგური საკანონმდებლო ბაზა, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლებას. ის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემას მაკროეკონომიკურ, საგარეო ეკონომიკურ და სხვა სახის ინდიკატორებს დაემყარება. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასურსათო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის წარმატებული რეალიზაცია გარანტირებულია მაშინ, როცა სახელმწიფო სტრატეგიულ რესურსებზე შენარჩუნებულია ხელისუფლების კონტროლი, როცა ქვეყანაში ხორციელდება ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომელიც იმპორტის ჩანაცვლებით სამამულო აგრარული პროდუქციის წარმოების განვითარებას და სოფლად საქონელმწარმოებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ითვალისწინებს.

სასურსათო პრობლემა ადამიანისთვის შეიძლება წარმოიშვას ორი — ფიზიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით. ფიზიოლოგიურ ასპექტში სასურსათო დეფიციტი და მისი უვარგისობა იგულისხმება. ამ შემთხვევაში ადამიანის მიერ მოხმარებული სურსათი ვერ, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღადგენს მის მიერ ცხოველმყოფელობის პროცესში დახარჯულ ენერგიას, რაც გამოხატულებას პოულობს შიმშილში და ადამიანის ორგანიზმის თანდათანობით ცვეთას იწვევს. რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფის დარღვევის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტს (მხედველობაში გვაქვს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც სამუდამოდ ან დროებით დაკარგა სამუშაო და ნაკლებ მსყიდველუნარიანი გახდა, რომ უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება საკვებზე), მას გლობალური უარყოფითი შედეგების გამოწვევა შეუძლია. როდესაც ანალოგიური შემთხვევები მასობრივ ხასიათს იღებს, საქმე გვაქვს სახელმწიფოს მიმღე ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რომელიც შესაძლოა სოციალურ აფეთქებაშიც გადაიზარდოს (კოლუაშვილი...2017).

რაც შეეხება ადგილობრივი ბაზრის სტაბილურ განვითარებას, მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია ანტიდემპინგური კანონის მიღება, რომლის აუცილებლობაზე საქართველოში უკვე წლებია მსჯელობენ, რადგან ეს არის ერთ-ერთი იმ კანონთაგანი, რომელიც სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ და სატარიფო საკითხებს აწესრიგებს. ქართული წარმოება წლების განმავლობაში იჩაგრებოდა უცხოური დემპინგური პროდუქციისაგან, რადგანაც ჩვენი მეზობელი ქვეყნები სოფლის მეურნეობასა და სურსათის გადამამუშავებელ მრეწველობას სერიოზულ სუბსიდირებას უწევენ. ამის გამო, საქართველოში მცხოვრებ გლეხს, თუ მეწარმეს დისკრიმინაციულ ვითარებაში უწევს საქმიანობა. დღეს ანტიდემპინგური კანონმდებლობის ამოქმედება რეალობად უნდა იქცეს.

ტერმინი “დემპინგი” განიმარტება, როგორც „საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე ადგილობრივი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც კი (კონკურენტების განდევნის მიზნით)“, სხვა სიტყვებით მას გადასაყარ ექსპორტსაც უწოდებენ. მრავალ დასავლურ ქვეყანაში ანტიდემპინგური კანონმდებლობა მოქმედებს, რომელიც იცავს ადგილობრივი მწარმოებლების საქმიანობას და ხშირად ეწინააღმდეგება ისეთი საქონლის სხვა ქვეყნებიდან შემოტანას, რომელსაც არასაკმარისი კონკურენტუნარიანობის გამო დაბალი ფასი აქვს.

ვმო-ს მიზანს წარმოადგენს მრავალმხრივი სავალდებულო ხელშეკრულებების საფუძველზე ამ ორგანიზაციის წევრთა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება, ხოლო მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში, მისი სამართლიანობის, წინასწარი განჭვრეტისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფის გზით, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აღმავლობის პროცესსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. (რეიზი 1998, გვ.191)

აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვმო მთლიანად ეყრდნობა ღია კონკურენციის პირობებს. მისთვის დასაშვებია სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მეთოდების გამოყენება, მათ შორის - ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, მათი გამოყენების მკაცრი რეგლამენტაციის პირობებში, რაც არ ისახავს მიზნად კონკურენციის შეზღუდვას (საქართველოსა...2014).

GATT-ის XIX მუხლი ზოგიერთი დასახელების პროდუქციის იმპორტთან დაკავშირებულ გადაუდებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს, რაც ვმო-ს უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმების გადაუდებელი ღონისძიებებშია ასახული, რომლებმაც უნდა დაიცვან იმპორტული საქონლის კონკურენციით სერიოზულად დაზარალებული ადგილობრივი მრეწველობა. თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს „უსაფრთხოების“ ზომა რომელიმე პროდუქციაზე საიმპორტო ქვოტების ან გადასახადების დაწესების მეშვეობით, თუ იმპორტის გაზრდილი მოცულობა ადგილობრივ მწარმოებელთათვის ზიანის ან საფრთხის მომტანია.

ქვეყნის მიერ ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟის შემოღება შეიძლება ერთი ან მეტი ქვეყნიდან არაკეთილსინდისიერი გზით განხორციელებული იმპორტის მიმართ მოხდეს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ან ზიანის მიყენების საშიშროება შეუქმნა ეროვნულ მრეწველობას (GATT-ის VI მუხლი – ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟი, ვმო-ს შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმების VI მუხლის განხორციელების თაობაზე, შემდგომში „ანტიდემპინგური შეთანხმება“ და ვმო-ს შეთანხმება სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ).

ასევე აღსანიშნავია, რომ განხორციელდა განვითარებადი ქვეყნების მიერ საიმპორტო შეზღუდვების შემოღება საგადამხდელო ბალანსისა და ქვეყნის ფინანსური

მდგომარეობის დაცვისა და გაუმჯობესების მიზნით (GATT -ის XVIII „ბ“ მუხლი - საიმპორტო ზომები საგადამხდელო ბალანსის მიზნებისათვის. (ბარნეცოვი 1999, გვ. - 37).

ამრიგად, თუ სიღრმისეულად გავანალიზებთ (კრიტიკულად შევხედავთ) ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების კუთხით არსებულ (მოსალოდნელ) მდგომარეობას (ყველა მოსალოდნელ შედეგთან ერთად), შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის ამ ეტაპზე ნაკლებად კატასტროფულია რეპრესალიების შესახებ საკანონმდებლო ბაზის არარსებობა. როგორც დამოუკიდებელ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი, ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველოსათვის საკომპენსაციო ბაჟის დაკისრებისა და ანტიდემპინგის პროცედურებთან, როგორცაა მაგ.: „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება დაცვის ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მართალია ნაკლებად ძლიერი ინსტრუმენტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეროვნული სასურსათო წარმოების უსაფრთხოების საქმეში. ის, კერძო სექტორს აძლევს სტიმულს, რათა იმპორტთან მიმართებაში დამცავი პერიოდი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად გამოიყენოს (ბეარინგ...2004, გვ.- 27).

და ბოლოს, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული პროცესის დაჩქარებას (ვმო-ს სტანდარტებთან საკონკურენტციო სამართლის დაახლოებას) ხელი შეიძლება შეუწყოს იმანაც, რომ ვმო-ს აქტიური წევრია ევროკავშირიც, რომელიც მუდმივად ცდილობს გააძლიეროს ეკონომიკური და დიპლომატიური კავშირები ევროკავშირსა და ამ კავშირის გარეთ დარჩენილ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის, რითაც ის ამ ქვეყნებს შანსს აძლევს ევროკავშირის ადგილობრივ ბაზარზე შესვლა განახორციელონ ვმო-სა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების (ჰარმონიზაციის) გზით. შესაბამისად, ევროკავშირს დიდი პოტენციალი აქვს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს უფრო მეტ აქტივობას ვმო-ში. რეგიონის სასურსათო უსაფრთხოებისათვის არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შემდეგი ზომები გატარდეს:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ექსპორტის ზრდაზე, რაც უნდა წარმოადგენდეს სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების, და ზოგადად ეკონომიკური ზრდის საფუძველს;

2. საექსპორტო დარგთა განვითარების მიზნით, საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა მოხდეს: საექსპორტო საწარმოთა სუბსიდირება, დაზღვევისა და

უპროცენტოდ დაკრედიტების სისტემა. იმავდროულად, ევროკავშირის ბაზარზე დასამკვიდრებლად საჭიროა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცეს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის, იმპორტის გაკონტროლება ვმო-ს შეთანხმების საფუძველზე და კონკურენტუნარიანობის ამაღლება ანტიდემპინგური კანონ-მდებლობით;

3. ჩვენი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ეროვნული სასურსათო წარმოების ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს. ასევე, მონეტარული პოლიტიკის გატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ლარის კურსის გავლენა ექსპორტ-იმპორტზე, ადგილობრივმა საწარმოებმა კონკურენტულ უპირატესობას ისეთ პრიორიტეტულ დარგებში უნდა მიაღწიონ, როგორცაა სოფლის მეურნეობა, სურსათის მრეწველობა, ტურიზმი და ა.შ.

ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის იგნორირებაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი მიზერული თანხები (0,4-1,5%-ის ფარგლებში) და შემოსული უცხო ინვესტიციების მოცულობა (საშუალოდ ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 1%).

აგრარული სექტორის მიზანმიმართული განადგურების პოლიტიკის განხორციელების შედეგია აგრეთვე ის, რომ აგრარულ ქვეყანაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის 70%-ზე მეტი იმპორტულია. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომლის ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო იყო (კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული, ხილი). მაგალითად, ბოლო წლებში კარტოფილის იმპორტი 19-ჯერ გაიზარდა მაშინ, როცა ამ პროდუქციით თვითუზრუნველყოფა ქვეყანაში პრაქტიკულად 100%-ს შეადგენდა

დარგისადმი გატარებული ასეთი პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო ქვეყნისათვის, მაგრამ სამაგიეროდ ხელს აძლევდა მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებსაც ხელში ჩაგდებული ჰქონდათ სასურსათო პროდუქტების იმპორტის მონოპოლია.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში გარდაუვალი სასურსათო კრიზისის თავიდან აცილების ან შედარებით იოლად გადატანის მიზნით, დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა მნიშვნელოვნად ცდილობს გაზარდოს სასურსათო პროდუქციის

ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაგვარად მოახერხოს სურსათით თვითუზრუნველყოფა.

საყურადღებოა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის ოფიციალური პარამეტრების გაცნობა, რომლებიც მოცემულია ცხრილში:

როგორც ჩანს, საქართველოში დღეისათვის არსებული სურსათის რესურსების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო ოპტიმალურს, არამედ კრიტიკულსაც კი. უნდა აღინიშნოს, რომ „ოპტიმალური“ პარამეტრები ახალ „რეკომენდებულ“ ნორმებს შეესაბამება, რომელიც სპეციალურად მნიშვნელოვნადაა შემცირებული საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით. ამის გამო ეს ნორმები მნიშვნელოვნად საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს ჩამორჩება. კერძოდ, ხორცისა — 2,5-ჯერ, რძისა — 1,5-ჯერ, კვერცხისა — 1,6-ჯერ და ა.შ.

ზემოაღნიშნული შედეგია იმ არასწორი აგრარული პოლიტიკისა, რომელსაც ხელისუფლება 2003-2012 წლებში ატარებდა და რომელმაც, თავის მხრივ, სოფლად გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები შექმნა, რის შედეგადაც დაიწყო შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტიური მიგრაცია სამუშაოს საშოვნელად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ. დაუმუშავებელი დარჩა მათი კუთვნილი მიწა (60%-მდე) ან უკიდურესი გაჭირვების გამო გაიყიდა და მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელების ხელში აღმოჩნდა (კოლუაშვილი...2017).


3.2. სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების მატერიალური სტიმულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

სოფლის მეურნეობის პროდუქტების საექსპორტო საქმიანობის განვითარების მიზნით, სახელმწიფოს მხარდაჭერა გულისხმობს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შემუშავება-განხორციელებას აგრარული წარმოების სტიმულირების მიზნით. ამ ქვეთავში, მოკლედ განვიხილავთ სტიმულირების სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმებთან ერთად ყველაზე ეფექტურ ეკონომიკურ

და ორგანიზაციულ მექანიზმებს - აგრარული ფირმების სუბსიდირებას და სამეწარმეო (ანტრეპრენიორული)⁵ მეურნეობის ხელშეწყობის საკითხებს (ჭითანავა 2012, გვ.31).

ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა აქვთ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, სოფლის მეურნეობის დარგების სუბსიდირებას მიმართავენ. სასოფლო-სამეურნეო სუბსიდია გამოიყენება აგრობიზნესში დასაქმებული ფერმერების შემოსავლის უზრუნველსაყოფად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე ზემოქმედებისათვის. სუბსიდიები უმეტესად მარცვლეული კულტურების, ბამბის, ხორცის, რძის პროდუქტების, შაქრისა და თამბაქოს წარმოებაზე გამოიყენება (ხარებავა 2009, გვ.50–61). სოფლის მეურნეობის სუბსიდირების სისტემა ბევრ ქვეყანაში მოქმედებს - აშშ-ში, კანადაში, სამხრეთ კორეაში, იაპონიაში და სხვა.

დიაგრამა 3.2.1: სუბსიდირების გადანაწილება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის (2008)



წყარო: მწვანე რევოლუცია, ეკონომიკის განვითარების ალტერნატიული კონცეფცია 2008 http://en.wikipedia.org/wiki/Green_Revolution

სოფლის მეურნეობის სუბსიდირება რამდენიმე მიზეზით არის გამართლებული: პირველ რიგში ითვლება, რომ სუბსიდირება აუცილებელია ფერმერთა სტაბილური შემოსავლების უზრუნველსაყოფად, იმდენად, რამდენადაც მოსავლიანობა დამოკიდებული

⁵ანტრეპრენიორი (Entrepreneur) ფრანგულიდან ნასესხები სიტყვაა და ზუსტი თარგმანით წამომწყებს ნიშნავს. სიტყვის შეთხზვას ფრანგ ეკონომისტ ჯან ბაპტისტ სეის აკუთვნებენ.

ლია გარემო და კლიმატურ პირობებზე, მიიჩნევა, რომ მოუსავლიანობამ არ უნდა დააზარალოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა. მეორეს მხრივ, აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს უცხოელთა კონკურენციისაგან ადგილობრივი წარმოების დაცვას. თავისუფალ კონკურენციულ პირობებში ჩაყენება შეერთებული შტატებისა და ევროპის ფერმერთა უმეტესობას გაკოტრებამდე მიიყვანდა.

იმისათვის რომ აგრარული დარგის სუბსიდირება მოხდეს, საერთაშორისო პრაქტიკაში მნიშვნელოვნად ითვლება ისიც, რომ სასურსათო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანა სოფლის მეურნეობის სულ ცოტა იმდენ პროდუქტს უნდა აწარმოებდეს, რაც საკმარისი იქნება ქვეყნის შიგნით ამ პროდუქტებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქვემოთ წარმოდგენილია სუბსიდიებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელი.

რაც შეეხება დეტალურ სტატისტიკას, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის გამოყოფილ სუბსიდიებთან დაკავშირებით, ცალკეული ქვეყნების მიხედვით 2015 წლის მონაცემებს გთავაზობთ. როგორც ზოგიერთი გამოკვლევა უჩვენებს, სუბსიდიების გარდა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აგრარული რეფორმების გატარებას. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ან მისი თანამონაწილეობით განხორციელებულ ორგანიზაციულ გარდაქმნებს აგრარულ სექტორში, რომლის მიზანია ახალი საწარმო ერთეულების შექმნის გზით ქვეყნის აგრარული წყობის შეცვლა.

ცხრილი 3.2.1: დანახარჯები ექსპორტის წახალისებაზე სხვადასხვა ქვეყანაში (მლნ დოლარი)

ქვეყნები	სამთავრობო ხარჯები ექსპორტის წახალისებაზე
იაპონია	60.7
დიდი ბრიტანეთი	95.7
იტალია	59.8
საფრანგეთი	80.7
აშშ	64.4
ნიდერლანდები	18.7
კანადა	14.5
გერმანია	15.5
შვეიცარია	1.8
საქართველო	13.8 *

წყარო: აშშ კვლევის სამსახური. საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 13,8 მილიონი აშშ დოლარის (დაახლოებით 25მილიონი ლარი) „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამაზე.

საინტერესოა როგორი სიტუაციაა ამ მხრივ ევროკავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ხშირად საუბრობენ მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობაზე, ფაქტობრივად ერთიანი აგრარული პოლიტიკა ძირითადად მსხვილი მეწარმეების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. ტრადიციულადაც, მსხვილი ფერმერები, რომლებიც უფრო მეტი მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ, გაცილებით მეტ სუბსიდიებს იღებენ, ვიდრე მცირე ზომის ფერმერები. მაგალითად, ფერმერი, რომლის საკუთრებაშია 1000 ჰექტარი ფართობის მიწა, იღებს რა ყოველ დამატებით ჰექტარზე 100 ევროს, მთლიანობაში მიიღებს 100 000 დამატებით ევროს, მაშინ როცა ის ფერმერი, რომლის მფლობელობაშია 10 ჰა მიწა, მიიღებს მხოლოდ 1000 ევროს.

თუმცა, უკვე 2003 წლის რეფორმების შედეგად შედარებით მეტი ყურადღება დაეთმო მცირე ზომის ფერმებსაც. ამის შედეგად გაცემული სუბსიდიები მცირე ფერმერებს არსებობის საშუალებას აძლევს და ამავდროულად ასტიმულირებს მათი საქმიანობის მოცულობის გაზრდას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ტენდენციები თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების შემთხვევაში არ გამოდგება საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს ფაქტი იმის მაგალითს იძლევა, რომ უპირატესად წახალისებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ სასურსათო პროდუქციის, წარმოების ზრდაზე.

აჭარის სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინების გამოცდილ მექანიზმებს სოფლის მეურნეობაში საწარმოო და არასაწარმოო კოოპერატივების ფორმირება წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბება სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით (სამართლებრივი, ფინანსური, ორგანიზაციული, საკადრო). აუცილებელია აგრარულ სფეროში მთელი რიგი ღონისძიებათა კომპლექსის გატარება, რაც აგრარული საექსპორტო პროდუქციის ხარისხისა და მისი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეალური წინაპირობ აიქნება. პარალელურად, აგრარული ფერმების საექსპორტო საქმიანობაში დაინტერესების მიზნით, უნდა ხორციელდებოდეს საბაჟო ინსტრუმენტების პერმანენტული სრულყოფა და მისი უწყვეტი გაუმჯობესება.


აღნიშნული ღონისძიებები, რომელსაც დაწყებული ეფექტური მექანიზმებით აგრარული წარმოების განვითარება განეკუთვნება, დამთავრებული საბაჟო

რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების სრულყოფით, არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ როგორც საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს პროცესები შეიძლება აჭარის რეგიონშიც განხორციელდეს, ამიტომ საფუძველი უნდა ჩაეყაროს ორი მიმართულების - როგორც აგრარული წარმოების, ისე საექსპორტო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, რომ არ მოხდეს წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობასა და მის რეალიზაციას შორის გარღვევა.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რაც უფრო მაღალია ტარიფი აგრარული პროდუქტების იმპორტზე, მით უფრო საიმედო სტიმულს აძლევს იგი აგრარული პროდუქტების მწარმოებელ ადგილობრივ ფირმებს. საზოგადოების ერთი ნაწილი ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო მეორე ნაწილი კი - არა და მიიჩნევს, რომ მხოლოდ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა მიზანშეწონილი. თუ გვინდა გავიგოთ კონკრეტულად ვის და როგორ ასტიმულირებენ საიმპორტო ტარიფებით, აუცილებელია მეტი ყურადღება წარმოების სტრუქტურასდავუთმოთ.

აგრარული დარგის პროდუქტზე დაწესებული ტარიფი სტიმულს მისცემს არა მარტო აჭარის რეგიონის ტერიტორიაზე აგრარული პროდუქციის მწარმოებელ ფირმებს, არამედ იმ დარგებსაც, რომლებიც მასალებსა და ნედლეულს აგრარულ წარმოებას აწვდიან. მაგ., ნატურალური წვენი იმპორტზე დაწესებული ტარიფი სტიმულს აძლევს არა მარტო წვენი მწარმოებელ ფირმებს, არამედ იმ ფირმებსაც, რომლებიც ამ დარგს ხილს, შაქარს, ჭურჭელს, შესაფუთ მასალასა და სხვა ნახევარფაბრიკატს (შუალედურ საქონელს) აწვდიან, ხოლო თუ შუალედური საქონლის წარმოება საქართველოში არ ხორციელდება, მათ იმპორტზე დაწესებული ტარიფი, ჯაჭვური პრინციპით გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ფირმის მდგომარეობაზე.

ნახაზი 3.2.1: საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის დონის გამოთვლის მოდელი



წყარო: თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი 2015. <http://bfm.ge/>

ანუ, ზემოთ განხილულ, ნატურალური წვენების მაგალითში, საიმპორტო ტარიფის შემოღება შაქრის, შესაფუთი მასალის ან/და ხილის იმპორტზე, ზეგავლენას მოახდენს ნატურალური წვენის მწარმოებელ ფირმებზე. ყოველივე ეს რამდენადმე ართულებს ცალკეულ აგრარულ ფირმებზე მთელი სატარიფო სისტემის ზემოქმედების გაზომვას. ამ საკითხის გადასაჭრელად, მოთხოვნა-მიწოდების ტრადიციული, გრაფიკული მოდელი არ გამოგვადგება, რადგან როგორც წესი, იგი მხოლოდ ერთი დასახელების საქონლის ბაზრის მდგომარეობას გვიჩვენებს. საჭიროა მოთხოვნა - მიწოდების ურთიერთქმედების უფრო სრულყოფილი მოდელი, რომელიც რამდენიმე დარგს მოიცავს.

აგრარული ფირმის საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე ხშირად არ ემთხვევა „ტარიფის ნომინალური დონის“ სიდიდეს, რომელიც საბოლოო ჯამში პროდუქციის საცალო ფასში შედის და რომელსაც აგრარული პროდუქციის მომხმარებელი იხდის. ეს სხვაობა თვალნათლივ ჩანს ნახაზი 3.2.1), მაგალითისთვის რომელიც გვიჩვენებს მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივ დონეს ნატურალურ წვენზე 12 პროცენტის საიმპორტო ბაჟის, აგრეთვე წვენის წარმოებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების (ნედლეულის) იმპორტზე 5 პროცენტის ბაჟის დროს. როგორც ნახაზიდან ჩანს, 12 პროცენტის ტარიფი ზრდის თითოეული ტონა წვენის ფასს 24 ლარით, ხოლო წვენის წარმოებისათვის აუცილებელი

მატერიალური რესურსების (ნედლეულის) იმპორტზე დაწესებული 5 პროცენტიანი ტარიფი ზრდის თითოეული ტონა წვენი წარმოების ხარჯებს 7 ლარით.

თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნული ტარიფების მხოლოდ ნომინალურ დონეებს (12% და 5%), იქმნება შთაბეჭდილება, რომ 12 პროცენტიანი მასტიმულირებელი ტარიფის დონე ნატურალური წვენების მწარმოებელი ფირმისათვის შეადგენს 12 პროცენტზე ნაკლებს, ვინაიდან 1 ტონა წვენის ფასის 24 ლარით (თავდაპირველი ღირებულების, 200 ლარის 12%-ით) გაზრდასთან ერთად, მისი წარმოების ხარჯებიც გაიზარდა 7 ლარით (თავდაპირველი ხარჯების, 140 ლარის 5 პროცენტით).

აღნიშნული მაგალითი პროტექციონიზმის მთლიანი ეფექტის კონცეფციის საფუძვლად აღებული ორი ძირითადი პრინციპის ილუსტრირებაა, დარგის შემოსავლები ან დამატებული ღირებულება ექვემდებარება სავაჭრო ბარიერების ზეგავლენას, რომელიც აღმართულია არა მარტო იმპორტირებული კონკურენტული პროდუქციის გზაზე, არამედ ბაზარზე მბრუნავი იმ მასალების წინაშეც, რომლებიც მოცემული დარგის წარმოების პროცესში გამოიყენება. ამასთან, თუ აგრარული დარგის საბოლოო პროდუქცია დაცულია უფრო მაღალი ტარიფით, ვიდრე მისი შუალედური პროდუქცია, მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე გადააჭარბებს ნომინალურ დონეს (თსუ...2015).

ამრიგად, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ თუ აჭარის აგრარული დარგის ნედლეულისაგან დამზადებული საბოლოო პროდუქტი „დაცულია“ უფრო მაღალი ტარიფით (განხილულ მაგალითში 12%-ით), ვიდრე მისი წარმოებისთვის საჭირო ნედლეული (იგივე მაგალითში 5%-ით), დამცავი (მასტიმულირებელი) ტარიფის ფაქტობრივი დონე ყოველთვის გადააჭარბებს მის ნომინალურ დონეს. იმპორტიორ ქვეყანაზე საბაჟო ტარიფის ზეგავლენა სრულიადაც არ ამოიწურება აგრარული ფირმის ან მის მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლის კეთილდღეობის დონის ცვლილებით. სანამ ტარიფი იმპორტს მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს, ე.ი. ამკრძალავი არ არის, იგი შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ამ უკანასკნელის სიდიდე ტოლია ტარიფის განაკვეთისა და ამ ტარიფით დაბეგრული იმპორტის მოცულობის ნამრავლისა. საბაჟო ტარიფებიდან მიღებული შემოსავლები მოგებას აძლევს ქვეყანას. სახელმწიფოს მიერ ბაჟის სახით მიღებული თანხა შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრენინგების დასაფინანსებლად, აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების,

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით.

ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის მიზნით საჭიროა გამოყენებული იქნეს ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმი. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის ხელშემწყობი სტრუქტურა, როგორც მინიმუმ, უნდა შედგებოდეს შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან (**ვუწოდოთ პირობითად სამმართველოები**):

- 1) საქართველოს ექსპორტზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პოტენციალის კვლევის სამმართველო (წარმოების სამმართველო);
- 2) აგრარული ბაზრის კვლევის სამმართველო (მარკეტინგის სამმართველო);
- 3) ლოგისტიკის სამმართველო (მიწოდების სამმართველო).

წარმოების სამმართველოს ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში:

ა) აგრარული ფირმების ან ფერმერული (საოჯახო) მეურნეობების მოძიება და ელექტრონული ბაზის შექმნა/განახლება, სადაც შესაბამისად შეტანილ იქნება ამ ფირმებთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია;

ბ) ინფორმაციის მოპოვება საქართველოს აგრარული ფირმის ან ფერმერული (საოჯახო) მეურნეობების მიერ დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შესახებ;

გ) საქართველოს აგრარული ფირმების ინფორმირება მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოტენციური შემსყიდველი ფირმების (როგორც საქართველოს რეზიდენტი, ისე უცხოური ფირმების) საკონტაქტო მონაცემების შესახებ;

დ) კვლევა იმისა, იყიდება თუ არა იგივე დასახელების იმპორტირებული პროდუქცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე და ხომ არ აქვს ადგილი ტარიფებსა და ვაჭრობაზე 1994 წლის გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებულ დარღვევებს;

ე) „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის საფუძველზე, წინადადებების მომზადება თუ რომელი პროდუქციის წარმოების სტიმულირებაა რეკომენდებული სატარიფო ან არასატარიფო მექანიზმებით;

ვ) დასაბუთებული წინადადებების მომზადება თუ რომელი ახლადშექმნილი აგრარული ფირმის ან ფერმერული (საოჯახო) მეურნეობის წახალისება რეკომენდირებული სახელმწიფოს მხრიდან;

ზ) სეზონური საბაჟო გადასახადით დაცვის საჭიროების მქონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამონათვალის გამოვლენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება, კონკრეტული თარიღების მითითებით, თუ რომელი პროდუქცია, წლის რომელ პერიოდში საჭიროებს სეზონურ დაცვას საბაჟო გადასახადით;

თ) „ე“-„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციები საქართველოს ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისათვის მიწოდება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს აგრარული წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება და შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენა შემდგომი სამართლებრივი პროცედურების გავლის მიზნით. (ცაგარეიშვილი 2013, გვ. 109).

მარკეტინგის სამმართველოს ფუნქციები. მარკეტინგის სამმართველოს ფუნქციებში უნდა შედიოდეს:

ა) საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოვაჭრე დაწესებულებათა მოძიება და ელექტრონული ბაზის შექმნა/განახლება, სადაც შეტანილ იქნება ამ დაწესებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) საქართველოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქციით მოვაჭრე დაწესებულებათა დაინტერესება ქართული წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით;

გ) შეძლებისდაგვარად ზუსტი განახლებული ინფორმაციის მოპოვება საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის საცალო საბაზრო ფასის შესახებ;

დ) ინფორმაციის მოპოვება უცხოეთის ქვეყნებში მოქმედი, სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან დაკავშირებული საიმპორტო ტარიფებისა და შეღავათების შესახებ;

ე) ინფორმაციის მოპოვება საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედი, სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან დაკავშირებული არასატარიფო ღონისძიებების შესახებ;

ვ) „გ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის საფუძველზე, წინადადებების მომზადება იმის შესახებ, თუ სოფლის მეურნეობის რომელი პროდუქციის წარმოების წახალისებაა რეკომენდირებული საქართველოში სატარიფო თუ არასატარიფო მექანიზმებით;

ზ) „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების მიწოდება საქართველოს ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებისათვის;

თ) წარმოების სამმართველოსთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, ლოგისტიკის სამმართველოს ინფორმირება საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკრეტული პროდუქტის, მისი გამყიდველისა და მყიდველის შესახებ;

ლოგისტიკის სამმართველოს ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში:

ა) საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი შუალედური ფირმების მოძიება და ელექტრონული ბაზის შექმნა/განახლება, სადაც შეტანილი უნდა იქნეს ამ ფირმებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ბ) წარმოების სამმართველოს მიერ მიწოდებული პოტენციური გარიგების ორგანიზების ცხრილიდან ისეთი შუამავალი ფირმის/ფირმების შერჩევა, რომელიც მინიმალურ ვადაში და თანხაში შესაძლებელს გახდის გარიგების განხორციელებას. ასეთი შუამავალი ფირმების დახმარებით უნდა მოხდეს გადაზიდვის ისეთი მარშრუტის, სატრანსპორტო საშუალებების, შეფუთვის, დასაწყობების, შენახვის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვისა და სხვა დამხმარე პირობების შერჩევა, რომელიც მინიმალურ ვადაში და თანხაში შესაძლებელს გახდის გარიგების განხორციელებას.

გ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს აგრარული წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების, პროცედურული სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება და შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენა შემდგომი სამართლებრივი პროცედურების გავლის მიზნით.

თანამშრომელთა სტიმულირება. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ბიზნესის ხელშეწყობის სისტემის ეფექტიანი მუშაობის აუცილებელი გარანტია არის ამ სის-

ტემის თანამშრომელთა მოტივირებულობა სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაზე. ამ მიზნით, იმ თანამშრომელთა მატერიალური ფორმით წახალისება უნდა განხორციელდეს, რომლებიც საანგარიშო თვის განმავლობაში წარმატებული გარიგების ორგანიზებას განახორციელებენ. მატერიალური წახალისების ოდენობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს საანგარიშო თვის განმავლობაში ამ თანამშრომლის ძალისხმევით ორგანიზებული წარმატებული გარიგებების რაოდენობასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ბაზარზე, ქართული პროდუქციის ექსპორტის მკვეთრი ზრდა 2016 წლის მონაცემებით ფიქსირდება.

თუ შევაჯამებთ თითოეულ ზემოაღწერილ პროცედურას, მივიღებთ ქსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის მოდელს (ცაგარეიშვილი 2013, გვ. 108–112).

2015 წლის იანვარ-აგვისტოს კვლევის შედეგებმა დაადასტურა ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის სტაბილურ მატება და სუფთა ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გამოკლებით) მკვეთრი, 40%-იანი ზრდა გამოავლინა. 2015 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,3%-ით გაიზარდა და 412,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 30%-ით არის გაზრდილი 2013 წლის შესაბამისი პერიოდის, ხოლო 73,4%-ით - 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ზრდის ტენდენციით ხასიათდება იმპორტის მაჩვენებელიც. 2015 წლის იანვარ-აგვისტოში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,3%-ით გაიზარდა და 1568,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 8,8%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს. თუმცა, 2012 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელო შემცირება (0,04%) ფიქსირდება. (ბიზნეს პრეს...2015)

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 8 თვის მონაცემებით ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობა გაზრდილია არა მხოლოდ აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ წილობრივ სტრუქტურაშიც საქართველოს მთლიან საგარეო ვაჭრობაში.

2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული პროდუქციის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2013 წელთან შედარებით 0,8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21,7%-ს მიაღწია, მაშინ როდესაც 2012 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 14,9%-ს შეადგენდა. 2015 წლის იანვარ-აგვისტოში კი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ამ მაჩვენებლების მაქსიმალური ნიშნული დაფიქსირდა 28,3%.(საქსტატი...2016)

ევროკავშირში ექსპორტის ზრდა ცალსახად წარმატებული მოვლენაა, ხოლო იმპორტის ზრდა კი (ჯამური იმპორტის კლების პარალელურად) იმაზე მიუთითებს, რომ ქართველი მომხმარებელი უფრო მეტად ხდება ხარისხიან საქონელზე ორიენტირებული (იგულისხმება არამხოლოდ სასურსათო პროდუქცია). (ბიზნეს პრეს...2015)

წმინდა ექსპორტი. რეგიონში ექსპორტის რეალური სურათის დასანახად უნდა დავაკვირდეთ ექსპორტს რეექსპორტის გარეშე, ანუ სუფთა ექსპორტს. რაც შესაძლებლობას მოგვცემს ქართული წარმოების პოტენციალი და რეალური შესაძლებლობები შევაფასოთ, რომელიც ჩვენი აზრით, მზარდი ხასიათისაა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დარჩენილი 2 ქვეყნის (იტალია და ბელგია) რატიფიცირების შემდგომ ახალ სტიმულებს მისცემს ევროკავშირის ბაზარზე ორიენტაციის გაძლიერებისკენ, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული სუფთა ექსპორტის მოცულობა 2015 წლის, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 40,1%-ით გაიზარდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს სუსტი საექსპორტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აბსოლუტურ მაჩვენებლებში ზრდამ მხოლოდ 100 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და 342 მილიონს მიაღწია. (საქსტატი...2016)

ექსპორტიდან-რეექსპორტის გამორიცხვის შემდეგ, უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების პირველი ათეული გარკვეულწილად შეიცვალა. შეცვლილია აგრეთვე თითოეული სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაშიც. რაც არაა გასაკვირი, გამომდინარე რეექსპორტის მნიშვნელოვანი დოზისა ქართულ ექსპორტში, როგორც წილობრივად, ასევე აშშ დოლარში გამოსახული.

2015 წლის ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან განხორციელებულ სუფთა ექსპორტში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების სასაქონლო ჯგუფმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო მის ნაცვლად ლიდერობს თხილი და კაკალი – 76,6 მილიონი აშშ დოლარით, რომელსაც სუფთა ექსპორტის მთლიან მოცულობაში 22,4 %-

იანი წილი უჭირავს. მესამე ადგილს იკავებს ნედლი ნავთობი – 17,5 %-იანი წილით, მეოთხე ადგილზეა აზოტოვანი სასუქები–10,7 %-ით, მეხუთეზე – ფეროშენადნობები – 5,0 პროცენტით, შემდეგ მოდის მინერალური წყლები – 2,1 %-ით და ყურძნის ნატურალური ღვინოები – 2,1 %-ით.

წმინდა ექსპორტის მიხედვით, ევროკავშირის ქვეყნებიდან, რეიტინგში პირველ სამეულს ბულგარეთი, იტალია და გერმანია იკავებს. აღსანიშნავია, რომ ბულგარეთის წილი 35,4 %-მდეა შემცირებული, სამაგიეროდ 13,9 %-მდე და 9,8 %-მდე გაიზარდა, შესაბამისად, იტალიის და გერმანიის წილი ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული სუფთა ექსპორტის მოცულობაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ჯერ სრული ძალით არ ამოქმედებულა, ნათლად ჩანს იმპულსები, რომელიც ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების სტიმულირებისკენაა მიმართული. ამისი ნათელი მაგალითია 2015 წელს ევროკავშირში საქართველოს სუფთა ექსპორტის 40,1%-იანი ზრდა (ბიზნეს პრეს...2015).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარა ევროკავშირის მიმართულებით მაღალი ტემპებით ახორციელებს აგრარული ნედლეულის (ნაწილობრივ - მზა პროდუქციისაც) საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირებას, რაც სამომავლოდ დიდ პერსპექტივებს აჩენს მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილური ზრდისა და ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების განვითარების თვალსაზრისით. ყოველივე ეს კი სხვა ბაზრებთან მიმართებაში, კერძოდ, რუსეთის ბაზართან მიმართებაში, ამ ეტაპზე, პრაქტიკულად შეუძლებელია. ევროკავშირის ბაზარზე საქართველოში დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მომდევნო ზრდისათვის, ქართულ პროდუქციას არა იმდენად ხარისხის მაჩვენებლის გაუმჯობესება (თუმცა, ესეც მნიშვნელოვანია), არამედ სერტიფიცირების პრობლემის მოგვარებაში ხელშეწყობა ესაჭიროება.

3.3. აჭარის ფერმერულ მეურნეობათა განვითარების პერსპექტივები, მისი წარმოების ოპტიმიზაცია და ეფექტიანობის ამაღლების გზები

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს ასევე მუშაობა დაიწყო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ახალი საკანონმდებლო მიახლოების პროგრამების შემუშავებაზე, რომლებიც 2015-2027 წლებს მოიცავს და საქართველოს კანონმდებლობის მიახლოებას ითვალისწინებს ევროკავშირის 272 ნორმატიულ აქტთან. მიუხედავად ევროკავშირის მხრიდან გამოცხადებული ღია კარის პრინციპისა ქართულ პროდუქციასთან მიმართებაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული პროდუქცია შესაძლოა ყველანაირი დაბრკოლების გარეშე ექსპორტირებულ იქნას ევროკავშირში, თუმცა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია კი სრული გარანტიით უზრუნველყოფს პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრას, სადაც როგორც ვხედავთ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია წლიდან წლამდე იძლიერებს პოზიციებს (თსუ...2015).

სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ორ სხვადასხვა უწყებას - სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და შემოსავლების სამსახურს (საბაჟო საზღვარზე) შორისაა განაწილებული (საქართველოს...2012). ეს სახელმწიფო კონტროლის კოორდინირებულ, თანმიმდევრულ განხორციელებასა და მისი ეფექტიანობის ზრდას ხელს არ უწყობს. ამავდროულად, კოდექსით განსაზღვრული ჯარიმები დარღვევებთან მიმართებაში არაადეკვატურია.⁶ ერთი მხრივ, კანონის დამრღვევს შეიძლება გაცილებით ნაკლები დაუჯდეს ამ ჯარიმების გადახდა, ვიდრე კანონიერი მოთხოვნის შესრულება. მეორე მხრივ, ერთი და იგივე დარღვევისათვის მცირე და მსხვილი საწარმოს ერთი და იგივე თანხით დაჯარიმება არაპროპორციული სანქციაა და, კონკურენტულ ბრძოლაში კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის მსხვილ საწარმოებს. ამ ხარვეზების ნაწილობრივ აღმოფხვრა შესაძლებელია სოფლის

⁶ 2015 წელს მოქმედი ვერსიით, კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები 100-დან 1200 ლარამდე მერყეობს, საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, თავი XV.

მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული კოდექსის ცვლილებით, რომლებიც პარლამენტმა 2016 წელს განიხილა.

სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში რეგიონული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო სოფლის მეურნეობის სამინისტროა, მათ შორის, „სურსათის უვნებლობის სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგიის, საკანონმდებლო მიახლოების პროგრამის“, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში საკანონმდებლო მიახლოების პროგრამების შესრულებაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2016 წლის მანძილზე, მის ან მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების მიერ შემუშავებული, სურსათის უვნებლობის 26 ნორმატიული აქტი, ან ცვლილება იქნა მიღებული.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, 2015 წლის დასაწყისში ევროინტეგრაციის დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზის განახლებაზე მუშაობაა. (სურსათის...2015,გვ.32)

ამრიგად, საგრძნობლად გაიზარდა სამინისტროს საკანონმდებლო მუშაობისათვის საჭირო ადამიანური რესურსი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, 2016 წელს ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროგრამები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. სამინისტროს ინფორმაციით, მის მიერ, 2017 წელს გეგმით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი შემუშავდა და დაეგზავნა სამთავრობო უწყებებს. ასე რომ, შესწავლას საჭიროებს თუ რატომ ვერ ხერხდება წლიური გეგმების შესრულება.


ჩვენი კვლევებით მღებული შედეგების მიხედვით—აჭარის საგარეო სავაჭრო პალატიდან გამოთხოვილი მასალების საფუძველზე, 2014–2016 წლების აგრარული პროდუქციის ექსპორტიორი ორგანიზაციებისა თუ იურიდიული პირების ნუსხა დადგინდა. ასეთი ორგანიზაციების რაოდენობა სამწუხაროდ 90 ერთეულს არ აღემატებოდა. აქედან ხელმისაწვდომი მხოლოდ 26 ექსპორტიორი ორგანიზაცია გახდა. ანუ დაახლოებით 30% იქნა გამოკითხული. პირადი შეხვედრების და სატელეფონო გასაუბრების საფუძველზე ვაწარმოეთ სტატისტიკური ანალიზი (რაოდენობრივი და

თვისობრივი). გამოყენებული კითხვარი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ სად მდებარეობს აგრო-ფირმა, რომელი წლიდან ეწევა ექსპორტირებას და ა.შ.

26 ორგანიზაციის იურიდიული სტატუსების მიხედვით იქნა გამოკითხული. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ინდ-მეწარმე, ფიზიკური პირი და სხვ. ორგანიზაციები არ ერიდებოდნენ გამჭვირვალედ დაეფიქსირებინათ სრული იურიდიული მონაცემები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ორგანიზაციების უმრავლესობა დაარსდა: 2002 წელს - 15.4%, 2007 წელს - ფირმების 19.2% და 2014 წელს - იგივე რაოდენობით 19.2% იქნა დარეგისტრირებული. სხვა პერიოდებში შედარებით ნაკლები პროცენტით იქნა წარმოდენილი დარეგისტრირებული ფირმები.

დიაგრამა 3.3.1. რომელი წლიდან ფუნქციონირებს თქვენი ორგანიზაცია?




წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

ორგანიზაციების დარეგისტრირების და მოტივაციის ძირითადი მიზეზი როგორც განმარტეს, სახელისუფლო პოლიტიკის შეცვლა და ახალი იმედის გაჩენაა. 2012 წელს ახლად მოსული სახელისუფლო გუნდის პოპულარიზაცია იმის შესახებ, რომ ჩვენი პროდუქცია ევროპის ბაზარზე გავა და ყველაზე კონკურენტუნარიანი იქნება, განაპირობა ასეთი ინტენსივობა. მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი 2014 წელია, როდესაც სოფლის მურნეობის მიზნობრივი პროგრამები და პროექტები გამოცხადდა. აგრარული სესხები, კოოპერატივების შექმნა და წარმოების სატარიფო/საგადასახადო შეღავათების დაანონსებამ აჭარის რეგიონში ერთგვარი ბუმი გამოიწვია. ასევე გვხდება ორიოდ

აგრო-ექსპორტიორი, რომელიც დაარსებული იყო 1993– 1999 წლებში. ამ ორგანიზაციებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ საკმაოდ წარმატებულად ართმევენ თავს და იმედი აქვთ უფრო განვითარების და სახელმწიფოს ხელშეწყობისა.

დიაგრამა 3.3.2. სად მდებარეობს თქვენი ორგანიზაცია?



წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

ასევე შევეცადეთ იმის დადგენას, თუ რამდენად ეფექტურია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის მოქმედი ფორმა, რომელ რეგიონშია წარმატებული, როგორ და რა საშუალებით იქნა მიღწეული უკეთესი შედეგები. ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირების ეფექტიანობის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის, მეურნეობის შემოსავლის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. აჭარის რაიონების მიხედვით: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი, ბათუმი - გამოიკითხა რესპოდენტები, მაღალმთიანი რაიონები არ მონაწილეობენ აჭარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის საკითხში. მთავარ ექსპორტიორებად ბათუმი, ქობულეთი და ხელვაჩაური გვევლინება.


ექსპორტიორი ორგანიზაციების პროცენტული წილი კი ასე ნაწილდება:

ქობულეთი 38.5%, ბათუმი 30.8%, ხელვაჩაური 23%. საინტერესოა, თუ რამ განაპირობა ასეთი განსხვავება რაიონებს შორის. პირველ რიგში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მასიური წარმოება. ქობულეთი და ხელვაჩაურის რაიონები ციტრუსის ექსპორტით გამოირჩევა, შესაბამისად, შედარებით ადვილად ახერხებენ უცხოელ პარტნიორების ნახვას და საქმიანი წინადადებების შეთავაზებას. რაც შეეხება ბათუმს – განსხვავდება

სხვა რაიონებისგან, ბათუმი ფაქტიურად არ აწარმოებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციას. ის მენეჯმენტს უკეთებს და უკავშირდება ლოგისტიკურ ცენტრებს, რის შედეგადაც საკმაოდ დიდი რაოდენობის ექსპორტს ახორციელებს.

ასევე, გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი პრობლემა - ფერმერთა კვალიფიკაციის საკითხი. გაირკვა, რომ ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია საბაზრო პრინციპით მუშაობისათვის სათანადო ცოდნა და გამოცდილება. არ ხდებოდა მათი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, თუმცა 2013–2017 წლებში შედარებით უკეთესად ართმევენ თავს, ვიდრე წინა პერიოდებში. ფერმერები არ იცნობდენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას, ვერ ერკვეოდნენ უახლეს ტექნოლოგიებში. მათ ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ მარკეტინგის, მმართველობით და ორგანიზაციულ საკითხებზე.

დიაგრამა 3.3.3. სოფლის მეურნეობის რომელ დარგს მიეკუთვნება ორგანიზაცია



წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2016)

სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მთის განვითარებას და ხელშეწყობას ითვალისწინებს, უკვე დაწყებულია და უახლეს მომავალში გამოჩნდება მაღალმთიანი რაიონები, როგორც წარმატებული ექსპორტიორები. ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ფერმერული მეურნეობის გავრცელების არეალი უნდა იყოს არა მხოლოდ დაბლობი და საგარეუბნო ზონის ტერიტორია, არამედ, აჭარის რეგიონის მაღალმთიანი რეგიონები, მით უფრო, რომ როცა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებული ორგანიზაციული ფორმების ნგრევის ფონზე, მათი განვითარება საქართველოს აგრარული სექტორის

კრიზისიდან გამოყვანის, მისი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების, სასურსათო პროდუქციის სიუხვის შექმნის ამოცანათა გადაწყვეტის უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელ, მნიშვნელოვან პირობად იქცა.

სპეციალიზაციის მიხედვით, პროდუქციის ექსპორტიორი ორგანიზაციები გამოვლინდა: შედეგები ლოგიკურიც იყო, რომ მეციტრუსეობა პრიორიტეტი დარგია აჭარაში. 31.8% სწორედ მეციტრუსეობაზე მოდის, კონკრეტულად კი მანდარინის ექსპორტზე, ხოლო სხვა ციტრუსოვნები ფორთოხალი და ლიმონის ექსპორტს ძალიან უმნიშვნელო პროცენტი შეადგენს. მეორე ადგილზეა დაფნის ფოთოლის ექსპორტი (18.2%).


მეჩაიეობა-მებაღეობას (კომპოსტოს და სხვა ბაღეულს) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის 13.6% უკავია. ასევე საინტერესო მაჩვენებელია ჩაის წარმოება, ნათელია, რომ ამ დარგს ხელის შეწყობა და სტიმულირება სჭირდება, ფერმერებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ინტერესი, ჩაის პლანტაციების პრივატიზება მოახდინონ. 9.1% საკმარისი რაოდენობა იმისთვის, რომ ბამბუკის წარმოება მნიშვნელოვან დარგად ჩაითვალოს. ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო პრიორიტეტად არ მიიჩნევა ეს ეგზოტიკური მეურნეობა, რამე თუ არ ეძლევათ ფერმერებს საშუალება 3-4 ჰა ტერიტორიის პრივატიზაციისათვის, რომელიც მუდმივი სატყეო-საბამბუკე რესურსი გახდება, რამეთუ მალე განახლებადი კულტურაა.

სოფლებში დიდია კვალიფიციური აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ინჟინერ-მექანიზატორების და სხვა სპეციალობის კადრებზე მოთხოვნილება. ფერმერული მეურნეობის პერსპექტიულობაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი განვითარება, უპირველესად, მიზნად ისახავს მიგრაციულ პროცესთა შეჩერებას, მოსახლეობის სოფლად დამაგრებას.

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების საკვანძო პრობლემას წარმოადგენს მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის საკითხის მოწესრიგება, მიწაზე გადასახადის ოპტიმალური ზღვარის დადგენის სწორი კრიტერიუმის მოძებნა. ასეთ კრიტერიუმად ერთმნიშვნელოვნად მიღებულია მიწის კადასტრი, რომელიც უნდა დამუშავდეს მაღალმეცნიურულ დონეზე საყოველთაოდ მიღებული და აპრობირებული მეთოდის საფუძველზე და მიწის შეფასება უნდა მოხდეს დიფერენცირებულად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას და აგვაცილებს ბევრ გაუგებრობას.

ამდენად, მიზანშეწონილია ფერმერული მეურნეობებისათვის სტატისტიკური ანგარიშების სავალდებულო ფორმების ნუსხის დადგენა, მათი მაჩვენებლების დახვეწა-განმარტება. საბოლოო ჯამში, საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირებისათვის საჭიროა ამ პროცესს შევუქმნათ მყარი საკანონმდებლო საფუძველი. ამ მიზნით საჭიროა ჯერ ფართოდ გაიშალოს მეცნიერული გამოკვლევები ფერმერული მეურნეობების ეკონომიკისა და სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად.

დიაგრამა 3.3.4. თქვენი ორგანიზაციის წარმოების ძირითადი საქმიანობა




წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

კვლევის ამოცანაა ფერმერული მეურნეობების ისეთი ოპტიმალური მოდელის შემუშავება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უშუალო მწარმოებელს საშუალებას მისცემს შეზღუდული რესურსების და ბაზრის კონიუნქტურით განპირობებული პროდუქციის ცვალებადი სარეალიზაციო ფასის პირობებში, აწარმოოს იმ ნომენკლატურისა და მოცულობის სასაქონლო პროდუქცია ისეთი თანაფარდობით, რომლის ექსპორტიც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოგების მიღებას. სწორედ მაქსიმალური მოგების მაჩვენებელი იქნება დასახული მიზნის ოპტიმალურობის კრიტერიუმი.

კვლევის მიზანია გავიგოთ კონკრეტულად, თუ რა საქმიანობით ფუნქციონირებს დღეისთვის არსებული ორგანიზაციები თუ კერძო მესაკუთრეები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენ ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებულ ორგანიზაციებზე ვართ ფოკუსირებული. აგრარულ ფირმებს ექსპორტის 61.5% ნედლეულის სახით გააქვს საზღვარგარეთ. რაც მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში და კონკრეტულად კი აჭარაში

ძირითადი და პრიორიტეტული კულტურების უმეტესობა სწორედ, რომ ნედლეულის სახით გადის ქვეყნიდან. მზა სასაქონლო ფორმით მხოლოდ 19.2%–ია, ისიც ჩაის და ბამბუკის წარმოებისაგან მიღებული მაჩვენებელით. ხოლო 15.4% ნახევრად დამუშავებული პროდუქციის რეალიზაციას უჭირავს. ანალიზის შედეგად დადგინდა, თუ ექსპორტიორი ორგანიზაციები რა რაოდენობის პროდუქციას აწარმოებენ. შედეგად დგინდება, რომ ის ორგანიზაციები ან კერძო/ფიზიკური პირები, რომლებიც რაიმე სახით აგრარულ პროდუქციას აწარმოებენ (ნედლეულის სახით, ნახევრად დამუშავებული თუ სასაქონლო ფორმით) უმეტეს მათგანს 70–80% გააქვს ექსპორტზე. გრაფიკულად ნათლად ჩანს, რომ ექსპორტიორთა 73.1%-ს თავისი პროდუქციის 100% გააქვს ექსპორტზე.

დიაგრამა 3.3.5. მთლიანი წარმოების/მომსახურების დაახლოებით რა რაოდენობის პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე და რა ნაწილით ამარაგებთ ადგილობრივ ბაზარს?




წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

ამ სახის ექსპორტიორები ინტერვიუს დროს აცხადებდნენ, რომ საქართველოში სათანადოდ ვერ მუშაობს ანტიდემპინგური კანონი. შესაბამისად არ არის დაცული კონკურენტუნარიანობა. რის გამოც უცხოეთში ექსპორტირება უწევთ. ადგილობრივი აგრარული ბაზარი კი გაჯერებულია დაბალხარისხიანი, ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციით. მონოპოლიურ გარემოში კი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები ვერ ახერხებენ თავიანთი თავის რეალიზაციას. ერთის მხრივ დიდ მოცულობაზე და დაბალ ფასებზე ორიენტირებული იმპორტიორი დგას, ხოლო მეორე მხრივ ახლად დამწყები ფერმერული მეურნეობა.

რაც შეეხება სხვა მონაცემებს, ნათლად ჩანს, რომ ორგანიზაციების 7.7% თავისი პროდუქციის 80–90% გააქვს ექსპორტზე, ხოლო ადგილობრივ ბაზარს 10–20%-ით ამარაგებს. რა თქმა უნდა ეს საგანგაშო ციფრია, რადგანაც საშუალო განვითარების ქვეყანა სასურსათო უზრუნველყოფას 80–85% მაინც უნდა ახდენდეს ადგილობრივი წარმოებით, ხოლო დასაშვები იმპორტი 15–20% უნდა იყოს.

დიაგრამა 3.3.6. მთლიანი წარმოების/მომსახურების დაახლოებით რა რაოდენობის პროდუქცია გააქვთ ექსპორტზე და რა ნაწილით ამარაგებთ ადგილობრივ ბაზარს?



წყარო ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მოგეხსენებათ, სასოფლო-სამეურნეო ფერმებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა წარმოების ოპტიმიზაციას ენიჭება. საქართველოს აგრარულ სექტორში თანამედროვე პირობებისათვის მეწარმე-სუბიექტთა შორის ოჯახური მეურნეობები ჭარბობს. ახლა მიმდინარეობს მათი ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნის პროცესი. ამ პროცესის დაჩქარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად აგრო-ბიზნესის ეკონომიკური ეფექტის ზრდა უნდა მივიჩნიოთ.

ცხრილში მოცემულია 2011–2016 წლების ექსპორტი სხვადასხვა კულტურების მიხედვით. კვლევის შედეგად აქვე ჩანს, რომ მეციტრუსეობაზე მოდის ყველაზე მეტი წილი. ორგანიზაციები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ოპერირებენ საერთაშორისო ბაზარზე, შესაბამისად, მეტი ექსპორტი აქვთ. მეციტრუსეობის საკითხში თითქმის ყველა ექსპორტიორი 2011 წელთან შედარებით, 2016 წელს უკვე გაცილებით დიდი რაოდენობით თავიანთი საქონელი უცხოეთში გააქვთ. 2013 წლიდან უკვე შეინიშნება მზარ-

დი ტენდენცია, რაც მათივე განცხადებით ბაზრების დივერსიფიკაციის შედეგია და მით უფრო, ტრადიციულ ბაზარზე შესვლა, როგორც რუსეთის ბაზარია.

აღსანიშნავია მეჩაიეობის და მეხილეობის საკითხი. ცხრილიდან ჩანს, რომ ამ კულტურების ექსპორტირება უფრო სტაბილურად შენარჩუნებულია, არ განიცდის კლებას ან მატებას. დავინტერესდით თუ რატომ არ ზრდის ექსპორტიორი ჩაის ექსპორტს, ისინი ხომ სტაბილური მიმწოდებლები არიან? აღმოჩნდა, რომ უფრო მეტის მიწოდება ძირითადად შუა აზიის ქვეყნებში (უზბეკეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში) შეუძლიათ, მაგრამ არ გააჩნიათ მეტი რესურსის მარაგი. შესაბამისად გურიის, სამეგრელოს ან იმერეთის რეგიონიდან უწევთ ჩაის შესყიდვა, რომელიც არ არის საკმარისი რაოდენობა. ძირითადად მზა სასაქონლო ფორმის პროდუქციად ქართული ჩაი გადის.

ცხრილი 3.3.1. წარმოებული პროდუქციის ექსპორტის მოცულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

წარმოებული პროდუქციის ექსპორტის მოცულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში (ტონა)						სოფლის მეურნეობის რომელ დარგს მიეკუთვნება თქვენი ორგანიზაციის საქმიანობა?
[2011]	[2012]	[2013]	[2014]	[2015]	[2016*]	
25-50	50-100	50-100	50-100	0-25	0-25	ბამბუკის წარმოება
50-100	50-100	100-150	50-100	50-100	25-50	ბამბუკის წარმოება
50-100	50-100	100-150	100-150	150-200	100-150	დაფნის ფოთოლი
				0-25	0-25	დაფნის ფოთოლი
			0-25	0-25		დაფნის ფოთოლი
					0-25	დაფნის ფოთოლი
150-200	150-200	150-200	150-200	150-200	150-200	მარაიოლა
200-300	200-300	300-500	300-500	500-1 000	150-200	მარაიოლა
25-50	25-50	50-100	50-100	100-150		მებაღეობა (კომპოსტო)
			0-25	0-25	0-25	მებაღეობა (კომპოსტო)
50-100	100-150	1 000- 5 000		25-50	100-150	მებაღეობა (კომპოსტო/ მწვანეილი)
1 000- 5 000	1 000- 5 000		150-200	150-200	50-100	მებაღეობა (მწვანეილი)
300-500	300-500	150-200	25-50	25-50	25-50	მეშარცეოეულობა (ხორბალი)
300-500	300-500	300-500	300-500	300-500	150-200	მეჩაიეობა
0-25	0-25	0-25	0-25	0-25		მეჩაიეობა
50-100	50-100	50-100	50-100	100-150		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
200-300	150-200	200-300	300-500	500-1 000		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
100-150	100-150	100-150	100-150	500-1 000		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
200-300	200-300	200-300	300-500	500-1 000		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
25 000-50 000	25 000-50 000	50 000- 100 000	50 000- 100 000	100 000 და მეტი	50 000- 100 000	მეცენტრუსეობა (მანდარინი)
				50-100		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
			150-200	200-300		მეცენტრუსეობა (მანდარინი)
0-25	0-25	25-50	50-100	50-100		მეცენტრუსეობა (ფორთოხალი)
25-50	0-25	50-100	0-25	50-100	25-50	მეხილეობა (ატამი, ყურძენი)
	50-100	100-150	200-300	300-500	150-200	მეხილეობა (ხურმა)
			0-25	0-25	0-25	ტყის მცენარე (ზნებრლი)

წყარო ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული ცხრილის ინტერპრეტაცია (აპარა 2016)

სასურველია 10-15 ჰა ფართობის მიწა დაუშვას სახელმწიფომ საპრივატიზაციოდ. შედეგად ეს ორგანიზაციები გაცილებით (60%-ით) მეტს გაიტანენ ექსპორტზე, შესაბამისად, ადგილობრივ ბაზარზეც დაიმკვიდრებენ გარკვეულ სეგმენტს და ამ გზით შეიძლება იმპორტული ჩაის ჩანაცვლება ადგილობრივი მაღალხარისხიანი პროდუქციით.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო გამოცდილების გამოყენება დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების გადაჭრას დააჩქარებს. გამოწვევები კი საკმაოდ რთულია და ბევრი. არავისთვისაა სიახლე იმის განცხადება, რომ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც სტაგნაციის

მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. გასაგები მიზეზების გამო, დღის წესრიგში დადგა ბრძოლა თუნდაც იმისათვის, რომ შევძლოთ არც თუ ისე შორეულ წარსულში მიღწეული წარმოების მასშტაბებთან მიახლოება. სოფლის მეურნეობაში მოქმედი ორგანიზაციების SWOT ანალიზით გამოიკვეთა მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, კერძოდ:

მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენს: დაბალი/ადეკვატური ფასები, მდებარეობა, დიდი ხნის გამოცდილება და ბაზარზე ცნობადობა. ასევე გვხდება ორგანიზაციები, რომელთა ძლიერი მხარე ტექნოლოგიური სიახლეები, კარგი მენეჯმენტი, მაღალი კვალიფიციური ტექნოლოგების და თანამშრომლების ყოლაა.


მათი სუსტი მხარეებია: ნედლეულის დეფიციტი, კონკურენტებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება, ზოგჯერ სათანადოდ არამოტივირებული თანამშრომლები/მუშეები, რაც აისახება ორგანიზაციის არაეფექტურ მუშაობაზე, ადგილობრივ ბაზარზე თანამშრომლების და ტექნოლოგიების დიდი კონკურენცია.

მათი შესაძლებლობებია: 103ა ჩაის პლანტაციის პრივატიზება, ფინანსური მხარის გასწორება და ისევ კონკურენტუნარიანობა ბაზარზე, ბამბუკის წარმოებისთვის 3–4 ჰა პრივატიზირება და ტექნიკა-დანადგარების შექმნა, სხვა პროდუქციის რეალიზაცია და ბაზრის გაფართოება.

მათ წინაშე არსებული საფრთხეებია: უცხო ბაზრების დაკეტვა, ნარგავების ფართობების მკვეთრი შემცირება, არასტაბილური სავალუტო ვითარება. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე გადაცემული მომიჯნავე სასოფლო სამეურნეო სავარგულების სხვაზე გასხვისება/გაყიდვა, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის ტერიტორიულად გაფართოებას. კლიმატური არასტაბილურობა და დაუზღვეველი პროდუქციის გაფუჭება.

საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის გარდა, ასევე ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დოკუმენტაციის მოწესრიგება და ბიუროკრატიული დონე.

დიაგრამა 3.3.7. როგორ შეაფასებდით ბიუროკრატიულ დონეს საექსპორტო დოკუმენტაციის მოწესრიგებაში?



წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

გამოკითხულთა უმრავლესობა (57.7%) აფასებს კარგად, მეორე ნაწილი (34.6%) კი ძალიან კარგ შეფასებას აძლევს ბიუროკრატიულ საკითხების მოგვარებას. მხოლოდ 7.7% ამბობს, რომ ცუდია დოკუმენტაციების მომზადების პროცედურა და ხშირად უწევს სოფლიდან ჩამოსვლა და პროდუქციის წარმომავლობის საბუთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაკეთება, რაც მათი თქმით გულისხმობს დროის და რესურსების ფუჭად კარგვას.

როგორც ცნობილია, აჭარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბების პროცესში წარმოჩინდა ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ჩართულობის გაფართოების, იუსტიციის სახლებისა და ნოტარიუსების მომსახურების რეჟიმის გამარტივების, აგრეთვე სხვა აქტუალური პრობლემები. მოგეხსნებათ ინოვაციური პოლიტიკა სწორედ ის გზაა, რომელმაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საქართველო შესაძლებელია გადააქციოს წონად პარტნიორად მრავალფეროვანი სასურსათო პროდუქციის წარმოების და ექსპორტის დროს.

მოგეხსნებათ, რომ ისეთ ტრადიციულ ბაზრებს, როგორცაა რუსეთი და უკრაინა საკმაოდ დიდი საექსპორტო პოტენციალს ფლობენ აჭარის რეგიონისათვის. კონკრეტულად ეს ცხრილი აჩვენებს ექსპორტიორის ხვედრით წილს მისი მთლიანი პროდუქციის ექსპორტირებაში. ანუ თუ მას ექსპორტზე გააქვს 80% ან თუნდაც მთლიანი პროდუქციის 100%, რომელ ქვეყანაში რამდენი პროცენტით შედის. მაგალითად: სომხეთში - 0-20%, რუსეთში - 20-40%-მდე, უკრაინაში - 40-60%. რადგანაც კითხვის მოთხოვნაში იყო ზოგადი მონაცემები უნდა ვივარაუდოდ, რომ სომხეთში სასოფლო-სამეურნეო


პროდუქციის ქართველმა ექსპორტიორებმა შეიტანა დაახლოებით 15%, რუსეთში 30–35% ხოლო დანარჩენი 50% უკრაინაში. ეს საკმარისი ინფორმაციაა იმის დასაანგარიშებლად თუ დაახლოებით რა რაოდენობის პროდუქცია შეაქვს 3 სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება დაფნის ფოთოლის ექსპორტს, ჩანს, რომ უკრაინა ლიდერობს და თითქმის 90% ექსპორტირება ხდება უკრაინაში, ხოლო მცირე მოცულობით კი - რუსეთში. ასეთივე პირობებშია მეციტრუსეობაც, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები უკრაინა და რუსეთი რჩება. ხოლო სხვა დანარჩენ ქვეყნებზე მცირეოდენი ექსპორტირებით შემოიფარგლებიან აჭარის აგრარული სექტორის მწარმოებლები/ექსპორტიორები. ციტრუსი, ბალჩეული და ხილი ცოტაოდენი რაოდენობით მაგრამ მაინც შედის ევროპაში. ინტერვიუს დროს ექსპორტიორები აცხადებდნენ, რომ მათ ძალიან ბევრი დეტალის გათვალისწინება დასჭირდათ იმისათვის, რათა შესულიყვნენ ამ ბაზრებზე. მაღალი სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციისა და სრული დოკუმენტაციის მობილიზების გარეშე შეუძლებელია ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა.

ჩაის პროდუქციის უმრავლესობა შუა აზიაში შედის, როგორც შეფუთული, დაფასოებული და მზა პროდუქცია. 15%-მდე შედის როგორც ნედლეული. სასურველია სხვა პროდუქციაც ჩაის მსგავსად სრული სასაქონლო ფორმით შევიდეს დანარჩენ ქვეყნებში. რა სახის პრობლემებს აწყდება აჭარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორები გასაღების ბაზარზე? რესპოდენტების დიდი რაოდენობა აცხადებს, რომ იმპორტიორ ქვეყნებში ფაქტიურად არ აწყდებიან პრობლემებს გამონაკლისი შემთხვევის გარდა.

მაგრამ ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მაინც კონკურენციაა, ასეთ შემთხვევაში ფირმები იძულებულნი არიან უფრო ეფექტური სარეკლამო რგოლები და კამპანიები აწარმოონ ბაზრის გარკვეული სეგმენტის შესანარჩუნებლად. ზოგ შემთხვევაში საკანონმდებლო ან სატარიფო პოლიტიკის ცვლა და ვალუტის კურსის მერყეობა რჩება პრობლემად. სხვა შემთხვევებში პარტნიორებთან ან წარმომადგენლობებთან თანამშრომლობენ აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საექსპორტო ფირმები და შეკვეთის შესაბამისად აგზავნიან საქონელს. პროდუქციის დაზიანების, გაფუჭების ან დაღპობის შემთხვევაში კი ურთიერთმოლაპარაკების, შეთანხმების გზით აგვარებენ პრობლემას.

დიაგრამა 3.3.8. სარგებლობთ თუ არა ექსპორტის დაზღვევით?



წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში საერთაშორისო ურთიერთობები, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით შეიძლება მოხდეს სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი წარმოების სფეროებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პრობლემებზე ინოვაციური მიდგომების ფოკუსირება. სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი წარმოების მართვის სფეროში უნდა დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფერმერებს კონკურენტუნარიანი გახდნენ საერთაშორისო ბაზარზე, შესაბამისად გაიზრდება ექსპორტის მოცულობა და წარმოება გადავა მაღალი ხარისხის პროდუქციაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარაში აუცილებლად მიგვაჩნია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების განვითარება.

კვლევამ აჩვენა, რომ თითქოს და წარმატებულად ოპერირებენ ექსპორტიორები პროდუქციის გატანას საზღვარგარეთ, მაგრამ 61.5% საერთოდ არ აზღვევს და არ სარგებლობს სატრანსპორტო დაზღვევით, მათი აზრით ეს ზრდის ხარჯებს. ხოლო 26.9% სისტემატიურად აზღვევს პროდუქციას ექსპორტის დროს. ეს უფრო ეხება საერთაშორისო საავტომობილო საშუალებებს, რომელთაც დაზღვევის გარეშე ევროპის საბაჟო სამსახურები არ შეუშვებენ თავიანთ ქვეყანაში. შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან

დააზღვიონ ტვირთი. გვხდება ექსპორტიორთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც ზოგჯერ აზღვევენ და სარგებლობენ საექსპორტო დაზღვევით 7.7%, ზოგჯერ კი - არა (3.8%).

ჩვენ ვერ შევქმნიდით რაღაც განსაკუთრებულ ფორმას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია საკვლევ წინადადებათა მომზადება ფერმერთა განწყობა-შეხედულებების გათვალისწინებით, კერძოდ, ისეთების, როგორიცაა:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების (გაერთიანებების) შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება;
2. ექსპორტის განმახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო ფერმერების დამოკიდებულების შესწავლა. გეოგრაფიული საზღვრები, სამეწარმეო მიმართულება, ყოფილი კოლმეურნეობებისა და მეურნეობების პირობებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების გამოვლენა, ახალი სტრუქტურების მათთან შედარება და ა.შ.;
3. მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლების საინიციატივო ჯგუფების შექმნა სანდოობისა და კომპეტენციის, ავტორიტეტის გათვალისწინებით;
4. ექსპორტიორი ფირმების სრული ინფორმირებულობა და ტრენინგი იმ ქვეყნის საკანონმდებლო თუ საბაჟო საკითხების შესწავლის დასახმარებლად, სადაც აპირებენ ეს ფირმები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანას;
5. სასოფლო-სამეურნეო ფირმების გათვითცნობიერება სადაზღვევო სისტემით და მისი მნიშვნელობა სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

როგორ ართმევენ თავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ფერმერები საკანონმდებლო ბაზას, მთლიანობაში ნაგულისხმევია იმ დოკუმენტაციების ნუსხა და მოწესრიგება, რომელთანაც უწევთ მუშაობა, იქნება ეს ადგილობრივი ფირმების, კოოპერატივების რეგისტრაცია თუ საექსპორტო სიახლეების და ნორმატიული აქტების დამუშავება. კითხვის სტრუქტურა 10 ბალიანი სისტემით ჩამოყალიბდა, აქედან (1 არის ძალიან ცუდი და 10 ძალიან კარგი.) შედეგი დამაკმაყოფილებელია, რადგანაც ექსპორტიორთა უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 60%) საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებული აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გახდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორი რეგიონი. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, აგრარული დარგი ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენთვის

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ქვეყნების, ჩინეთისა და იაპონიის ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტირების ხელშეწყობას.


აუცილებელია მივალწიოთ მაღალგანვითარებულ აგრარულ წარმოებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირების ღონისძიებათა სისტემა (სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური), რომელშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტებს - სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების შესწავლას, ყურადღების მიქცევას და მძლავრ კომპონენტად მიჩნევას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში უშუალო მონაწილეობისა და გაფართოების სტიმულირების თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება ადგილობრივი აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი ბერკეტების მუდმივი გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის გატარება. ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება და იმ მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას და პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებს. ეს თავის მხრივ გაზრდის ადგილობრივი ექსპორტიორის მიერ პარტნიორი ქვეყნების ბაზრებზე დაბრკოლების გარეშე მოხვედრის შანსს.

კონკრეტული შედეგი კი გვიჩვენებს, რომ 31% აცხადებს: „სახელმწიფო არ ეხმარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტირებაში და 10 ბალიან სისტემაში აფასებს 0 ქულით. ვლინდება ასევე 6–7 ქულით შემავსებლებიც, რომელთა ჯამი 30%-ს არ აღემატება. ხოლო 9–10 ქულით ფასდება ექსპორტიორთა 10%-ის მოსაზრება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების და ექსპორტიორების ძირითად ამოცანად გვევლინება საექსპორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოში მიღებულ თამაშის წესებს და ადგილობრივი მეწარმეების მიჩნევა პრიორიტეტად. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო-საფინანსო ურთიერთობების ლიბერალიზაციის აუცილებლობას, რომლითაც სარგებელი უნდა ნახოს. ჩვენმა ექსპორტიორებმაც

დიაგრამა 3.3.9 რამდენად გეხმარებათ სახელმწიფო თქვენი პროდუქციის ექსპორტირებისას პარტნიორ ქვეყნებში?



წყარო: ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული გრაფიკული ინტერპრეტაცია (აჭარა 2017)

ჩვენი აზრით, საინტერესოდ მივიჩნიეთ გვეჩვენებინა ექსპორტიორთა დამოკიდებულება და რეკომენდაციები აჭარის მთავრობისთვის: კვლევიდან ჩანს, რომ მცირე ფერმერი მარტო შრომით და შეზღუდული რაოდენობის მოსავლით ვერ იქნება კონკურენტუნარიანი და ვერ აწარმოებს წარმატებულად საექსპორტო აქტივობას. აუცილებელია კოოპერატიული მეურნეობების გაძლიერება და ურთიერთთანამშრომლობა, რათა მასიური გახდეს პროდუქციის წარმოება, შესაბამისად იოლი გახდება უცხო ქვეყანაში შეტანა, რადგანაც იგი უკვე ხდება სისტემური და სტაბილური მიმწოდებელი.

სამწუხაროდ მოსახლეობის უნდობლობა ჯერ კიდევ მაღალია სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებით, კარგად ახსოვთ თუ, როგორ არასამართლიანად იქნა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მითვისებული ან არაკეთილსინდისიერ მეპატრონზე გადაცემა, შესაბამისად კოოპერატივის განვითარების უნდობლობა სწორედ, რომ უახლოესი წარსულის მწარე გამოცდილებაა, რაც ასოცირდება ოჯახის ქონების დაკარგვასა და ნდობის დაბალ დონეს. აღნიშნული ტიპის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, როგორც ავრნიშნეთ ისეთ სუბიექტებზეა გადაცემული, რომლებაც არავითარი კავშირი და მით უმეტეს არავითარი გამოცდილება და შეხება არ აქვს აგრარულ სფეროსთან, შესაბამისად ასეთი სავარგულები გამოუყენებელია, ხოლო გლეხს მხოლოდ საკთარი საკარმიდამო ნაკვეთი და უძრავ მოძღვავე ქონების გარდა არაფერი გააჩნია. გამომდინარე აქედან, თუ საქართველოს სხვა რეგიონებში (ქართლი, კახეთი) შეიძლება რიგ ფიზიკურ პირს შეიძლება მსხვილი საპაიო თანამონაწილებით უზრუნველყოს

კოოლერატივის ჩამოყალიბება, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეს მოდელი ვერ იმუშავებს.

ცალკე აღებული არასასოფლო-სამეურნეო პროფილის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმომადგენლებს, ფერმერული/ოჯახური მეურნეობების პარტნიორული თანამშრომლობის მობილური სისტემის ჩამოყალიბება კი ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

ვთანხმდებით იმაზე, რომ აგრარული რეფორმების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს მსოფლიო გამოცდილებას, ეს პროცესი საქართველოშიც მეტ ნაკლებად ასეც მიმდინარეობს, მაგრამ აუცილებელია ქვეყნის და ჩვენს შემთვევაში, ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური პირობების, ზოგადად ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგების, ტრადიციების, ხალხის მენტალიტეტი და ა.შ. გათალისწინება. აჭარის ხელისუფლება და კონკრეტულად „აგროსერვისცენტრის“ მეშვეობით დაწყებულია ინოვაციური პოლიტიკით გადადგომი ნაბიჯები. როგორცაა: ექსპერიმენტული ნაკვეთების დამუშავება, გამოყენება ახალი ტექნოლოგიებისა და მექანიზაციის საშუალებებისა, ფერმერთა ტრენინგი და სხვა მიმართულებით კონსულტირება ახალი, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინფორმირება.

მაგრამ მაინც, როგორც მთლიანად საქართველოში, ისე აჭარის რეგიონშიც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ალტერნატივა არ აქვს, რადგანაც მასიური წარმოების საშუალებითაა მხოლოდ შესაძლებელი ბაზრის გარკვეული სეგმენტის ათვისება და აგრარული სფეროს განვითარების წინა პირობას წარმოადგენს. მაგრამ ამ პროცესისადმი სისტემატიური მიდგომა მაინც დაბალია. მიზეზები კი სხვადასხვაგვარია, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო დახმარების პროექტები ან დონორი ორგანიზაციების მიერ დახმარებები რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ, მოვახდინოთ მათი ფართო პოპულარიზაცია და ინფორმირებულობა ჩვენს რეგიონში. რისთვისაც, წვრილ თუ საშუალო დონის მეწარმეებისათვის სახელმწიფომ გარკვეული ფინანსური თუ მატერიალური რესურსით მხარდაჭერა უნდა აღუქვას. სამწუხაროდ სხელმწიფო მიზნობრივ დახმარებას დიდი უპირატესობით ღებულობს მხოლოდ ის სასოფლო სამეურნეო გაერთიანება, რომელსაც დიდი ქონება და საწესდებო კაპიტალი

გააჩნია. ყურადსარებია მცირე, ინდივიდუალური ფერმერული მეურნეობებიც, რომლებსაც საწყის ეტაბზე არ აქვს გათავისებული კოოპერატივის მნიშვნელობა და სიკეთეები, მაგრამ შეუძლია მცირე რაოდენობით შექმნას იშვიათი სახის სასოფლო სამეურნეო ნედლეული ან პროდუქტი (როგორცაა სტივიას მოვლა მოყვანა დამუშავება და ა.შ.). აუცილებელია კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მცირე ფინანსური რესურსების პოტენციალის ფორმირება, იმავდროულად არ უნდა გამოირიცხოს იმ პროექტების სრული დაფინანსება გრძელვადიანი დაფარვის პირობებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მრავალწევრიანი, მაგრამ შედარებით დაბალი საბაზისო სასტარტო ქონების მქონე კოოპერატივებით. ასეთი სახის დახმარებით აჭარის აგრარული, მაღალხარისხიანი პროდუქციის დიდი რაოდენობით ექსპორტი შეიძლება განხორციელდეს ევროპის და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. კოოპერატიულ მუშაობაში და პროდუქციის ინოვაციურ წარმოებაში მნიშვნელოვანია შემდეგი სახის ინოვაციები:

- ✓ პროდუქციის ბრენდირების მიმართულებით უნდა შეირჩეს რამდენიმე საქონელი, რომლებიც იწარმოება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციისაგან.

- ✓ მეციტრუსეობის დარგის რენტაბელობას დიდად შეუწყობს ხელს მანდარინის ყვავილის ექსტრაქტისა და შემდგომ მისგან ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელებისა და საკონდიტრო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიების გამოყენება. ამ ტექნოლოგიების დანერგვა 40-50%-ით აამაღლებს ამ დარგის რენტაბელობას.

- ✓ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში შემუშავებულია მრავალი პროგრესული ტექნოლოგია ჩაის ნედლეულისაგან სხვადასხვა სახის პროდუქტების საწარმოებლად.

მიუხედავად საინტერესო და თანამედროვე მიდგომების და პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალზე, სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება მიმდინარე ეტაბზე ვერ უზრუნველყოფს აგრო-ბიზნესის ეფექტური მოდელის ჩმაოყალიბებას, ვერც შესაბამისი რესურსების ეფექტურად და რაციონალურად გამოყენებას. გარკვეული საჩვენებელი ობიექტების შექმნისა და ტრენინგები და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მასშტაბები ვერ იძლევა სერიოზული გარდატეხის მოხდენას. შესაბამისად, ასეთი ინოვაციური მიდგომები ვერ ზრდის კოოპერატივების ქმედითუნარიანობის ზრდას და შესაბამისად აგრო-პროდუქციის ექსპორტირების მასიურ ხასიათს.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებების დასადგენად საჭიროა ევროპისა და ევროკავშირის ეკონომიკურ სტანდარტებთან თავისუფალი ვაჭრობის დადგენა, რაც საქართველოში ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებას მოითხოვს. თანამედროვე ეტაბზე ეს არის საუკეთესო ალტერნატივა ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. სასურველია ხელისუფლებამ გააცნობიეროს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესებისთვის. ამჟამად, ასოცირების შეთანხმებაში თავისუფალი ვაჭრობის გამარტივება ევროკავშირთან (სავიზო რეჟიმის გამარტივება) ყველაზე დიდი ბერკეტია, რომელიც ევროკავშირს აქვს საქართველოსთან.

მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზრდას და კომერციალიზაცია. თანამედროვე მიდგომები, ინოვაციები და ტექნოლოგიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ოპტიმიზაციას და ეკონომიკური საქმიანობის წარმატებულ განვითარება უნდა განსაზღვროს.

სახელწიფოს მხრიდან არ არის სათანადოდ შესწავლილი სურსათის ბიზნეს-ოპერატორთა კრიტიკული პრობლემები სასურსათო ინდუსტრიის ცალკეული სფეროების მიხედვით; არ არის ჩამოყალიბებული მათი მხარდაჭერისა და უკუკავშირის მექანიზმები; არ არის იდენტიფიცირებული და განვითარებული წამყვანი და პრობლემური სფეროების მიხედვით, მეწარმეთა სწავლებისა და ტექნიკური დახმარების საჭიროებები და შესაძლებლობები. როგორც ზემოთ განხორციელებული კვლევიდან ირკვევა.

მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს წვრილი გლეხური მეურნეობის ეფექტურობას, რთულდება მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა, მცირდება კულტურათა მოსავლიანობა და შედეგად, გლეხის შემოსავალი კლებულობს. კვლევამ გვიჩვენა, რომ აჭარის აგრარულ სექტორში დღემდე არსებული მართვის პირობებში არასრულადაა გამოყენებული ეკონომიკის ისეთი ბერკეტები,

როგორცაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, კაპიტალი და შრომა. სამეწარმეო უნარი, საბაზრო გარემო-პირობების უქონლობის გამო, თითქმის არ გამოიყენება, ხოლო სახელმწიფო მართვის ქმედუნარიანობა არც თუ ისე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან, რადგანაც მათი დროულად დაბრუნების იმედი ნაკლებად აქვთ, სინამდვილეში რეალობა სრულიად განსხვავებულია, კერძოდ, ბანკებისადმი ვადაგადაცვილებული სესხების 50% მრეწველობის დარგებს აქვთ, 26,4% – ვაჭრობას, ხოლო სოფლის მეურნეობაში იგი 1,6%-ს არ აღემატება.

საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგის დაცვის მექანიზმების სრულყოფა. დოტაციური და სუბსიდირებული პროდუქცია როგორცაა თურქეთი, ირანი, ალოსავლეთ აზიის ქვეყნების იმპორტი გაანადგურებს აგილობრივ ბაზარს. მაღალტექნოლოგიურ და წარმოებაში გამოცდილ ქვეყნებს ჩვენი პროდუქცია საწმუხაროდ ვერ გაუწევს კონკურენციას. მაგალითად:

✓ აუცილებელია ვმო-ს და საქართველოს შორის ხელშეკრულებით გათვალი-სწინებული საკანონმდებლო ღონიძიებების გატარება. ვმო იძლევა საშუალებას რამოდენიმე წლის განმავლობაში დავიცვათ სოფლის მეურნეობის დარგები. ანუ ადგილობრივ საწარმოებს ეძლევა 4 წლიანი ვადა ტექნიკურ ტექნოლოგიური გადაიარაღებისა. ამ პერიოდში შესაძლებელია დაწესდეს მაღალი საბაჟო გადასახადი. 4 წლის შემდეგ თუ ვერ მოესწრო ამ საკითხის მოგვარება ან უპერსპექტივოა, მაშნ აღნიშნული ტარიფი დაიწევს და დაუბრუნდება საწყის სატარიფო დონეს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პროგრამას გააჩნია გარკვეული პერსპექტივა შესაძლებელია სატარიფო პოლიტიკა კიდევ გაგრძელდეს 3 წლით. რასაც “Safe Guard”-ის კანონი იგივე ადგილობრივი პროდუქციის დაცვის კანონი ქვია.

✓ ანტი-სუბსიდირი კანონი: ქვეყანაში შემოსული იმპორტირებული სუბსი-დირებული პროდუქციაა, ამისთვის საჭიროა სუბსირირებული პროდუქციის დაცვის მექანიზმი. შესაბამისად, შესაძლებელია ისეთი საბაჟო გადასახადის დაწე-სება, რა რაოდენობის სუბსიდირებასაც ახდენს ექპოსრტიორი ქვეყანა (ჩვენთან იმპორტის განხორციელების დროს). რათა არ დაკარგოს კონკურენტუნარიანობა და სოფლად მწარმოებელმა ფერმერმა არ დაკარგოს მოტივაცია.

✓ ანტი-დემპინგური კანონი: ბევრი ქვეყანა იყენებს საექსპორტო სუბსიდირებას და იმპორტირებად ქვეყანაში შედის დემპინგური ფასებით. რის შედეგადაც ადგილობრივი წვრილი მეურნეობები გამოვარდებიან ხოლმე ადგილობრივ ბაზრიდან და 2–3 წლის შემდეგ, კი უკვე აღნიშნული იმპორტიორი თავისი შეხედულების მიხედვით ადგენს ბაზარზე ფასებს. ფაქტობრივად ხდება მონოპოლისტი.

კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო სექტორში ჩამოყალიბებულმა საბაზრო ურთიერთობათა მოდელმა სრულად ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება და ვერ უზრუნველყო ეფექტიან ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება, რამაც მიგვიყვანა წარმოების მნიშვნელოვან შემცირებამდე და მოსახლეობისათვის საჭირო სასურსათო პროდუქტების უკმარისობამდე. ამის მიზეზად მიგვაჩნია: სოფლის მეურნეობის არსებული დარგობრივი და საწარმოო სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა მათ საგანგებოდ, დამოუკიდებლად ფუნქციონირებას, რის გამოც რეგიონში ვერ ვითარდებოდა მოსახლეობისათვის აუცილებელი სურსათის წარმოება.

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული სავაჭრო რეჟიმების მოქმედების პირობებში, საქართველოს გააჩნია აგრარულ სფეროში წარმოებული პროდუქციით თვითუზრუნველყოფის როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე აქტიური საექსპორტო საქმიანობის განხორციელების პოტენციალი. აგრარული ფირმის საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე ხშირად არ ემთხვევა „ტარიფის ნომინალური დონის“ სიდიდეს.

ამრიგად, აჭარის აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარების ძირითად მიმართულებათა დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზების დროს გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

✓ აჭარის აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ურთიერთთანამშრომლობა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, დონორ – და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან;

✓ უნდა დაფუძნდეს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ისეთი ინდიკატორები, როგორცაა: სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდა, აგრობიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა, პირველად წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა, ნათესი და ნარგავი ფართობების ზრდა, წყალურუნველყოფილი და დამშრალი ფართობების ზრდა, სიღარიბის დონის შემცირება სოფლად, აგრო-სასურსათო სექტორში საკრედიტო პორტფელის მოცულობა, სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაზღვეული ბენეფიციარების რაოდენობა და სხვ;

✓ სიღარიბის დაძლევის სტრატეგიიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ის ბენეფიციარები, რომელთაც სახელმწიფო უწევს დახმარებას და ოჯახის წევრების მიხედვით ეხმარება ოჯახს, რეალურად არ აძლევს საშუალებას განვითარდნ ამ კატეგორიის ხალხი.

✓ ჩვენი აზრით, სახელმწიფომ 2 წელი უნდა მისცეს სხვა სამსახურში მუშაობის უფლება სოცლიალურად დაუცველ ოჯახებს, რის შედეგადაც მოსახლეობა მეტ შემოსავალს მიიღებს, განათლებასაც მისცემს თავის ოჯახის წევრს და შესაბამისად განვითარდება სოფელიც და სახელმწიფოც.

✓ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და რეგულირების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის საქართველოს შემოსავლების და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მხრიდან მოხდეს გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის სრული გასაჯაროება და საზოგადოებისათვის რეგულარულად მიწოდება.

✓ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის განახლებული ვარიანტის პროექტი, რომლის მიხედვითაც 2012-2013 წელს შეუსრულებელი სამუშაოების ვადა გადანაწილდა 2014-2020 წლებზე, თუმცა ვადების ასეთ გადაწევას სათანადო დასაბუთება არ ახლავს. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის დროული და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მომავალი საქმიანობისათვის დასაგეგმავ ბიუჯეტში მოხდეს იმ თანხების გათვალისწინება, რაც საჭირო იქნება სამუშაო ჯგუფებში გარედან მოწვეული ქართველი ექსპერტების ჩასართავად;

✓ კანონმდებლობით უნდა შეიზღუდოს მიწების გასხვისება იმ შემთხვევაში, რომელიც არ ემსახურება სოფლად მიწის სავარგულების ეფექტიანობის ზრდას, ტრადიციული სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას;

✓ კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო მიწების ისეთი გაყიდვა, რომელიც გამოიწვევს მათ დანაწევრებას. ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მინიმალური და მაქსიმალური ფართობი თითოეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის უნდა განსაზღვროს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

✓ კოოპერაციული მეურნეობების ჩამოყალიბებამ ადგილობრივი თემების ძალაუფლება და მათ მიერ მიწების გამოყენების სინერგიაც უნდა გაზარდოს. ამ გარემოების გათვალისწინებით, მიწების გასხვისებისას სახელმწიფოს შემდეგ, უპირატესი შესყიდვის უფლება კოოპერატივს უნდა მიენიჭოს;

✓ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოების თავისებურების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალური ფასები და ფასი უნდა გადაიხედოს ექსპერტებით დაკომპლექტებული საბჭოს მიერ;

✓ იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სპეკულაციური მიზნით არ გაიყიდოს და არ მოხვდეს ისეთი ადამიანების ხელში, რომლებსაც არ შეუძლიათ მისი ეფექტიანი დამუშავება, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თანხმობის გაცემიდან 2 წლის გასვლის შემდეგ უნდა შეამოწმოს იურიდიული/ფიზიკური პირის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ დაუწყია ვალდებულებებით გათვალისწინებული ბიზნეს-გეგმის განხორციელება, მას პირველ ჯერზე უნდა მიეცეს გაფრთხილება, ხოლო გაფრთხილების მიცემიდან 3 თვის ვადაში, თუ პირი არ აღმოფხვრის ხარვეზებს, სამინისტრომ უნდა გააუქმოს ნებართვა;

✓ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობით საწარმოთა რეგისტრაცია ან დამფუძნებლების 51% მეტი უნდა შეადგინოს საქართველოს მოქალაქემ;

✓ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მართვა უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თემების ჩართულობით და მათთვის ამ მიწების სტრატეგიული განვითარებითა და გასხვისებით მიღებული სარგებლის იდენტიფიკაციით.

✓ გამჭვირვალობა უნდა გულისხმობდეს არა მარტო გაყიდვის წესის, დროისა და ფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, არამედ იმ გეგმების და სარგებლის შესახებ ცნობებს, რის განხორციელებასაც მომავალი პოტენციური მყიდველი ისახავს მიზნად;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრარულ საწარმოთა ჩამოყალიბებისა და მათ ბაზაზე დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის პროცესში წარმოჩნდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, აღმასრულებელ ორგანოთა ჩართულობის გაფართოების, იუსტიციის სახლებისა და ნოტარიუსების სერვისის რეჟიმის გამარტივების პრობლემები. ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევა წარმართოს შემდეგი მიმართულებებით:

✓ მოსახლეობაში უნდა მოხდეს პროდუქციის წარმოების თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებისა და დანერგვისადმი სტიმულირების ზრდა;

✓ საჭიროა, თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიების დანერგვით, შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ექსტენსიური გამოყენების დონე;

✓ საერთაშორისო პროექტებისა და ადგილობრივი სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამების რესურსები უპირატესად უნდა წარმართოს ჩამოყალიბებული კოოპერატივების საწარმოო პროგრამების განსახორციელებლად;

✓ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული მიმართულებებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში უნდა მოხდეს კადრების მომზადების პროგრამის შემუშავება-განხორციელება;

✓ უნდა გაფართოვდეს სოფლად დასახლებულ ტერიტორიებზე არსებული რესურსების გამოყენებისადმი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მისაწვდომობა;

✓ საჭიროა გატარდეს თანამედროვე, უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა აღჭურვილობის დანერგვის პოლიტიკა;

✓ უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პარტნიორული ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის რაციონალური მოდელი და შეიქმნას კოოპერაციული სისტემის ერთიანი ქსელი;

✓ აუცილებელია საფინანსო საკრედიტო სისტემის სრულყოფა - შეღავათიანი დაკრედიტების სპეციალური ფონდების ფორმირებით, საწარმოო მიზნებისათვის და პროდუქციის უცხოურ ბაზარზე გასაღებისათვის;

✓ საერთაშორისო გამოცდილებისა და ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფორმირება და ფუნქციონირება მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე (რაიონების დონეზე მაინც), რადგანაც ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების შემოსავლები ჯერ-ჯერობით არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რაიმე სახის მომსახურეობა ანაზღაურებული იქნეს მათი სახსრებით.;

✓ სოფლად სურსათის წარმოებისა და ექსპორტის ზრდის მიზნით, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ აგროდაკრედიტების პროგრამის კიდევ უფრო გამართვა.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ინოვაციური ტექნოლოგიების ხარჯზე, აგრარული პროდუქციის წარმოებას, ექსპორტსა და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა 2005–აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. მონოგრაფია. თბილისი
2. ადამაძე 2012–ადამაძე რ. კოოპერაციის როლი საქართველოს აღორძინებაში, განვითარების კონცეფცია, თბილისი
3. ასათიანი 1997–ასათიანი რ. აგრარული რეფორმის მართვა და სახელმწიფოებრივი რეგულირება. სამეცნიერო კონფერენცია აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და მათი განხორციელების გზები საქართველოში. თბილისი
4. არნანია-კეპულაძე 2009– არანია-კეპულაძე თ. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ქუთაისი
5. ბერიძე 2010–ბერიძე ზ. სასურსათო პროდუქციის წარმოება და მოხმარება საქართველოში სამეცნიერო ჟურნალი “მოამბე” თბილისი
6. ბურკაძე 2001–ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარულ სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული 2. თბილისი
7. ბარათაშვილი...2007–ბარათაშვილი ე. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა. თბილისი
8. ბასილია...2001–ბასილია ტ. სილაგაძე, ა. ჩიკვაძე ტ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა 21-ე საუკუნის მიჯნაზე; თბილისი
9. ბახია...1997– ბახია მ. გაბაძე გ. სასურსათო პრობლემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და აგრარული რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, მე-3 ტომი. გამომცემლობა “მერანი“, თბილისი
10. გერლიანი...2011–გერლიანი რ. ჩალფეიქრიშვილი ვ., „ლიბერალიზმი საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებაში“, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი, Economic Policy Experts Center <http://epecgroup.blogspot.com/p/about.html> , თბილისი

11. გოგობია...2000—გოგობია რ. გარდამავალი პერიოდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. ჟ.: „სოციალური ეკონომიკა“, თბილისი
12. გოგიტიძე...2000—გოგიტიძე ი., გაბაიძე გ., ფუტყარაძე ე. აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსის მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში და მისი განვითარების აუცილებლობა. ჟ. “ეკონომიკა” №9-12,
13. გაბაიძე 2008—გაბაიძე გ., „მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის არ-ის მაგალითზე)“. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი. თბილისი.
14. დუდაური 2010— დუდაური თ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიზნესი და კანონმდებლობა N17, კოოპერატიული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება. განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0-0prompt-10-4-0-11--11-ka-50-20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL2.7&d=HASH0152de0d25426b4db319771d.12.2>
15. ეთერია 2003—ეთერია ე. „მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები“ თბილისი
16. ერაძე...2010—ერაძე კ. ცაგარეიშვილი პ. სტატია „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი, ქუთაისი
17. ვადაჭკორია...2010—ვადაჭკორია მ., ლაჭყევიანი თ., საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიზნესი და კანონმდებლობა 2010 N17 „აგრარული წარმოება და საქართველო“. განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL2.7&d=HASH0152de0d25426b4db319771d.12.3>
18. კიკნაველიძე 1993—კიკნაველიძე ა. მიწათმოქმედება: მდგომარეობა, განვითარების გზები. ჟ. „ეკონომიკა“, თბილისი

19. კოლუაშვილი 2016– კოლუაშვილი პ. „ქართული სოფელი მარადიულია“ სამეცნიერო ჟურნალი ეკონომიკა N11–12
20. კოლუაშვილი 2015– კოლუაშვილი პ. „გადავაქციოთ ყოველი სოფელი მწარმოებელ ბრენდად“ (სასოფლო–სამეურნეო კოოპერაციის პროცესის გადარჩენისა და განვითარებისთვის). ჟურნალი „ეკონომიკა“ N1–2
21. კოლუაშვილი...2015– კოლუაშვილი პ., ზიზიბაძე გ., „აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ფაქტორები“ სამეცნიერო კრებული „ბიზნეს ინჟინერინგი“
22. კოლუაშვილი...2017–კოლუაშვილიპ., ჩხეიძე შ., აგრო–პრეს ნიუსი სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა. „სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზია“ განთავსებულია ვებ–გვერდზე: <http://agronews.ge/9282-2/>
23. კრუგმანი...2000– კრუგმანი პ. ოფსვილდი მ. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა. ქართული თარგმანი, თბილისი
24. კაკულია...2003–კაკულია რ., ფარცვანია ბ., ხუცაიძე კ. – საკრედიტო პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში, ჟურნ. «კვალი», №2-3,
25. ლინდერტი 2001– ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა.
26. მალაშხია 2010– მალაშხია გ.საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. გამომცემლობა „სიახლე“ თბილისი
27. მოსვესიანი... 2004–მოსვესიანი ა. ოგნივცევი ს. „მსოფლიო ეკონომიკა“ თბილისი
28. რევიშვილი 2007–რევიშვილი ზ. აგრარული სექტორის განვითარების მაკროეკონომიკური ასპექტები. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. ბათუმი
29. ფეტელავა 2007–ფეტელავა ს. მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე. თბილისი
30. ქეშელაშვილი 2007– ქეშელაშვილი ო. ეკონომიკური მექანიზმი–სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ასპექტი. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა # 6. თბილისი
31. ყუფუნია 2008– ყუფუნია გ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2008;

32. ჭითანავა 2012–ჭითანავა ნ. საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი – ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.bec.ge.
33. ჭითანავა 2000– ჭითანავა ნ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. შრომების კრებული, თბილისი
34. ხადური 2010–ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), თბილისი
35. ხარეზავა...2009– ხარეზავა რ. ხარეზავა ნ., „საწარმო ორგანიზაციის ანტიკრიზისული მართვა“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4, თბილისი
36. ჯოლია 2005– ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკა. სახელმძღვანელო თბილისი
